

მ ი ჯ ნ ა

№2 (17) მარტი, 2020 წელი



„დედაო ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...
შენს მეიხებას ნუ მოსყუდებ ამ წახუელს ხალობსა...
მოჭმადლე ქართველს ქართველს ნღობს და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული..“

მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 2 (17), მარტი, 2020

დამფუძნებელი, პროექტის

ავტორი და გამომცემელი:

თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა

„მიჯნა“, რეგისტრაციის

№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X

ბლოკავთ ღვიძის
ღვიძს!



ს ა რ ჩ ე ვ ი

კლასიკა

ჰაინრიხ ჰაინე

სახელმწიფოსა და რელიგიის
ურთიერთობაზე (ნიგნიდან
„მოგზაურობის სურათები“)..... 3

მურმან ხურცილავა – 80

ჯემალ შონია

მართალი, ამადლებული პოეზია 6

მურმან ხურცილავა

ლექსები 9

პუბლიცისტიკა

ლაშა გვასალია

დოსტოევსკი — ურწმუნო გენიოსი 12

კრიტიკა

მურმან ზაქარაია

მოდგმის გულისცემის შეგრძნება..... 14

ახალი წიგნები

ნათა ვარადა

ლაშა გვასალიას პერფორმანსი..... 22

ლაშა გვასალია

ლექსები 25

ელგუჯა მარღია

მწერალი, რომელიც ენაში ცხოვრობს..... 33

ჯემალ შონია

ხეირიანი ამბავი უხეირო თამამზე..... 36

ნარუმლელი კვალი

ნათელი პიროვნების ნათელ ხსოვნას 40

ეთნოგრაფია

კლიმენტი კიკალიშვილი

ვაზი — სიმბოლო ეროვნულობისა..... 42

ყველაფერი ენაშია ჩაკირული 45

ლაშა გვასალია

უქმურეთის გაზაფხული 49

მომავლის იმედი

ვულოცავთ პატარა დემეტრეს!..... 50

დემეტრე გვასალია

ლექსები 52

დემეტრე, დემე, დემიკუნა, დემესიო... 53

პოეზია

თორნიკე ქავუშაია

ლექსები 55

ეთერ აბარონოვა

ლექსები 62

თარგმანები

რაისა მუზიჩენკო

ლექსები 64

ჰაინრიხ ჰაინე


სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაზე
(წიგნიდან „მოგზაურობის სურათები“)

წინა თავში მხოლოდ იმდენად ვლაპარაკობდი პოზიტიურ რელიგიათა შესახებ, რამდენადაც ისინი, როგორც სახელმწიფო რელიგიებად წოდებული ეკლესიები, სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობენ, მაგრამ არსებობს ღვთისმოსავი დიალექტიკა, ძვირფასო მკითხველო, და მისი დახმარებით შეიძლება უტყუარად დამტკიცდეს, რომ ასეთი სახელმწიფო რელიგიის საეკლესიო წყობის მტერი ამავე დროს რელიგიის მტერიც არის და სახელმწიფოსიც, მტერი უფალი ღმერთისა და ბატონი მეფისა, ანუ, როგორც ჩვეულებრივი ფორმულა ლაღდება: მტერი ტახტისა და საკურთხევისა. მე კი ვამტკიცებ, რომ ეს სიცრუეა, მე პატივს ვცემ ყოველი რელიგიის შინაგან სინამდის და სახელმწიფო ინტერესებსაც ვემორჩილები, და თუ მაინცდამაინც არ თანაუგრძნობ ანთროპომორფიზმს, ღვთის სიღიადე მაინც მნამს, და თუ მეფენი ისე ბრყვები არიან, რომ ხალხის სულისკვეთებას ანგარიშს არ უწვენ, ან იმდენად არაკეთილშობილნი, რომ მის დაწესებულებებს აბუჩად იგდებენ და დევნა-შევიწროებით შეურაცხჰყოფენ, მე ხომ მაინც ჩემი ღრმა რწმენით სამეფო ხელისუფლების, მონარქისტული პრინციპის, მომხრედ ვრჩები. მე ტახტი კი არა, მხოლოდ ცერცეტა არისტოკრატი მწერები მძულს, რომელნიც ძველი ტახტების ფულურობებში ბუდობენ და რომელთა ხასიათსაც ასე ზუსტად აგვიწერს მონტესკიე შემდეგი სიტყვებით: „მცონარეობასთან შეჯვარებული პატივმოყვარეობა, სულმდაბლობასთან შეერთებული ქედმაღლობა, შრომის გაუნეველად გამდიდრებისაკენ მიდრეკილება, სიმართლის ზიზღი, პირმოთნეობა, მოლაღატეობა, ვერაგობა, ფიცის გამტეხობა, მოქალაქეობრივი მოვალეობის უპატივცემულობა, შიში ხელმწიფეების სიქველეთა წინაშე და ინტერესი ხელმწიფეების მანკიერებათა მიმართ!“ მე საკურთხეველი კი

არა, ის გველები მძულს, ძველ საკურთხეველთა ძველმანებში რომ დაფუთფუთობენ, ჭკუასპიტი გველები, რომელთაც ისეთი უცოდველი ღიმილი ძალუძთ, როგორც ყვავილებს, მაშინ როდესაც ფარულად თავიანთ შხამს აწვეთებენ ცხოვრების ფიალაში და ცილისმნამებლურად სისინებენ სათნო მლოცველის ყურებში ეს სრიალა მატლები თავიანთი უწყინარი სიტყვებით:

Mel in ore, verba lactis,
Fel in corde, fraus in factis*.

სწორედ იმის გამო, რომ სახელმწიფოსა და რელიგიის მომხრე ვარ, მე მძულს ეს ნაბუშარი, სახელმწიფო რელიგიას რომ უწოდებენ, ეს საერო და სასულიერო ხელისუფლების უკანონო კავშირის ნიადაგზე წარმოქმნილი უბადრუკი არსება, ეს ანტიქრისტიე ულაყისა და ქრისტიანი დედალი ვირის შეჯვარების ნაყოფი ჯორცხენა. ასეთი სახელმწიფო რელიგია რომ არ არსებობდეს და უპირატესობა არ ენიჭებოდეს განსაზღვრულ დოგმატებსა და რიტუალებს, მაშინ გერმანია ერთიანი და ძლიერი იქნებოდა, ხოლო მისი პირმშონი – დიადნი და თავისუფალნი, ახლა კი ჩვენი უბედური სამშობლო ნაფლეთებად არის ქცეული. რელიგიურ კინკლაობათა გამო ხალხი გათიშულია მტრულ რელიგიურ პარტიებად, პროტესტანტი ქვეშევრდომნი ექიშპებიან თავიანთ კათოლიკე მთავრებს ან პირიქით, ყველგან მოუსვენარი ეჭვიანობაა – სადმე ფარული კათოლიციზმი ანდა ფარული პროტესტანტიზმი ხომ არ არ-



* ბაგეზე-თაფლი, რძიანი სიტყვები, გულში – სიცრუე, ღალატი – საქმეში (ძველებური ეპიგრამა იეზუიტებზე).

სებობსო, ყველგან ურჯუკობაა, ჯაშუშობა, პიეტიზმი, მისტიციზმი, საეკლესიო გაზეთებში ცხვირთა სუნსული, სექტანტური სიძულვილი, მისიონერომაზია და ვკამათობთ რა ზეცის შესახებ, ჩვენ ვიღუპებით დედამინაზე. მხოლოდ რელიგიური საკითხებისადმი გულგრილობასაც კი შეეძლო ჩვენი ხსნა და რწმენის დასუსტებით გერმანია პოლიტიკურად გაძლიერდებოდა.

თავად რელიგიისთვისაც, მისი წმინდა არსისთვისაც ასევე დამღუპველია, როდესაც პრივილეგიებით სარგებლობს, როდესაც მის მსახურთ გამოჩვევით ეძლევათ დოტაცია სახელმწიფოსაგან და, თავის მხრივ, ამ დოტაციის შენარჩუნებისათვის მოვალენი არიან სახელმწიფოს დაუჭირონ მხარი, და, ამრიგად, ხელი ხელსა ჰბანს, სასულიერო – საეროს და პირიქით, და ტყდება ერთი ხელების ღვრეჭა, რაიც ესოდენ ბრიყვეულია უფალი ღმერთისათვის და ამაზრზენი ადამიანისათვის. ამის გამო, თუ სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი ჰყავს, ისინი იმ რელიგიის მტრებიც ხდებიან, რომელსაც სახელმწიფო უწევს მფარველობას და ამდენად მის მოკავშირეს წარმოადგენს, და თვით ყველაზე უცოდველ მორწმუნეებსაც კი ეპარებათ ეჭვი, როდესაც გუმანით ხვდებიან რელიგიის პოლიტიკურ ტენდენციებს. მაგრამ სამღვდელოების ქედმაღლობა ყველაზე ამაზრზენი იმ შემთხვევაშია, როდესაც იგი სამსახურისათვის, რაც მან, მისი აზრით, სახელმწიფოს გაუნია, თავს უფლებამოსილად თვლის მისი დახმარების იმედი ჰქონდეს და სულიერი ბორკილების სანაცვლოდ, რომელნიც მან ხალხთა დასამონებლად სახელმწიფოს დაუთმო, თავის განკარგულებაში იქონიოს მისი ხიშტები. რელიგია არასოდეს არ შეიძლება ისე ძლიერ დაეცეს, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი საშუალებებით სახელმწიფო რელიგიამდე მალდება. ამ შემთხვევაში მისი შინაგანი უმანკოებაც იბლალება და მაშინ ისე საჯაროდ აჩენს თავის სიამაყეს, როგორც ოფიციალური საყვარელი. მართალია, მაშინ უფრო მეტ პატივისცემასა და მოკრძალებას იჩენენ მისდამი, იგი ყოველდღიურად სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს ზეიმობს ბრყინვალე პროცესებით და ამგვარ ტრიუმფებზე

თვით ბონაპარტისტი გენერლებიც კი დააბიჯებენ სანთლებით ხელში, მის ბაირალს ერთგულებას ეფიცებიან თვით ყველაზე ზვიადი ადამიანებიც კი, ყოველდღიურად მოიქცევიან და მოინათლებიან ურწმუნონი, მაგრამ ამდენი წყლის დასხმით წვნიანი წყალწყალა ხდება და სახელმწიფო რელიგიის ახალი რეკრუტები ფალსტაფის მიერ დაქირავებულ ჯარისკაცებსა ჰგვანან, – ისინი მხოლოდ ავსებენ ეკლესიას. საკუთარი თავის მსხვერპლად მოტანაზე ხომ უკვე ლაპარაკიც ზედმეტია. როგორც სოვდაგრის შეგირდები საქონლის ნიმუშებით, ისე მგზავრობენ მისიონერები თავიანთი ტრაქტატუნებითა და სულის საცხონებელი წიგნებით ხელში. ამგვარ საქმიანობას ახლა საფრთხე აღარ ახლავს თან და მთლიანად მერკანტილურ-ეკონომიურ ფორმებში წარმოებს.

მხოლოდ იქამდე არიან რელიგიები დიდებული და პატივისცემის ღირსნი, ვიდრე მეტოქეები ჰყავს და უფრო მეტად განიცდიან დევნას, ვიდრე თავად სდევნიან სხვას, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი აღფრთოვანება, საკუთარი თავის მსხვერპლად მოტანა, მარტვილობა და დიდების შარავანდედი. რა მშვენიერი, რა წმინდა და უტკბესი, რა იდუმალ სანუკვარი იყო პირველ საუკუნეთა ქრისტიანობა, როდესაც იგი ჯერ კიდევ თავის ღვთაებრივ დამაარსებელს ჰგავდა გმირული ტანჯვა-წამებით. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხლობდა მშვენიერი ლეგენდა საიდუმლოებრივ ღმერთზე, რომელიც ნაზი ყმანვილის სახით ვიდოდა პალესტინის პალმების ჩრდილში და მონების სიყვარულს ქადაგებდა, და გამოეცხადა ქვეყანას მოძღვრება თავისუფლებისა და თანასწორობისა, მოძღვრება, შემდგომ უდიდესმა მოაზროვნეებმაც ჭეშმარიტებად რომ ცნეს და დღეს კი ფრანგების სახარება გამხდარა და მთელს ჩვენს ეპოქას ალაფრთოვანებს. შეადარეთ ქრისტეს ამ რელიგიას სხვა ქრისტიანული რელიგიები, სხვადასხვა ქვეყნებში სახელმწიფო რელიგიებად დამკვიდრებულნი, მაგალითად, რომის სამოციქულო-კათოლიკური ეკლესია, ან ის პოეზიას მოკლებული კათოლიციზმი, რომელიც High Church of England-ის* სახით ბატონობს, – მჩქეფარე სიცოცხლის ყოველგვარ

* ინგლისის უზენაესი ეკლესია (ინგლ.).

ნიშანწყალს მოკლებული რწმენის ეს უბადრუკი, გამოფიტული ჩონჩხი. ისევე როგორც ხელოსნობას, რელიგიებსაც ვნებს მონოპოლისტური სისტემა, თავისუფალი კონკურენცია მათ ძლიერებას უნარჩუნებს და ისინი მხოლოდ მაშინ გაიფურჩქნებიან თავდაპირველი სიდიადით, როდესაც კულტა პოლიტიკური თანასწორობა, ასე ვთქვათ, ღმერთთა სამრეწველო თავისუფლება იქნება შემოღებული.

ევროპის უკეთილშობილესმა ადამიანებმა უკვე დიდი ხანია აღიარეს, რომ ეს რელიგიის სრული განადგურებისაგან გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ მისი მსახურნი უფრო ადვილად საკურთხეველს გასწირავენ, ვიდრე თუნდაც იმის მცირეოდენ ნაწილზე იტყოდნენ უარს, რაც ამ საკურთხეველზე იწირება; ისევე როგორც თავადაზნაურობა უფრო ტახტსა და მასზე ქედმაღლურად დაბრძანებულ ქედმაღალ მბრძანებელს გასწირავს დასალუპავად, ვიდრე ნებაყოფლობით იტყოდეს უარს თავის ყველაზე უსამართლო პრივილეგიაზე. ტახტისა და საკურთხეველის მხურვალე ერთგულება მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევად გათამამებული კომედიაა! მან, ვინც საქმეში ჩახედულია, იცის, რომ ხუცები ბევრად უფრო ნაკლებად სცემენ პატივს ღმერთს, ვიდრე ერისკაცნი, და მას თავიანთი სარგებლობისთვის და თავიანთი შეხედულები-სამებრ თითხნიან პურისა და სიტყვისაგან, და რომ თავადები და აზნაურები ბევრად უფრო ნაკლებად სცემენ პატივს მეფეს, ვიდრე რომელიმე უაზნო და გულის სიღრმეში დასცინიან და ეზიზღებათ კიდევ მონარქია, საჯაროდ კი ამდენ მოკრძალებას იჩენენ მისდამი და სხვებისაგან ამასვე მოითხოვენ. ჭეშმარიტად, ისინი იმ ადამიანებს ჰგვანან, რომლებიც თვალზე დაჭყეტილ ხალხს ფულზე უჩვენებენ საბაზრო სცენაზე ვინმე ჰერკულესს ან გოლიათს, ან ქონდრისკაცს, ან ველურს, ან ცეცხლის მყლაპავს, ან სხვა რამით ღირსშესანიშნავ ადამიანს და გადაჭარბებული მჭევრმეტყვე-

ლებით ქება-დიდებას ასხამენ მის ძლიერებას, სიდიადეს, გამბედაობას, შეუვალობას, ხოლო თუ იგი ქონდრისკაცია, მის სიბრძნეს, და თან ბუკსა და ნალარას ახმიანებენ და ტანთ ჭრელი კურტაკები აჯაჯიათ, მაშინ როდესაც გულის სიღრმეში პირდაღებული ხალხის გულუბრყვილობას დასცინიან და მასხარად იგდებენ თავიანთი ქება-დიდების საბრალო ობიექტს. მის ყოველდღიურ ჭვრეტას შეჩვეულნი არიან, მის სუსტ მხარეებსა და გაზეპირებულ იონბაზობას ერთობ კარგად იცნობენ და ამიტომაც სულაც აღარ აინტერესებთ.

არ ვიცი, კიდევ დიდხანს მოითმენს თუ არა უფალი ღმერთი იმას, რომ ხუცები მისი სახელით უბრალო ფიტულს ასალებენ და ამით შოულობენ ფულს. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს „ჰამბურგის უპარტიო მოამბეში“ ნავიკითხავ, რომ მოხუცი იელოვა აფრთხილებს ყველას, არ ერწმუნონ მისი სახელით მოქმედ არც ერთ ადამიანს, ვინც უნდა იყოს იგი, თვით მის საკუთარ ძესაც კი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოვესწრებით იმ დროს, როდესაც მეფეები აღარ მოისურვებენ მათი მოძულე თავადაზნაურობის ხელში თოჯინების როლი ითამაშონ, გადაუხვევენ ეტიკეტს, გამოძვრებიან მარმარილოს გალიებიდან და ბრაზით გადაისვრიან განზე ბრწყინვალე ფალასფულასს, რაც ხალხზე ზემოქმედებისათვის იყო განკუთვნილი: ჯალათის ხალათივით შემზარავ ძონისფერ მანტიას, აღმასებით მოჭედულ გვირგვინს, ყურებად რომ ჰქონდათ ჩამოფხატული, რათა ხალხის ხმა არ გაეგონათ, ოქროს კვერთხს, რომელიც მათთვის ხელში ჩაედოთ, როგორც ძალაუფლების თვალსაჩინო სიმბოლო, – და განთავისუფლებული მეფეები სხვა ადამიანე-ბივით თავისუფალი შეიქნებიან, თავისუფლად ივლიან მათ შორის, თავისუფლად იგრძნობენ თავს, თავისუფლად დაქორწინდებიან, თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, და მეფეთა ემანსიპაციაც სწორედ ეს არის.



ჯემალ შონია

ძართალი, აძაღლებული პოეზია



ჟურნალი „მიჯნა“ დაბადების 80 წლისთავს ულოცავს აფხაზეთის ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, პოეტს, პროზაიკოსსა და პუბლიცისტს ბატონ მურმან ხურცილავას, უსურვებს მას მტკიცე ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს და მალე დაბრუნებას სოხუმში, მშობლიურ კერაზე.

ქვემოთ გთავაზობთ მურმან ხურცილავას გასულ წელს გამოცემული „ერთტომეულის“ წინასიტყვაობას და რამდენიმე ლექსს ამ წიგნიდან.

მურმან ხურცილავა თავიდანვე გამორჩეული იყო სოხუმში მოღვაწე იმ შემოქმედთა შორის, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ. ეს გამორჩეულობა მარტო უზადო პოეტურ ნიჭსა და თავიდანვე გამოკვეთილ საკუთარ ხელწერას არ ნიშნავდა, ამას ზედ ერთოდა შესაშური პიროვნული თვისებები: თავმდაბლობა, უშუალოება, სინწრფე და ჯანსაღი მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელსაც ოთხმოცი წლის პოეტი დღესაც არ ღალატობს და გულშიც კი არ გაუვლია, რომ თავისი ეროვნული მრწამსი რაიმე ყოფით კეთილდღეობაზე გაეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ არნახულ გაჭირვებასა და განსაცდელში უხდება ცხოვრება.

მურმან ხურცილავა დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ აბედათში 1939 წლის 10 ივლისს. 1949 წლიდან მისი მშობლები საცხოვრებლად სოხუმში დამკვიდრდნენ; აქ მან დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1962 წელს – სოხუმის პედაგოგიკის ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მურმან ხურცილავას შრომითი საქმიანობა განუხრელადაა დაკავშირებული გამოცემლობა „ალაშარასთან“, სადაც მან მეოთხედ საუკუნეზე მეტი გაატარა; მუშაობდა გამოცემლობის ქართული რედაქციის ჯერ კორექტორად, შემდეგ რედაქტორად, განყოფილების გამგედ, დირექტორად. ეს წლები

დახუნძლული იყო ინტენსიური ურთიერთობით როგორც აფხაზეთში მოღვაწე ქართველ და აფხაზ მწერლებთან, ისე სოხუმში ჩამოსულ შემოქმედებთან თბილისიდან, ქუთაისიდან თუ საქართველოს ფარგლებს გარედან. მურმან ხურცილავა ყველას ხიბლავდა ყურადღებით, უშურველობითა და უბრალოებით, იგი ყველას მეგობარი იყო, ყველას პირუთვნელი მრჩეველი. ვინ დათვლის, თუ რამდენი პოეტური თუ პროზაული კრებულია „ალაშარაში“ გამოცემული მისი რედაქტორობით, ყველა მათგანს ბ-ნი მურმანის მზრუნველი, პროფესიონალის ხელი ატყვია. არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ჩემი პირველი პოეტური კრებულის რედაქტორი, ანუ გზის დამლოცავიც მურმან ხურცილავა გახლავთ.

თვითონ მურმან ხურცილავას ლექსების პირველი კრებულის გამოცემა სოხუმში ჩემი სტუდენტობის პერიოდს ემთხვევა. აქედან იწყება ჩემი ნაცნობობა ავტორთან და მის მშვენიერ პოეზიასთან. წიგნის გამოსვლამდე ვეცნობოდი მის ლექსებს პერიოდული პრესის ფურცლებზე. სწორედ იმ დროიდან მახსოვს მისი ასეთი დახვეწილი პოეტური სახეები: „ხომალდი მთვარის ნაკვალევს მისდევს და ტალღებს, როგორც ბადებს, გაშლის და თოლიები ყვინთავენ ისე, თითქოს ვარსკვლავებს კენკავენ წყალში“, „აიკეცავენ ჩრდილებს ფრთებივით და მიყურდება შრიალი მათი და მოლანდება მალალი მთების ღამით ქალაქის

ქუჩებში დადის“... ამ სახეებმა პოეტის პირველი ნიგნიც დაამშვენეს – 1967 წელს გამოცემული კრებული „მაღალი ცა“. ამ წარმატებულმა დებიუტმა, თვით ნიგნის სახელწოდებამ ხაზი გაუსვა შემოქმედის ლტოლვას სიმაღლისაკენ, რაც თავისთავად მშვენიერისაკენ, წმინდისაკენ, სიკეთისაკენ სწრაფვას ნიშნავს. „მაღალი მთების მოლანდების“ მსგავსად, პოეტური გზის დასაწყისშივე იგი ხშირად ჰგვრის მკითხველს სიმაღლის განცდას ამნაირი სტრიქონებით: „ხეები გრძნობენ ხელის შეხებას, ქუჩებს ნაცნობი სურნელი ასდის... ჩვენ დავშორდებით, შემდეგ შეხვედრას რომ ჰქონდეს მეტი სითბო და ფასი... და ჩვენ ხმამაღლა შევეძახით გვინდა და ამ ცასავით მაღლდება სული და ცისკრის ნიავს ამოაქვს ზღვიდან მარილისა და ნიჟარის სუნი“; „ცას უღიმოდა თვალები ფართო, თვალები ჰქონდა ცასავით ღია... და ელნათურა მაღალ ოთახში ცალ თვალს უმწეოდ აფახურებდა“; „ჩემი შრიალით ითვლიან დღეებს, მათი ცხოვრება ამგვარად მიდის და ისე, როგორც ქალაქის ხეებს, არვის სწყურია სიმაღლე დიდი“...

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მურმან ხურცილავა ბოლომდე რჩება ერთგული თავისი მოქალაქეობრივი მრწამსისა. ამაში, რა თქმა უნდა, იმ პოეტური კრელოს ერთგულებაც იგულისხმება, რომელიც თავიდანვე გამოიკვეთა მის შემოქმედებაში. სიახლის ძიების გზა მრავალფეროვანია, სათქმელის გამოხატვის საშუალებები უამრავია, მაგრამ უცვლელია ერთხელ აღებული გეზი სიმაღლისა და სრულყოფილებისაკენ, რაც მისი შემდგომი კრებულების წარმატებებს განაპირობებენ. ლექსებიდან ადგილების მოხმობას თავიც რომ დავანებოთ, პირველი კრებულის მსგავსად, მარტო ნიგნების სახელები მეტყველებენ არჩეული გზის ერთადერთობაზე: „აღმართი“, „გადასახედი“, „საფეხურები ცისკენ“... და ამ არჩეული მიმე გზით მსვლელობას თუ ლტოლვას ადასტურებს 2011 წელს თბილისში გამოცემული კრებული ასევე ღრმა შინაარსით დატვირთული სახელწოდებით: „თემის გაგრძელება“.

ამ ნიგნისთვის მურმან ხურცილავას გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია მიენიჭა. წინასიტყვაობაში ნიგნის რედაქტორი გენო

კალანდია წერს: „ჩვენი ძმობის ერთ-ერთი ჩინებული რაინდი სამშობლოდან დევნილი და გარიყული აღმოჩნდა... უფალი ყველაფერს ხედავს და ისე არ განირავს სულით ხორცამდე პოეტური ნიჭით, იშვიათი მორალური თვისებებით სავსე შემოქმედს ერთხელ მაინც არ ათქმევინოს: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

მურმან ხურცილავას, უპირველესად, მკითხველი იცნობს, როგორც პოეტს, მაგრამ იგი ძალზე საგულისხმო მოთხრობებისა და რომანის ავტორიც არის. მისი პროზაული ნაწარმოებები ჯერ კიდევ აფხაზეთის ტრაგედიამდე იბეჭდებოდა ჟურნალ „რინაში“ და პრესის ფურცლებზე, ცალკე ნიგნადაც უნდა გამოსულიყო, მაგრამ ომმა, როგორც ყველაფერს, ამ ჩანაფიქრსაც ხაზი გადაუსვა. აი, როგორ შეფასებას აძლევდა გამოცდილი პროზაიკოსი გიორგი სიჭინავა მურმან ხურცილავას უკვე გამოქვეყნებულ მოთხრობებს მწერლის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში:

„ამ ბოლო დროს მკითხველი საზოგადოება მ. ხურცილავას პროზაულ ნაწარმოებებსაც გაეცნო. აღმანახ „რინასა“ და პერიოდულ პრესაში რამდენიმეჯერ დაისტამბა მისი პატარა მოთხრობები. თითოეული მოთხრობა ძალდაუტანებლად და ინტერესით იკითხება. მწერალი საინტერესოდ ხსნის ნაწარმოების გმირთა სულიერ სამყაროს, პროზაული სიღინჯით, დამაჯერებლად ძერწავს მათ ხასიათებს...“

მურმან ხურცილავამ თავისი პროზის წიგნად გამოცემა მხოლოდ 2012 წელს, დევნილობაში საქართველოდან შორს მყოფმა მოახერხა.

რაც შეეხება აფხაზეთის ქართველობის ხვედრს – დევნილობას, ეს განსაკუთრებით მძიმე გამოდგა მურმან ხურცილავას ქართულ-აფხაზეთი ოჯახისათვის. სეპარატისტთა შურისძიებას გადარჩენილი, ტყვეობიდან თავდახსნილი მწერალი ორი ათეული წლის განმავლობაში სამშობლოდან შორს ცხოვრობდა; მეუღლე სოხუმში დარჩა, ოჯახურ კერას ვერ მოსწყდა. შვილები კვლავ საზღვარგარეთ არიან, თვითონ ბატონი მურმანი კი 5 წელია, რაც მარტოდმარტო ცხოვრობს თბილისში ისე, რომ საკუთარი ქერი და ბინა არ გააჩნია... ამიტომაც არის მისთვის განსაკუთრებული აფხაზეთთან დაკავშირებული ტკივილი – ეს

საქვეყნო და პირადი ტრაგედია, რომელიც სამად გაყოფილი ოჯახის პატრონს ისევ და ისევ მამულის უკუღმართი ბედის ფიქრითა და დარდით ათქმევინებს: „აფხაზეთო, დღეს სიზმარში გხედავ – შორეულ და მონატრებულ დედას. დღეს არ რეკავს განთიადის ზარი, უცხო სადგურს შევეხიზნე მგზავრი. ლოდინი და მარტოობა მიწვეს...ო, არ მინდა დედინაცვლად იქცე“.

დევენილობის მძიმე პერიოდი მწერალმა შთამბეჭდავად წარმოაჩინა თავის ახალ წიგნში „დევენილის ჩანაწერები“, რომელიც 2018 წელს გამოიცა.

მიუხედავად ამდენი ვაებისა და უბედურებისა, მურმან ხურცილავა კვლავაც შეურყეველი რწმენით, შეურყვნილი გულითა და ახალგაზრდული სინრფელით ამბობს თავის სათქმელს. ამის დასტურია ეს ერთტომეულიც, რომელიც ერთგვარად აჯამებს პოეტის მრავალფეროვან შემოქმედებას და მისი ცხოვრების ძნელი, მაგრამ წარმატებული აღმართების მონაგარზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის. იმასაც აღვნიშნავ, რომ ამ წიგნში ავტორმა კუთვნილი ადგილი დაუთმო თარგმანებსაც, რომლებიც მისთვის ჩვეული მაღალი მხატვრულობითა და გემოვნებით არის შესრულებული.

მჯერა, ამ ერთტომეულსაც გულთბილად მიიღებს მკითხველი, რომელიც მურმან ხურცილავასთან ყოველთვის ელოდა თავისი სატკივარ-საფიქრალის გახმოვანებას და ამ მოლოდინში არც არასოდეს განზილებულა. ეს არის შემოქმედის სიტყვის ძალაც და მადლიც, პასუხისმგებლობაცა და სტიმულიც.

აქ კიდევ გავიმეორებ თავიდანვე თქმულს და აღვნიშნავ, რომ ქართველებისა და წინააღმდეგობების, გაჭირვებისა და ღირებულებათა აღრევის ამ უმძიმეს სამ ათეულ წელიწადში ბევრი კალმოსანი გატყდა და თავის გადასარჩენად არც ისე უძრახველ გზას დაადგა – ბევრი კი არა, იქნებ უმეტესობაც, ხოლო მურმან ხურცილავა იგივე დარჩა და შეინარჩუნა ღირსეული შემოქმედის სახელი.

მურმანის მართალი და ამაღლებული პოეზია მის ავტორს ჰგავს, ამიტომაც სჯერა მკითხველს მისი მხატვრული სიტყვისა.

ყველაზე უკეთესად საკუთარი მრწამსი, მოქალაქეობრივი სინდისი და ღირსებები თვითონ ასე აქვს გადმოცემული პოეტს:

„მურმან! თავს ნუ გაიფუჭებ, სახელი გაქვს კაი ყმისა, აბედათის აღმართებზე ქვაც არ გდია შენი ხნისა, სიმართლის გზას ნუ დააგდებ, გულს თუ დარდი შეეხიზნა... არ გჭირდება ბროლის კოშკი, არც ოქროთი სავესე ქისა, მაცთუნებელს ნუ აპყვები, იმყოფინე, რაც გაქვს, ისა“.

სიმართლის გზა ყოველთვის მძიმეა, ეს კი ყველაზე უკეთ იმან იცის, ვინც ამნაირ გზაზე დგას. ეს მშვენივრად უწყის მურმან ხურცილავამაც, ჩვენ კი ის ვიცით და გვწამს, რომ ამ გზაზე იგი კვლავაც აივლის ბევრ აღმართს და ახალი წიგნებით გაგვახარებს... თანაც...

თანაც ღმერთმა ქნას და თავის კერას დაჰბრუნებოდეს, თავის ცოლ-შვილთან ყოფნით განახლებოდეს შეწყვეტილი ბედნიერება, ენახოს თავისი ოცნების სამშობლო და კვლავაც გვახილვოს თავის სანუკვარ „ალაშარაში“ გამოცემული წიგნები.



მურმან ხურცილავა

ცისფერი თოვა

მახსოვს ზამთარი მე შარშანდელი,
მახსოვს თოვლი და ცისფერი თოვა,
მაინც სხვა იყო ის ჟრუანტელი,
რომელიც ალბათ არასდროს მოვა.

თოვლს ჰქონდა შენი თვალების ფერი,
თოვლი მღეროდა, მაგრამ გოდებას
ჰგავდა სიმღერა. ამაოდ ველი,
ალბათ არასდროს განმეორდება.

რწმენა, ფიცი თუ მოვალეობა –
დღეს ყველაფერი მადევს ხუნდებად,
ის ხმა ნისლივით გაჰყვა ხეობას,
ვიცი, არასდროს არ დაბრუნდება.

განმეორდება, იქნებ, სიზმარში –
გაგრძელებაა სიზმარი ფიქრის,
ჯერ კი ზმანების, ჯერ კი მირაჟის,
გაურკვეველობის წიაღში მივქერი.

მე შარშანდელი მახსოვს ზამთარი,
მახსოვს თოვლი და ცისფერი თოვა,
უსასრულობის გზაზე დამდგარი,
ის ჟრუანტელი არასდროს მოვა.

უფლისციხე

დგას ციხე – ცისკენ მხრებანეული,
საკმარისია თვალის შევლებაც,
რომ იგრძნო ორი ათასწლეულის
ქვადგარდაქმნილი საკვირველება.

საუკუნეებს საფეხურებით
ვითვლი და ასე ავდივარ მაღლა,
მაფორიაქებს, დამეუფლება,
აიფოფრება წარსულის ტალღა.

და ისტორიის ფურცლები ვრცელი
გადაიშლება ვინრო ჩარჩოდან,
ორი ათასი კვიმატი წელი
ციხემ მუხლებზე წამოაჩოქა.

წამოაჩოქა და, აი, დღემდე
დგას უკვდავება, ასული ცამდი...
ჩრდილი ხვლიკივით მიცოცავს ქვებზე,
კედელს აჰკვრია წინაპრის ლანდი.

მზის ჯამბაზები ქვის დარბაზებში
ძველი დიდების კვალს დაეძებენ
და ჩუქურთმები, როგორც ძარღვები,
ისე ფეთქავენ მყუდრო კედლებზე.

მეგობრებს

თქვენ ახლა ჩემგან შორსა ხართ ისე,
გზას თუ იპოვი მხოლოდ შემთხვევით.
ვიცი, არ მკითხავთ სიჩუმის მიზეზს
და ძველებურად გადამხვევით.

ვარ მინდობილი მოსაწყენ ფიქრებს
და მეჩვენება სიზმარი ცხადად.
მხოლოდ იმიტომ დაგმორდით იქნებ,
რომ უთქვენობა გამომეცადა.

გაგიკვირდებათ მეგობრებს, მჯერა,
როგორ შევძელი დუმილი დიდხანს,
მძულს მიამიტი წერილის წერა
და უეცარი შეხვედრა მიყვარს.

დღეს, მართალია, არა ვარ თქვენთან,
მაგრამ მე თქვენი სიშორეც მშველის...
ხომ უნდა ვინმეს უყვარდე ქვეყნად,
ხომ უნდა ვინმეს სჯეროდეს შენი?

გადამიარეს თეთრმა ღრუბლებმა
და მათთან ჩემი ოცნებაც მიქრის.
„დედაო ღვთისაგ!“ – მეჩურჩულება
გალაკტიონის პატარა წიგნი.

თუ უთქვენობას აქამდე ვითმენ,
დადგება ჩემი სიმღერის ჯერიც,
ოლონდ, ბიჭებო, ვუყვარდეთ ვინმეს
და ვინმეს მართლა სჯეროდეს ჩვენი.

მამა

ზეცა დამყურებს შენი თვალებით,
ტკივილით მავსებს ყოველი წამი,
სალამოვდება. მთას ეფარება
ამავალი მზე, დაღლილი ჟამით.

შარშანდელივით ეს წელიც გავა
და გამიჩნდება ახალი საქმე.
მე შენს საფლავთან მუნჯივით ვდგავარ,
მხოლოდ სურათი ღალადებს სათქმელს.

რა წამებითაც გალიე დღენი,
არ შეუნახავს ფერწასულ სურათს,
და დამსხვრეულა სიცილი შენი
როგორც წყაროსთან იმსხვრევა სურა.

წიქარა

დაბერდა ჩვენი იმედი –
რქამოტეხილი წიქარა...
ქალაქში წავიყვანოთო! –
არავინ არ გაიკარა.
ცალი რქით ეცა ბაბუას,
თითქოსდა ჯავრი იყარა.
მანც მოდრიკეს, გატეხეს,
წამოაჩოქეს წიქარა.
შეკრეს და დადეს ურემზე, –
ურემი გადაიხარა...
აქეთ მე მწარედ ვტიროდი,
იქით ცრემლს ღვრიდა წიქარა.

ვაი შენ, ჩემო წიქარა,
აქ მომკვდარიყავ, იქ არა.

კოლხური თიბათვე

რამდენმა წელმა
ჩამიქროლა, როგორც ალაღმა.
ვლოცავ სრულიად საქართველოს –
ამერს და იმერს.
ვლოცულობ ჩემთვის,
მოქადაგე კაცი არა ვარ

და ამ ლოცვაში
მიმჩატდება უღელი მძიმე.

წმინდა სანთელი,
მამიდეებს, და სახვალთ
გზა რომ გაჩნდება,
იმ ჭეშმარიტ გზას გამინათებს...
კოლხეთის ველზე
ფხიზლად ხვდება ყოველ ალიონს
ხოხბის ფრთასავით
მოშრიალე ჭრელი თიბათვე.

**ჩემო კოლხეთო, შენ ხარ ზვარაკი
(ომის გამოძახილი)**

სავსე ვარამით და სიმძიმით,
შენი ყოველი დღე ინისლება,
გაბზარულია მამლის ყვილი
და თოფნაკრავი შენი ღირსება.

დავინწყებიათ ქორებს ნავარდი,
ჟამი სიმშვიდის და მყუდროების,
კვამლს დაუფარავს დილა ლაჟვარდი
და ხოხბისფერი სალამოები.

ჩემო კოლხეთო, შენ ხარ ზვარაკი
შურის, ღალატის და განბილების...
იძვრის წინაპრის ძვალთშესალაგი,
დაუნწყვეტია ჩონგურს სიმები.

დედის ნანინა გოდებად იქცა,
შენი ტკივილი სხვას არ სტკენია
და კურთხეული ღვთისაგან მიწა
მარტოკა შერჩი ცეცხლს და გენიას.

სოფელ და სოფელ დადის ორგული,
დადის კაენი – ძმის სისხლით მთვრალი,
როგორც მერანი მხედარმოკლული,
ტეხურჭალაში ჭიხვინებს ქარი.

ამ ცოდვის ტრიალს შევყურებ როცა,
მეწვის ჭრილობა, ჩემო კოლხეთო,
გიშველოს ჩემმა ცრემლმა და ლოცვამ,
მამაუფალმა შენ გადმოგხედოს!

აფხაზეთი

არ დაკარგულა, აფხაზეთი არ დაკარგულა,
ჩამარხულია გულისგულში ყველა დევნილის,
წუთისოფელმა იმდაგვარი ბედი გვარგუნა,
ჩვენს სულთან არის შენივთული და განფენილი.

ის მოლოდინის სევდაშია. სევდა ფარული
შემოვლებია ჩვენს არსებას გლოვის არშიად,
შეუცდომელი მოკრძალება და სიყვარული
მოუშუშებელ ტკივილსა და ჭრილობაშია.

და სიხარულის ნალველშია, ნალველი ყველგან
მოხეზრებული აჩრდილივით აგვდევნებია...
რა ვუყოთ ფიქრებს, მწარე ფიქრთა მოვარდნილ
დეღემას?
ფიქრები ზეცას შეფრქვეული შადრევნებია.

სიმღერა სოხუმზე

ქალაქს ადნება მზე გაზაფხულის,
ახლა სოხუმში ყვავის მიმოზა...
ჩემი ნატვრის ხე, ტანგაძარცული,
ვერ გაიშალა, ვერ შეიმოსა.

მადლობა უფალს, გადარჩა ფესვი —
ბედის ვარსკვლავმა ასე ინება —
და მისი ჩუმი ვედრება მესმის,
როგორც წარსულის აქვითინება.

ჩემო სოხუმო — ჩემო ოცნებავ,
შენ გაბრწყინდები ძველი დიდებით,
ჩემი ნატვრის ხეც შეიმოსება,
ფრთებს გამოვისხამ და მოვფრინდები.

გავახსენდები „დიოსკურიას“
და ნაცნობ ხეებს სანაპიროზე,
მათთან შეხვედრა ისე მწყურია,
როგორც სწყურიათ კოცნა მიმოზებს.

ფეთქავს იმედი უკანასნელი,
თან არ მეშვება შიშიც ფარული:
ვიცი, ჩაქრება, თუ დავაკელი
ალერსი, სითბო და სიყვარული.

და როგორც ქარში სანთლის ანთებას
სჭირდება მოვლა და მოფერება,
ისე ცრემლიან ჩემს მონატრებას
ამ სიყვარულით თუ ეშველება.

ჩემო სოხუმო — ჩემო ოცნებავ,
შენ გაბრწყინდები ძველი დიდებით,
ჩემი ნატვრის ხეც შეიმოსება,
ფრთებს გამოვისხამ და მოვფრინდები.

**სიზმარი
(ისევ სიმღერა)**

გამოვედევნე გაქცეულ ირემს,
ვერ მივანვდინე ქარში ისარი,
წამოიმართა ღრუბელი მძიმე,
მანათობელნიც ჩაქრნენ ცისანი.

წამომეპარა გზაზე ზამთარი,
თოვლმა დაფარა კვალი ირმისა,
წამსვე გავარდა ხალხში სახელი
ხელმოცარული მონადირისა...

ვაი, ირემო, იქნებ დაჭრილო,
გეძებ, როგორმე გადაგარჩინო,
დაგეძებ ხევში, მივინევ ზემოთ,
სად დამეკარგე, ირემო ჩემო?!

შრიალებს ქარი, ირხევა წნორი,
უცებ ძახილი მომესმა შორი:
„მზის ქალაქში ვარ, სოხუმ-ქალაქში,
ზღვის ტალღებს ჰკითხე, როგორ გადავ-
რჩი“.

მივეყვი ამ ხმას... ნატვრა ამიხდა! —
გაბრწყინებული მნათობის შუქზე
გამოჩნდა ზღვაც და მყუდრო ნაპირთან
ჩემს სიყმანვილეს თვალეში ვუმზერ.

აი, ნაცნობი ფერი და გემო,
ნაცნობი სახლი, ნაცნობი ჩერო,
ცა მშობლიური და საოცნებო,
მადლობელი ვარ, ირემო ჩემო!

.....
მადლობელი ვარ, ირემო ჩემო!

ლაშა გვასალია

დოსტოევსკი- ურწმუნო გენიოსი...

ეს დღეები დოსტოევსკი თავიდან წავიკითხე, ვინ იცის მერამდენედ. ახალს არაფერს ვიტყვი იმით, რომ გენიოსია... ოღონდ ურწმუნო გენიოსი...

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან სარწმუნოებაზე ქადაგებს, ეს მარადიულ წინააღმდეგობათა შემოქმედი, რომელიც რაც უფრო გულდასმით საუბრობს ღმერთზე და ქადაგებს მართლმადიდებლობის უპირველესობაზე, მით უფრო ნაკლებად სჯერა საკუთარი სიტყვებისა. არა სწამს ერთხელ და შეუცვლელად დადგენილი: მყარი, ეჭვიუტანლად სათნო, გამბედნიერებელი, მშვიდი, ცამდე აზიდული სარწმუნოებისა და ებრძვის საკუთარ თავს. სიტყვა გამბდარა მისი ბრძოლებისა და ტკივილების ხელშეუხებია, დაუსრულებლად საკითხვისნიშნო საგანი. მთავარი კი ისაა, რომ მას სწყურია რწმენაში შესვლა, რწმენით ცხოვრება, მაგრამ ამოუხსნელი და პასუხგაუცემი კითხვები ანგრევენ, ამსხვრევენ ყველაფერს მის გარშემო. მისი ანაფორიანი გმირიც დაბნეულია, ქადაგებს იმას, რაც ევალება, რაც „აუცილებელია“, მაგრამ გულში სხვა ცეცხლი უგიზგიზებს. ამ ეჭვებისა გამო თითქოსდა მოხრილია, წელსა და ბეჭებში ბოლომდე ვერ გამართულა.

დოსტოევსკის სჯერა, რომ თავადაც ჯვარზეა გაკრული ამ ურწმუნობისა გამო. დიახ, რწმენის ჯვარზე და ხშირად სვამს კითხვებს: „მამ რა? ვინ? როგორ? რატომ? რისთვის?.. ეწინააღმდეგება საკუთარ გონებას, აზრებს და ქადაგებს იმას, რისიც თავადაც არ სჯერა ბოლომდე, მაგრამ მასების, საზოგადოების გაბედნიერების, დაიმედების, დამშვიდების საშუალება და გზა სხვა ვერ უპოვია!

საინტერესოა ისიც, რომ მას უნდა მორ-



წმუნე საზოგადოების ხილვა, რომელიც არ თამაშობს, არ მატრაბახობს, პირჯვარს სხვათა დასანახად რომ არ ისახავს და მიტანიით ვილაცას თავს არ აწონებს, მაგრამ უჭირს ასეთი „მორწმუნეების“ ხილვა. განსაკუთრებით საგულისხმოა ფიოდორის განათლებული, ასე რომ ვთქვათ, „ბნელებისგან“ გამორჩეული ღმერთის მიმდევარი გვამები, რომელთაც სჭირდებათ ეკლესია, უფალი არა სულისთვის, არამედ ხორცისთვის, ამსოფლიური ბედნიერებისთვის და არავითარ შემთხვევაში სულის ცხოვნებისთვის.

„იმქვეყნად წასული ბევრი მინახავს, მაგრამ უკან დაბრუნებული არავინ...“ – ეგაა საფიქრალი მწერლისა და მისი პატივცემული გმირებისაც. თავად კალმოსანსაც ბედისწერისა უფრო სჯერა, ვიდრე სხვა რამისა, ამიტომაც ეფლობა ქაღალდის, კარტის თამაშებში და იმდენად იბანგება, თავსაც კარგავს სხვა ყველაფერთან ერთად.

კარამაზოვის ზოგიერთ გამორჩეულად თამამ აზრებში ბუნდოვნად და მეტად საკითხვისნიშნოდ იხატება ახალი ღმერთის სახე, რომელიც უფრო დაბნეულობისკენაა მიმართული, ვიდრე სიცხადისკენ. მას წინა ხაზზე გამოჰყავს „რუსი ქრისტი“ და რუსული სარწმუნოება, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე წმინდა, აზრიანი და მისანდოა. ამიტომაც ის გულმოდგინედ ებრძვის ევროპას, ევროპულ კულტურას და ყველაფერ იმას, რაც ევროპასთანაა გაიგივებული. აქილიკებს და დაბლებს აქამდე ამალღებულ იდეალებს. მას ფრანგები ამპარტავან ქარაფშუტებად მიაჩნია, გერმანელებს ძეხვის მკეთებელ საცოდავებად, ინგლისელებს კი ყბადაღებული, არაფრისმომცემი სიბრძნის მქადაგებლად მიიჩნევს.

ებრაელებს აყროლებულ, სხვათა მიღწევების მიმკუთვნებელ ნაძირლებად ხატავს. კათოლიციზმი წმინდა სამების უარყოფელ, ღმერთის აბუჩად ამგდები მოძღვრებააო, ამტკიცებს. პროტესტანტობა სახელმწიფოს გადასარჩენად მოფიქრებული ბითურობა ჰგონია. ებრაელებს კი მამაზეციერი ვერ გაუგებს, რა სურთ და რა უნდათ, მათი რწმენა შოვნა და დაგროვებააო! მოკლედ, არავინ არაფრად მიაჩნია, მხოლოდ წმინდა სამების ძალისხმევით „გაციხკროვნებული“ რუსეთი მიაჩნია სანყისად საკაცობრიო ბედნიერებისა. მამის, ძისა და სულიწმიდის ერთობის გარეთ ყოველივე ბუტაფორიად წარმოუდგენია. ისლამს ბნელთა სარწმუნოებად მოიხსენიებს, თუმცა პატივს სცემს „ბნელებს“, რომელთაც ასე ღრმად და უსაშველოდ სწამთ თავიანთი წინასწარმეტყველისა.

რუსული იდეა წარმოუდგენია ერთადერთ სწორ და შეუდარებელ იდეად მთელ პლანეტაზე, თუმცა ამ იდეისა, როგორც არავის დედამიწის ზურგზე, ისე მასაც არაფერი გაეგება, რამეთუ ის არსებობს მხოლოდ სურვილის დონეზე და ეს სურვილი „დერჟავული“ ჟინია... იმპერიული მადა და მეტი არაფერი, რომელსაც პაციფისტური და კაცთმოყვარული არა გააჩნია რა!.. მახსენდება ბატონი მურმან ზაქარაიას დიდებული წიგნი: „ნარკვევი რუსულ იდეაზე“, რომელშიც ნათლადაა ასახული იდეა – ძირმომპალი იმპერიალისტური რუსეთისა და მლაფავი სული კიევის რუსეთის შემდგომ „გაბრწყინებული დერჟავისა“.

დოსტოევსკი ქადაგებს ამას, მაგრამ არ სჯერა საკუთარი სიტყვებისა, მაგრამ ეს

„რწმენა“ და ქადაგება სჭირდება განადგურებული, ჩაძირული და წუმპეში ამოგანგლული სამშობლოს გადასარჩენად, რომელსაც სინამდვილეში არაფერი გაეგება არც ჭეშმარიტი რწმენისა და არც ესთეტიკური სიმაღლისა. ის ლპეპა და აყროლებულია, აუტანელია და სამარცხვინო... რასაც ყველა ხედავს და დასცინიან, აქილიკებენ. არადა, გადარჩენა აუცილებელი, მომავლის რწმენის ჩასახვა, რათა „უნიფხვო რუსებს“, რომელთაც ასევე ველური მონღოლები, და არა მხოლოდ ისინი, ყოველ ნაბიჯზე აუპატიურებდნენ და უსახავდნენ ველურ გენსა და ჟინს, გამოსავალი მოეძებნოს...

ქაოსშია რუსეთი... გენეტიკურ ქაოსშიც... მისი გონებრივი უმნიფარობაც სახეზეა და ამ დროს ძაგება და იარაზე წიხლის დაჭერა სხვა არაფერია, თუ არა მისთვის გადარჩენის იმედის წაბილწვა. ეს კი მიუღებელია მისთვის, როგორც მოაზროვნე რუსისთვის და ამიტომაც ილაშქრებს ევროპაზე, კულტურის ციტადელზე... ეს ბრძოლაა იმედის და რწმენის გადასარჩენად.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ: დოსტოევსკი, ეს ურწმუნო გენიოსი, ურთიერთსაპირისპირო იდეათა და წარმოდგენათა შეუდარებელი ოსტატი და დამცველია. მას ძალუძს არაფრისგან შვას ღმერთი და ისიც – ღმერთი აქციოს არაფრად!..

ის გენიოსია... მასში სარწმუნოება თუ ათეიზმი საკუთარ იდეათა გენერირების უნიკალური საშუალებაა! ის მთელი არსით მოთამაშეა. გენიალური მოთამაშე, ოლონდ არა კარტის, არამედ მწერლობისა და იდეისა!..



მოდგმის გულისცემის უგზოებზე

წინა წერილში – „კოლხ-იბერული ერთიანობის მაიდენტირებელი შემოქმედებითი სამერთიანობა“ (ჟურნ. „მიჯნა“ №1 (16), 2020 წ.) – განხილული საკითხი, რომ სამი სხვადასხვა ავტორის სამი რომანი, რომლებიც „მოქცეულან“ კოლხ-იბერული ცივილიზაციის „თავსა და ბოლოში“ და თემატურად ეფუძნებიან ადამიანური კულტურის სამ უმნიშვნელოვანეს საყრდენს: მითი, ისტორია და სინამდვილე (თანამედროვეობა), მთლიანობაში ასახავენ ქართველური მოდგმის გენოკულტურული სახის ფორმირების უწყვეტ გზას მითაჟამიდან დღევანდელობამდე, მოითხოვს განმარტებასა და სათანადო დასაბუთებას.

ამ რომანებში (ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და გიორგი სიჭინავას „უტუ მიქა“), ერთად და ცალ-ცალკე, მთელი სისრულით აისახება მოდგმის (ერის) საზრისმატარებელ იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც როთიკური უწოდებს ფიზოგნომიკურ ერთობას და რომელშიც გაიაზრება „ეროვნული ხასიათი“, „კულტურის თავისებურება“, „დროის სული“, „ეპოქის სტილი“ და „კულტურის ასაკი“ (ედ. კოდუა, ისტორიის საზრისი...“ გვ.198, თბ., 1976 წ.).

მაშასადამე, მაღალ შემოქმედებით დონეზე დამუშავებული ეს მითი და ისტორია სრულფასოვნად წარმოაჩენს იმ სინამდვილეს, რომელშიც აისახება ერის არსებობის უმთავრესი კომპონენტები: იდეა, ტრადიცია და ცხოვრებისეული რეალობა. შესაბამისად, მათში (რომანებში) დროისა და სივრცის უწყვეტ კავშირში გვეძლევა სრული სახე სოციუმისა – ხალხისა, მისი გენოკულტურისა.

ამდენად, ასეთი ტრიადის წარმოდგენის დაშვებულობა შესაძლებლობას მოგვცემდა განგვესაზღვრა ჩვენი ეროვნული კულტურის საზრისმომცველობითი მიმართება ზოგადსაკაცობრიო იმ ფენომენისადმი, რომელიც, შპენგლერის აზრით, ქმნის კულტურის სტილს, რომელშიც სკეპტიციზმის ეს მამამთავარი მოიაზრებს თვითმყოფად კულტურათა თანა-

არსებობის გარდაუვლობას.


ყველა ამ კულტურას თავისი სპეციფიკური ნიშნები აქვს, რომლითაც ისინი სხვა კულტურებისგან განირჩევიან. ეს თავისებური „სტილი“ აისახება როგორც სულიერი, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლებში. შპენგლერი წერს: „ძმები კარამაზოვები“ მხოლოდ რუსს შეეძლო დაენერა, რადგან ის რუსული სულის გამოხატვაა, რუსული სტილია, ისევე როგორც აღმოსავლეთის ლანდშაფტის დახატვა შეეძლო მხოლოდ იაპონელს ან ჩინელს და არა სხვას (იქვე).

მაშასადამე ამ „შემოქმედებით ტრიადაში“ ჩვენ მთელი სისრულით უნდა შევიგრძნოთ და აღვიკვათ კოლხ-იბერული მოდგმის გენეტიკიდან მომდინარე ის ღვთითობოძებული ენერგია, რომელიც აფორმირებს ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის თვითმყოფად სახეს, რომლის სრულყოფილად დახატვას ვერვინ შეძლებდა თვინიერ ქართველისა. ე.ი. მათში უნდა დავინახოთ არა მარტო შთაგონებულად დახატული ეროვნული სულის სისავსე და მშვენიერება, არამედ მისი ჩრდილოვანი მხარეც.

თავისი მასშტაბურობით, დროისა და სივრცის განუსაზღვრელობით, ეს „ტრიადა“ გადმოგვცემს ეროვნული სულის მოძრაობას მითაჟამიდან დღევანდელობამდე, მითიდან ისტორიაში, ისტორიიდან თანამედროვეობაში და თვალსაჩინოდ ასახავენ გენოკულტურულ ევოლუციას.

საბოლოო ჯამში კი, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ შესახებ რეცენზიაშია ნათქვამი, ეს რომანები მთლიანობაში ასახავენ „ეპოქის (ეპის) სულის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის, მისი მამოძრავებელი ძალების, მისი შინაარსის განმსაზღვრელი პროცესებისა და ტენდენციების სწორ ისტორიულ გამოხატულებას“ (ბესო ფლენტი, „პატრიოტული ეპოქა“, ბროშურა, კონსტანტინე გამსახურდია, გვ. 12, თბ., 1966).

ამ ტრიადისთვის დამახასიათებელია კიდევ ერთი გარემოება, – როგორც იმავე ბროშურაში ჩვენი გენიალური მწერლის მი-



მართ არის თქმული, რომ „კონსტანტინე გამსახურდიას აქვს გასაოცარი უნარი დაჰფაროს მანძილი ისტორიას და თანამედროვეობას შორის“ (იქვე, გვ. 32, გიორგი ნატროშვილი, „გაცოცხლებული ისტორია“). ასევე, **ამ რომანთა ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობითი გააზრების შემთხვევაში, არნახულად იკუმშება დრო მითა ჟამსა და ისტორიულ ეპოქებს შორის და ამოიფრქვევა უშველებელ სასიცოცხლო (სულიერ) ენერგიად თანამედროვეობისთვის**, თუ მის სწორად შემეცნებას შეეძლებო.

მაშასადამე, ამ რომანებში შემოქმედებითად დამუშავებულ მითში, ისტორიასა და სინამდვილეში უნდა მოვიხელოთ ის საერთო, რომელშიც აისახება „ფიზიკომიკური ერთობა“ (როთიკერი) ანუ „კულტურის სტილი“ (შპენგლერი), ე.ი. ის მარადიული ცნებები, რომელნიც მთლიანობაში წარმოაჩენს ჩვენი ნაციონალური ღირსების, ნაციონალური იდენტობის მასაზრდოებელ წყაროს, სხვათათვის ჩაუნვდომელ იმ თვითთავად ბუნებას, რომელიც აფორმირებდა და აფორმირებს ჩვენი გენოკულტურას, ერის სულიერ ენერგიას.

ამდენად, ერთმანეთისგან სიუჟეტის, სტილის თუ სხვა ლიტერატურულ-შემოქმედებითი თვალსაზრისით განსხვავებული ამ სამი რომანის ერთიანობაში გააზრებით ჩვენი

შევეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია ის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველური საზრისმომცველი ასპექტი, რომელიც ამ რომანებს კრავს გენოკულტურული თვალსაზრისით და წარმოაჩენს მის (გენოკულტურის) საკაცობრიო ცივილიზაციასთან ნილნაყარობას.


ჩვენი შეხედულებებით, ამ რომანებში დამუშავებული მითოსური წარმოდგენების, ისტორიული წარსულის თუ ახალი ეპოქის სინამდვილის ამსახველი ტექსტები ერთად და ცალ-ცალკე ქმნიან იმ ქრონოსულ (დროით) და სივრცობრივ ერთიანობას, რომელშიც ფორმირდებოდა მოდგმის ფიზიკომიკური ერთობა.

მაშასადამე ქრონოსის თუ ფორმის თვალსაზრისითაც დასაშვები ყოფილა მათი ერთიანობაში გააზრება. ამიტომ, თუნდაც ზედაპირულად, უნდა შევეხოთ მეთოდოლოგიურად რამდენად გამართლებულია ასეთი მიდგომა; გვაქვს კი ამის მაგალითები ლიტერატურის ისტორიაში, ზოგადად შემოქმედებით კულტურაში და ა.შ. თუ ასეთი მყარი გენოკულტურული საზრისმომცველობითი ერთიანობის დაშვებულობა ხელოვნურია, უფრო ჩვენივე ილუზორული წარმოდგენების წყოფია, ვიდრე ამ რომანებში შემოქმედებითად დახატულ სახეთა გალერეა მათი მთლიანობაში გააზრების შესაძლებლობას იძლევა.

* * *

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, თუ რამდენად მისაძლებელია ასეთი შემოქმედებითი სამერთიანობის დაშვებულობა იმ დონეზე, თითქოსდა საქმე გვექონდეს დროითა და სივრცით შემოუსაზღვრელი ამბების (სახეების) თანმიმდევრულ აღწერასთან, რომელშიც ერთიანობაში აისახება კოლხ-იბერული მოდგმის გენოკულტურის ფორმირების შემეცნებადი თუ შეუმეცნებადი (გენურ-მგრძნობელობითი) ათასეულწლოვანი პროცესები.

ამ სამი ისტორიული რომანის ასეთნაირად გააზრების დაშვებულობა შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ ჰეგელის მიერ ისტორიის საზრისის გაგების მიმართ თქმულის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ჩვენი ხანგრძლივი ისტორიისა და გენოკულტურის ჭვრეტას ჭუჭ-



რუტანიდან კი არ დავინწყებთ, არამედ ისეთ დონეზე ავმალდებით იმ მითო-ისტორიულ წარმოდგენებსა და ხდომილობებზე, საიდანაც, როგორც მზის შუქზე, ისე სრულად გამოიკვეთება და აირეკლება მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის ფილოსოფია და ისტორია, ერის მყარი ფსიქოგენური ერთობა. ასეთი მიდგომის შემთხვევაში მაღალ შემოქმედებით დონეზე დაწერილი ეს რომანები – „ტრიადა“, მთელი სისრულით წარმოაჩენენ ჩვენი ეროვნული სულიერებისა და ყოფიერების მაფორმირებელ პროცესებს. ისინი „ჰეგელისეულ მოთხოვნათა სიმალლიდან“ ასურათხატებენ დრამატიზმით აღსავსე ჩვენი ცხოვრების საზრისმატარებელ ყველა ასპექტს, მის ბუნებას.

მაშასადამე, ამ შემოქმედებით სამერთიანობაში უნდა ვეძიოთ გენოკულტურული ევოლუციის პროცესებზე მარადმომქმედი სულის მოძრაობა ეპოქიდან ეპოქაში, მითიდან ისტორიაში, ისტორიიდან თანამედროვეობაში (სინამდვილეში), რაც მოგვცემს შესაძლებლობას, უმაღლესი სრულყოფილების თვალსაწიერიდან შევხედოთ და აღვიქვათ ერის (მოდგმის) სულიერი და მატერიალური კულტურის, მისი

ფსიქოგენეტიკური წყობის საზრისმომცველობა იმ დონეზე, როგორადაც ის მოქმედებდა დღესამომდე და დარჩება „ქვეყნის დასალიერამდე“, რამდენადაც მათში გამოკვეთილად ჩანან ისეთი ღრმად ჰუმანური, ფსიქოკულტურული, ფილოსოფიური თუ მეტაფიზიკური ფილოსოფიური იდეები, რომლებიც ხანგრძლივი ჟამით შეძლებენ წარმოჩინდნენ არა მარტო იმად, როგორადაც ისინი ავტორებმა წარმოგვიდგინეს, არამედ ერთიანობაში გააზრებით შეძლებენ გახდნენ ზნეობრივი შთაგონების წყარო მომავლისთვის; მისცეს მათ შესაძლებლობა სრულყოფილად გაიაზრონ წინაპართა სულიერი სამყაროს იდუმალება და გამოიჩინონ მათდამი პატივისცემა. ეს კი შესაძლებლობას იძლევა სრულიად კანონზომიერად მივუჩინოთ ადგილი ჩვენს ეროვნულ სულიერ და მატერიალურ კულტურას საკაცობრიო კულტურათა გვერდით.

* * *

ქართული კულტურის თვალსაწირო წარმომადგენელი, ბრწყინვალე ლიტერატურათმცოდნე, მწერალი აკაკი განერელია დასავლურ კულტურათა უმთავრეს წყაროებზე: „ბიბლიაზე“, ძველ-ბერძნულ და რომაულ კულტურათა შესახებ თავის ჩანაწერებში წერს: „ბიბლიის“, ძველი ელადისა და რომის კულტურის წინაშე კაცობრიობა დღემდე სახტადაა დარჩენილი. ასევე დარჩება „ქვეყნის აღსასრულამდე“ („ნარკვევები, პორტრეტები...“ გვ.373/4, თბ., 1988 წ.). სწორედ ამ დიადი კულტურულ-ცივილიზატორული ფენომენების თანამგზავრად წარმოგვიდგება ამ რომანებში მაღალ შემოქმედებით დონეზე დახატული კოლხ-იბერული კულტურის მაფორმირებელ სულიერ წყაროთა ერთობა; ავტორები ასეთ სიღრმეებს აღწევენ რეალურისა და ირეალურისადმი თავისუფალი მიდგომით, ე.ი. დროისა და სივრცისადმი ასეთი თავისუფალი მიდგომით მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა უმტიკვენეულოდ დაძლიოს ყოველგვარი ზღვარი სინამდვილესა (რეალურსა) და პოეტურ გამონაგონს შორის, რაც შესაძლებლობას იძლევა სტრუქტურული თვალსაზრისითაც ერთიანობაში წარმოვიდგინოთ ეს რომანები.

ვისაც ასეთი ერთიანი შემოქმედებითი ნყობის წარმოდგენა უჭირს, მათ მიიწიდა ვუთხრა, რომ ამ რომანებს არა მარტო „სულისა და ხორცის ერთობა“ აერთიანებთ, არამედ მათი მეტაფიზიკაც, რომელიც შეიგრძნება, როგორც „შინაგანი მელოდია“ და კრავს კოლხ-იბერული მოდგმის გენოკულტურას.

ამდენად, ამ რომანებში „ირაციონალურის დაჭერი“ მიიღწევა „მაღალი პროზის“ ყველა ნიშნის გამოკვეთა, ეს კი „ბრწყინვალე პროზაიკოსის თვისებაა“.

მაშასადამე, სამივე ავტორი იმსახურებს ამ საპატიო წოდებას, ვინაიდან, სამივე ამ რომანში ირაციონალური ასპექტები (ნიშნები) უფრო სრულყოფილად ასახავენ ქართველური მოდგმის სულიერი თუ მატერიალური კულტურის საზრისმომცველობას ვიდრე რეალისტორიული ხდომილებები.

ამ რომანებისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშანთაგან აღსანიშნავია პოეტური სრულყოფილების დონეზე გააზრებული მითოლოგიზებულ სიუჟეტთა მრავალგვაროვნობა, ერთი მხრივ, მეორე, ისტორიულ თუ ეპოქალურ ხდომილებათა მხატვრულად ასახვა „უმალესი სრულყოფილების“ თვალსაზრისით. ასეთი შემოქმედებითი მიდგომით, წმინდად მოდგმისეული „მოიადური“ სიტყვა-თქმებითა და გააზრებებით და არა, ჯოისისეული ე.წ. ცნობიერებათა ნაკადის მოდელირებით, მიიღწევა ჩვენი ეროვნული ღირსების მაფორმირებელი ცნობიერი სამყაროს გააზრება.

ამ რომანთა სამერთიანი სახით (ტრიადა) წარმოჩენის „მინიერ საყრდენს“ წარმოადგენს გმირთა მოქმედების ასპარეზად ერთი და იმავე გეოისტორიული (კოლხ-იბერული) სივრცის მოაზრება. მთლიანობაში, ყოველივე ეს კვალიფიციურ მკითხველს შესაძლებლობას აძლევს სრულყოფილად წარმოიდგინოს ერის (მოდგმის) სულიერი და მატერიალური კულტურის მაფორმირებელ წყაროთა სათავეები, ე.წ. ფიზოგნომიური ერთობა. ამიტომ ამ რომანების ერთობაში გააზრებისას ძალაუვნებურად გახსენდება ვოლტერისეული ფრაზა: „კეისრის „(იულიუს კეისარი, მ.ზ.) პროზა ისეთია, რომ გინდა აკოცოო“. „მართლაც რომ „საკოცნელად“ თუ გაიმეტებ ამ რომანებს, მათ ერთიანობაში გააზრებისას მოდგმის გულისცემის



რიტმის შეგრძნების გამო, რომელიც ასე სრულყოფილად აღავსებს ეროვნული სულიერების ძარღვებს გენოკულტურის სისხლით.

სამივე ეს რომანი თხრობის სისრულისა და ავტორთა დიდი ერუდიციის წყალობით აღწევს იმას, რომ მოდგმის სულიერ-შემეცნებით სალაროში დაგროვილი „მოიადოგემებიდან“ მომდინარე შთაბეჭდილებები გადაამუშაონ (გადაადნონ) საკუთარ სამწერლობო ქურაში და თავისად გადააქციონ. ეს მაღალი შემოქმედების (პროზის) თვისებაა.

აკ. განერელიას დიდებული განსაზღვრებით, „ყველა ციტატა (თვით გენიოსებისა), რაც კი „შთაბეჭდილებებში“ მომაქვს – ჩემია, რადგან ისინი ჩემს სტილში არიან მოქცეული და მეხმარებიან საკუთარი სულიერი განცდების ან ფიქრების ვიბრაციის დროს... ისინი („ციტატები“) ჩემს „ზღვაში შემავალი ნაკადები არიან“ (აკ. განერელია, დასახ. ნაშრ., გვ. 415-416). ჩვენს შემთხვევაში, სამივე ავტორის ზღვაში ჩაედინება უძველესი კოლხ-იბერული ცივილიზაციიდან უწყვეტ ნაკადად მომდინარე ხალხური სიბრძნის ანკარა წყაროები.

მზის შვილი აიეტის სამეუფოდან გამოტყორცნილ ცივილიზაციის შუქზე, როგორც სარკეში, ამ რომანებში აირეკლება ჩვენი ეროვნული სულიერება, როგორც მყარი საფუძველი სოციუმის (ნაციის) არსებობისა. ესაა ის უმთავრესი, რის შემეცნებითად აღ-

ქმას ვცდილობთ ამ რომანების შემოქმედებით სამერთიანად გააზრებისას. ასეთი აღქმის ბრწყინვალე მაგალითია აკაკი განერელიას მიერ ერთი ამოსუნთქვით თქმული.

აი, როგორ შეიგრძნობს მწერალი მამის ეტლზე ამხედრებული აიეტის (კოლხ-იბერული მოდგმის) გრძობადი სამყაროდან გამოტყორცნილ შუქთა ფრქვევას შვიდი წლის პატარა კოლხი ყრმის უდრტვინველი ძილის გააზრებისას: „კურთხეულ იყოს ეს ძილი შვიდი წლის ყრმისა, ეს გალობა მონყენილი და ციებ-ციხელებიანი ბუნების წიაღში.

კურთხეული იყოს განთიადის ფერთა ჭვრეტა...

აღარ გუგუნებს მარტვილის ზარი, მაგრამ იგი განუწყვეტლივ რეკს ჩემს სულში, და ისევ ვდგევარ ტაძარში ანალოესთან და ვეება ანთებული კელაპტრები მიპყრია ხელით.

„არასდროს ჩამქრალიყოს ამ კელაპტრების ალთა ციმციმ ჩემ სულში“ – ამ ჩაუქრობელი კელაპტრების, შუქთა ციმციმის შეგრძნებისკენ ერის მარადიული მიზანსწრაფვის ასახვის შესაძლებლობად გვეჩვენება ამ რომანების სამერთიანად გააზრება.

მაგრამ ეს არაა საკმარისი, აუცილებელია ამ შუქთა ციმციმსა და ფერთა გამაში სრულად აღვიქვათ ათასეულწუნელგამოვლილი ჩვენი გენოკულტურის საზრისი. რამდენად შესაძლებელია ეს, ამას ჩვენ ქვემოთ გავიგებთ საკაცობრიო შემოქმედებით კულტურათა მაგალითებზე. ახლა კი უმანკო ბავშვის ძილ-ბურანიდან გადავინაცვლოთ და მივაყურადოთ ზარხოში შესული ხანდაზმული **ზანარის** გულისცემას.

„მწკლარტე ღვინოს ვსვამ ხანდაზმულობისას და მთვრალი ვგრძნობ, თუ როგორ იღებინა შორეული წინაპრების საძვალეები და თვალნათლივ ვხედავ იმ კოლხთ, ჰეროდოტეს რომ აქვს აღწერილი თავის „ისტორიაში“.

და დაეხეტებიან ჩემს სისხლში ნაციები თანამემამულენი, ისინი კვლავ ხის ბოძებზე შემდგარ და ისლით დახურულ სახლებს აგებენ, ხარები მიჰყავთ მითრას საკურთხეველთან და ბრინჯაოს ხანჯლებით კლავენ ამ ხარებს.

იმ სიყვითლით არიან დაღალული, რაზედაც ჰიპოკრატე მოგვითხრობს და იმ რკინის შუბებს იქნევენ, რის გამოც ქართველთა ტომები დასწყევლა დიდმა რომაელმა პოეტმა.

და ვისმენ მათს საუბარს, რამდენიმე ათასეული წლის წინ რომ გააბამდნენ ხოლმე ერთმანეთში.

ძაძით მოსილი მანდილოსნები მოთქმითა და კივილით მიაცილებენ გარდაცვლილ თანამეცხედრებს სასაფლაოზე, ხოლო მედეას დობილთა ცისფერი ქოშები აბრმავებენ ჭაბუკთ...

კურთხეული იყოს შვიდი წლის ყრმის ძილი კოლხეთის ბუნების წიაღში და ხანდაზმულობის ზმანებანი, ზმანებანი, ბალზამად რომ ეფინება სულს და მუჟავე ღვინის გემოს რომ მოაქვს ამჟამად...

სიყრმის სანეტარო ნირვანის განცდა ისე ტკბილია, რომ ვისურვებდი მასში ჩანთქმას და გაუჩინარებას“ (აკ. განერელია, დასახ. ნაშრომი, გვ.405).

პოეტური პროზის ეს ბრწყინვალე ნამცვრევი, აქ, სამი დიდებული რომანის სამერთიანობაში გააზრების პროცესში „ციტატად გამოყენებული“, როგორც მისი ავტორი მიუთითებდა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ამონარიდში, უკვე „ჩემია“; „ჩემს ზღვაში“ შემავალი ნაკადებია უკვე, რომელნიც ნათელს ჰფენენ მათ (რომანთა) ერთიანობაში გააზრების მიზანს.

მაშასადამე, ეს მისტიური წარმოსახვა (ჩვენება) მძინარე კოლხი ბავშვისა და მწკლარტე ღვინით შემთვრალი ხანდაზმული ზანარისა, ისე ბუნებრივად მიერთვის ჩვენი ეროვნული ცნობიერების დაუღვეველ ზღვას (წყალსაცავს), რომ საეჭვოს არ ხდის ამ რომანების მთლიანობაში გააზრების აუცილებლობას, ე. ი. იმას, რომ მათში მაღალ შემოქმედებით დონეზე დამუშავებული მითი, ისტორია და სინამდვილე წარმოადგენს ჩვენი ნაციონალური რაობის საზრისმატარებელი მოცემულობის ასახვას, როგორადაც ის წარმოჩინდა შვიდი წლის კოლხი ბავშვის სიზმრისეულ ზმანებასა თუ მწკლარტე ღვინით შეზარხოშებული ჩვენი თანამედროვე ზანარის ფანტასმაგორიულ წარმოსახვაში.

ამ რომანების „ტრიადად“ გააზრებისას ფართოდ იღება კარი მითო-ისტორიული კოლხეთისა, საიდანაც არა მარტო წინაპართა საძვალეებიდან „დანახული“ ჰეროდოტესეული კოლხები გვიმზერენ, არამედ მათი ნააზრევი იდეები და ნამოქმედარი საქმეები „დაჭერი-

ლია“ ირაციონალურად, რომელნიც „შინაგანი მელოდიის“ ფორმით „დაეხეტებიან ჩემს (ჩვენს. – მ.ზ.) სისხლში“ – გენებში. შესაბამისად, ამ რომანთა ერთობაში გააზრებისას, ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს ეძლევა საშუალება განიცადოს კოლხ-იბერიული „სიყრმის სანეტარო ნირვანა“ და სულიერად „მასში ჩაინთქას და გაუჩინარდეს“ უპრეტენზიოდ.

* * *

ახლა კი, როგორც ზემოთ დავპირდით მკითხველს, გვინდა რამდენიმე შტრიხით გამოვკვეთოთ და თვალი მივადევნოთ სხვადასხვა დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების ერთიანობაში გააზრების მაგალითებს, ე. ი. იმას, თუ როგორ ხდებოდა „კაცობრიობის სახტად დამტოვებელ“ ამ დიად კულტურებში მითო-ისტორიული წარმოდგენებისა თუ ხდომილებების მხატვრულად დამუშავება და მოდგმის ერთიანი გენოკულტურული ხაზის წარმოჩენა, როგორც ერთი ავტორის სხვადასხვა ნაწარმოებში, ასევე სხვადასხვა ავტორთა შემოქმედებაში.

ასეთი გააზრება საშუალებას გვაძლევს, ამ მხატვრულად დამუშავებულ მითსა და ისტორიაში დავინახოთ, „თუ რა არის მათში“, არამედ მთლიანობაში გავიაზროთ „მხატვრული ძალით წარმოჩენილი“ ნაციის გენოკულტურული ერთობის მაცოცხლებელი წყარო, ე. ი., ფოიხტვანგერის თქმისა არ იყოს, ამ ნაწარმოებებიდან მივიღოთ „არა ფერფლი, არამედ ცეცხლი, რომელიც ანათებს და ათბობს“.

* * *

მოდგმის გენოკულტურული განვითარების „ერთიანი ხაზის“ წარმოჩენაში, პირველ რიგში, ვგულისხმობთ იმას, თუ რა ცვლილებები ხდებოდა მოდგმის ერთიან „სხეულსა და სულში“, ე.ი. ადამიანთა გონივრული მოქმედების მთლიანობაში ვეძიებთ მისგან მომდინარე ნიშან-თვისებებს, მათი წარმოშობის მიზეზებს, მაგრამ როცა მხატვრულ შემოქმედებაზე, განსაკუთრებით მწერლობაზე, გვაქვს მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულისთვის ზრუნვა გამოდის წინა პლანზე, ციცერონმა (106-43 ჩვ.წ. აღ-მდე) „სულის კულტურა“ რომ უწოდა.

ამდენად, ამ რომანებში შემოქმედებითად დამუშავებული მითი და ისტორია სწორედ რომ ერის სულის ევოლუციას ასახავს მისი ფორმირების მთელ სივრცეში. ასეთი მიდგომის კლასიკური მაგალითი უნდა ვეძიოთ „კაცობრიობის სახტად დამტოვებელ“ ცივილიზაციებში და, რა თქმა უნდა, უპირველესად ელინურ ცივილიზაციაში, ანტიკური ტრადიციებით, თითქოსდა ჰომეროსის ავტორობით შექმნილ პოემებში: „ილიადასა“ და „ოდისეაში“ თუ ელინურ კლასიკურ „ტრაგედიათა ციკლებში“.

ამ პოემებში თუ „ტრაგედიათა ციკლებში“, ერთად და ცალ-ცალკე, „მაღალი ხელოვნების“ დღემდე გასაოცარი დონეზე ასახულია ელინური ტომების (მოდგმის) „სულიერი კულტურის“ თავურსანყისები მათი განფენილობის მთელ სივრცეში.

კლასიკური ელინური ლიტერატურის თავურსანყისად აღიარებული „ილიადა“ და „ოდისეა“ წარმოადგენს ძველი ბერძნული მითებისა და თქმულებების თუ ფლეიტაზე დამღერებული სიმღერების (ლექსების) ცნობილ ამბებს, „რომელთაც ჰომეროსამდე დიდი ხნით ადრე უკვე მშვენივრად იცნობდნენ მისი მსმენელნი თუ მკითხველნი“ (ჰომეროსი, ოდისეა, გვ. 5, თბ. 1979 წ.).

ამდენად, ორიგინალურ სიუჟეტს მოკლებულ ამ პოემებში შემოქმედებითად ასახულია არა მარტო ელინური სამყაროს სულიერი კულტურისა და ისტორიული სინამდვილის საზრისმომცველობითი რაობა, არამედ მისი გარემომცველი სამყაროს „ძალა და მომხიბვლელობა“, მათი ადგილი და როლი ამ დიადი კულტურის ფორმირებაში.

მაშასადამე, ეს პოეტები არ არიან ორიგინალურნი (წმინდა ავტორისეული გამონაგონი), სიუჟეტის თვალსაზრისით, არამედ თვით მათ ავტორად აღიარებული ჰომეროსშიც კი გააზრებულია საუკუნეთა განმავლობაში მცხოვრებ და მოღვანე პოეტთა, მომღერალთა თუ მითთამთხზველთა მრავალი თაობის კოლაბორაცია.

ელინური ცივილიზაციისა და კულტურის დიდი მკვლევრის რისმაგ გორდეზიანის თქმით, „ძველი ბერძნები ჰომეროსს თავის უპირველეს პოეტად აღიარებდნენ ... როგორც კომპოზიციის ოსტატს, მაღალ შემოქმედს, რომელსაც

ძალუძს... ტრადიციულსა და გადამღერებულ ამბებსაც კი უჩვეულო ემოციური ზემოქმედების ძალა მიანიჭოს“. სწორედ ამ ნიჭის გამო „... იქცა ჰომეროსი მთელი ანტიკური ლიტერატურის ცენტრალურ ფიგურად“ (იქვე). ჩვენც ამ კონტექსტში ვახდენთ ამ სამი რომანის მითო-ისტორიულ სიუჟეტებში დამუშავებული კოლხ-იბერული „სულის კულტურის“ ერთიან კომპოზიციაში გააზრებას, შესაბამისად, გენოკულტურის მაფორმირებელი ერთიანი ხაზის „დაჭერას“ ძველი (მითური) კოლხეთის, „კოლხური კულტურის“ მთელ სივრცეში. ჯანბატისტ ვიკოს მიერ ჰომეროსზე თქმულით თუ ვიხელმძღვანელებთ, რომ „ბერძნული ტომები თვითონ იყვნენ ეს ჰომეროსი“, ამ სამივე რომანში მათ ავტორთა მიერ ორიგინალურად წარმოჩენილ მითებსა თუ ისტორიებში, მხატვრულ სიტყვათქმებში აუცილებლად აღმოვაჩინთ კოლხ-იბერული მოდგმის სულიერ სახეს.

იმავე ვიკოს თქმით, ამ პოემათა შემოქმედი „უნდა ყოფილიყო იდეა ან ბერძენთა გმირული სული, რამდენადაც ისინი (ბერძნები) ვითარც მომღერლები, თავის ისტორიას ჰყვებოდნენ“. აქედან გორდუზიანის დასკვნა: „შესაბამისად, ჰომეროსი სხვა არავინაა, თუ არა თვით შემოქმედი ხალხი“ (იქვე, გვ.11).

ამდენად, ამ რომანების ერთიანობაში გააზრება და მათში იდეის (ხალხის სულის) წინ წამოწევის მცდელობა არახალია და ის ნითელ ხაზად გასდევს ლიტერატურის ისტორიას. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი მიდგომა ნაკარნახევია საკაცობრიო კულტურის ტოლ-სწორი ნაციონალური კულტურისათვის (ლიტერატურის) დეკადანსის დადგომით (უფრო ხელოვნურად გამოწვეულით, ვიდრე საერთაშორისო ისტორიულ პროცესთა შედეგად).

თუ ისევ მივმართავთ ისტორიულ ანალოგებს, მაშინ უნდა ითქვას, რომ „მთელი ჩვენი საკითხი არის ისტორიული და კრიტიკული, ის ამოდის არა სურვილებიდან (ვოლფი), არამედ იმ ისტორიული აუცილებლობიდან, რასაც გვკარნახობს ჩვენი სინამდვილე. ამიტომ, იმავე ვოლფს თუ დაუფუჯერებთ და მოვწყდებით წამხედურობით დაბრმავებულთა „ვაიმოდერნისტული“ მონაჩმასს, მაშინ უნდა ვაღიაროთ: „...სიყვარული ხელოვნებას, მაგრამ პატივისცემა ისტორიას“, რაც ასე სრულყოფილადაა

ასახული ამ რომანებში.

* * *

უძველესი ცივილიზაციისა და ელინური ტომების, როგორც თანამედროვე კულტურის ფუძემდებელთა, ცხოვრებისეული საზრისის „მხატვრული ათვისების“ ამ კლასიკური მაგალითიდან გადავინაცვლოთ ახალ ეპოქაში. გვინდა შევეხოთ „მაღალი პროზის“ ისეთ უბადლო ნიმუშს, როგორცაა „ადამიანური კომედია“, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ სრულიად დამოუკიდებელი ფაბულისა თუ სიუჟეტების, დროსა და სივრცეში ერთმანეთს აცდენილი, სხვადასხვა ტიპის რომანების – ზოგადად ლიტერატურული შემოქმედების – ერთ მთლიანობაში განჭვრეტა არა მარტო არაა ხელოვნურად შემოტანილი საკითხი, არამედ ასეთი გააზრების რეალური ბაზის მიღმა იკვეთება ჩვენი სააზროვნო პოტენციალს მიღმიერი მეტფიზიკური გამოვლინებებიც. ამის მაგალითად გვევლინება გენიალური ბალზაკის, ზოგადად, პროზაული შემოქმედების გვირგვინის „ადამიანური კომედიის“ შექმნის ისტორია.

ბალზაკი 1842 წელს გამომცემლებს – დიუბოშეს, ფიურნესა და ჰეტცელს აძლევს უფლებას გამოსცენ მისი თხზულებათა სრული კრებული. ხელშეკრულების დადების პროცესში ისინი მწერლის წინაშე აყენებენ საკითხს, ტიტული „თხზულებათა კრებული“, როგორც მეტისმეტად გავრცელებული, ე.ი. ნაკლებად მიმზიდველი მკითხველთათვის, შეიცვალოს რაიმე სხვა სახელწოდებით, რომელშიც ყველა ეს ნაწარმოები ერთ ქმნილებად იქნება გააზრებული: საერთო ასპარეზით და სამყაროთი, საზოგადოების ამაღლებისა და დაცემის ერთიანი სურათით. ავტორი თანხმდება ამ შემოთავაზებას, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ, როცა მისი რომანების კრებულისთვის **დავნი** წინასიტყვაობას წერდა მისივე კარნახით და დახმარებით, იგრძნო, რომ ყოველი მისი რომანი, ცალკე აღებული, მხოლოდ ორიგინალური ნაწილია შემოქმედებითად განჭვრეტილი სრულქმნილი სამყაროსი.

მის ამ შინაგან ქვეცნობიერ განცდას გამოსავალს აძლევს გამომცემელთა მერკანტილური ინტერესები. მოთხოვნა ერთია, მაგრამ როგორ უნდა მოიფიქროს ისეთი სახელდება, რაც ასე ფართოდ, მთლიანობაში განჭვრეტილი

სამყაროს მოიცავდეს?

ამ კრიტიკულ მომენტშიც ბედნიერი შემთხვევა შველის საქმეს. მისი მეგობარი დე ბელუა ეს-ეს არის დაბრუნდა იტალიიდან, ბევრი დრო მოანდომა იტალიური ლიტერატურის შესწავლას და „ღვთაებრივი კომედია“ დედანში წაიკითხა. „უეცრად ბალზაკს თავში ცეცხლოვანმა აზრმა გაუელვა. რატომაც არ უნდა დაუპირისპიროს ღვთაებრივ კომედიას მიწიერი, თეოლოგიურს სოციოლოგიური? ევრიკა! სათაური ნაპოვნია: „ადამიანური კომედია“! (სტეფან ცვაიგი, ბალზაკი, გვ.385).

ეს მართლაცდა უდიდესი „მეტაფიზიკური გამონათება“ თავის გაგრძელებას მოითხოვდა და იმავე გამომცემელთა დაჟინებული მოთხოვნით მწერალი იძულებული ხდება, დაწეროს წინასიტყვაობა. ამაშიც იგრძნობა ის ქვეცნობიერი, რომელიც გამომცემელთ ჰკარნახობს, რომ ამ ღვთიური გამონათებით („ცეცხლოვანი აზრი“) მოსული ეს ცნობიერი გააზრება ადამიანური არსების მთელი შუქ-ჩრდილისა, რომელიც აღწერა მწერლის ფანტაზიამ ამ რომანებში, გადმოიცეს ორი სიტყვით. ეს მხოლოდ ავტორს ძალუძს. ასე იქმნება „ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაობა.

ბალზაკი წერდა ქალბატონ ჰანსკას (მომავალი მეუღლე) „ამ თექვსმეტგვერდიანმა წინასიტყვაობამ მეტი ჯაფა და თავსატეხი გამიჩინა, ვიდრე უწინ მთელი რომანებისგან რომ მახსოვსო“ (იქვე, გვ.386). ის თავის ამ მრავალფეროვან და მრავალგვაროვან შემოქმედებათა ერთობას უწოდებს „ადამიანის გულის ისტორიას“, სამი ათასიდან ოთხი ათასამდე გმირის მეშვეობით წარმოადგინოს საზოგადოების ყველა ფენა, ე.ი. „სრულყოფილი ისტორია შექმნას, რომლის ყოველი თავი – რომანი იქნება, ხოლო ყოველი რომანი – მთელი ეპოქა“. ის გვიხსნის ასეთი ერთიანი განცდის მიზეზს: მემატთანე აღმოჩნდა თვით საფრანგეთის საზოგადოება, მე კი მისი მდივანი ვიყავი. მინდოდა დამეწერა ის ისტორია, რასაც მრავალი ისტორიკოსი ივინყებს ხოლმე: ზნეობათა ისტორია.

საფრანგეთის ასეთი ისტორიის შექმნისთვის ხდება ათეულობით რომანთა მთლიან-

ნობაში გააზრება და ერთ ყოვლისმომცველ სათაურქვეშ გაერთიანება.

ის თავის წინასიტყვაობას ასე ამთავრებს: „ჩანაფიქრის ასეთი განუზომელი მასშტაბი, რაც ერთდროულად მოიცავს საზოგადოების ისტორიას და კრიტიკას, მისი წყლულების ანალიზსა და მისი პრინციპების ახსნას, უფლებას მაძლევს, თუ არ ვცდები, მივცე სათაური, რითაც ეს გამოცემა ქვეყნდება: „ადამიანური კომედია“, არის შესაფერი? სწორია? როცა შრომა მთლიანად დასრულდება, ამას მკითხველი გადაწყვეტს“ (იქვე, გვ. 388). შთამომავლობამ კი, როგორც ცვაიგი შენიშნავს, გადაწყვიტა, რომ ქმნილების ტიტული სულაც არაა გადაჭარბებული, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ის, რაც დღეს ხელთ გვაქვს, მხოლოდ ჩონჩხია უფრო დიდი ქანდაკებისა, რომლის დამთავრებაც ვერ შეძლო ავტორმა (იქვე).

ბალზაკი სიკვდილის წინ წუხდა, რომ „ადამიანური კომედიის“ დასრულება ვერ შეეძელიო. გადმოცემის თანახმად, ის მოუხმობდა ამ ეპოპეის პერსონაჟს ექიმ ორას ბიანშონს და წუხილით ამბობდა (ბოდავდა): „ბიანშონი რომ აქ ყოფილიყო, მომარჩენდაო“. მაშასადამე, „ადამიანური კომედია“ ჯერაც დაუსრულებელია, მის დასამთავრებლად მას მაგიდაზე ედო კიდევ 50 ნაწარმოების გეგმა, მაგრამ ერთი სტროფიც ვერ დაწერა. ის თავის მეგობარ თეოფილ გოტიეს წერდა (მისი ხელნაწერი ბოლო სტრიქონი): „მე აღარ შემიძლია წერა და კითხვა“.

ფართო საზოგადოებისთვის საკმაოდ კარგად ცნობილი ამ საკითხების მოყოლით ზედმეტად რომ არ გადავტვირთო მკითხველი, მოკლედ ვიტყვით, რომ მწერალმა თავისი შემოქმედების საუკეთესო ნაწილების მთლიანობაში გააზრებით მოგვცა ფრანგული საზოგადოების სრულფასოვანი დახასიათება.

ამდენად, სწორედ ასეთი კლასიკური მაგალითები გვაძლევს უფლებას, მითის, ისტორიისა და სინამდვილის ამსახველი ეს სამი რომანი გავიაზროთ ერთიანობაში, როგორც კოლხ-იბერული მოდგმის ზნეობრივი ისტორიის ასახვის მცდელობა.

ნათა ვარადა

ლაშა გვასალიას პერფორმანსი – მიქლჰეის ნიშნი

*„ჩემო იარაღი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს“...
გრიგოლ ორბელიანი, „იარაღი“*

გრიგოლ ორბელიანის პოემასა თუ ლირიკულ ლექსებში („სადღეგრძელო“, „იარაღი“...) ტფილის-ქალაქის სასიმღერო ფოლკლორი, ძველი თბილისის ჟანრული სურათები და ნატურმორტებია ხატოვნად ასახული. ქართული რომანტიზმის მთავარი ფიგურის, გრიგოლ ორბელიანის უმთავრესი პოემა „სადღეგრძელო“ შესაძლებელია პოეტური სკოლის, მიმართულების ხაზიც ყოფილიყო, რომ არა რომანტიზმისა და რეალიზმის დინოზავრივით გადაშენება ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

ახალია და გასაოცარიც, როცა დღეს ხვდებით ლაშა გვასალიას, რომელიც ცდილობს აღადგინოს და გაიხსენოს ის დავინწყებული გზა, რომელიც სწორედ რომ გრიგოლ ორბელიანის ხმასთან მიგვიყვანს.

ლაშა გვასალია პოეზიის დაუნერეელი თუ დაწერილი წესებისა და კონსტიტუციის ერთგულია. მისი ინსპირაცია სავარაუდოდ ის ცხოვრების წესია, რომელიც ქართველისთვის არ არის უცხო. ამ წიგნის მთავარი გზავნილიც იქნებ ესაა – ერთიანი ხაზით, მთლიანობის ძალით პოეზიამ მიაღწიოს მკითხველამდე, როგორც გორგალმა, რომლისგანაც უამრავ ადამიანურ თანაგანცდილს, ან თანამატარებელს, ან თანგადატანილს ამოართავს დაინტერესებული მკითხველი.

ჩვენ რომ ეს გორგალი დავშალოთ, უნდა მივყვეთ ავტორის წესებს და მის მიერ წარმოდგენილ ლექსებს, რომლებიც გარკვეულ ნომრებსაც ატარებენ, რაც ალბათ, გარკვეული წესრიგისადმი ყურადღების გამახვილებისკენაც მიგვანიშნებს.

ის უნიკალურობა, რაც ახასიათებს ქართულ კულტურას, კონკრეტულად კი პოეზიას, სწორედ ის მეხსიერებაა, რომელიც შემოქმედ ადამიანში იფილტრება – ქალაქური

სასიმღერო პოეზიისთვის კარგი მაგალითია ლაშა გვასალიას ლირიკაც – წარმართის სარიტუალო სიმღერებს ფერხული ჩაუბამს ქრისტიანულ საგალობლებთან, ქართული სიტყვის სიუხვით განოყივრებულ ადამიანურ განცდებს, როგორც ბიბლიურ გამომჟღავნებას კი რითმის კორიანტელისკენ მივყავართ.

რატომ გაიშვიათდა გულწრფელი პოეზია თუ ეპატაჟურმა ფორმამ წაღეკა ის დღეს?! გულწრფელობის აქტში ადამიანი არა როგორც დაცემული, დამონებული არსება უნდა იყოს წარმოდგენილი, არამედ მისი ის მდგომარეობა, სადაც ჯერ კიდევ წინააღმდეგობის განწევის სურვილია, როდესაც სულს შეძახილით აკრთობს თვით ადამიანი და მისი ლირიკულობა არ აბნევს და არ კარგავს საკუთარ არსს – ამიტომაც ყოფი-ერების ლაბირინთში გამიშვლებული ადამიანი, მოსაწყენი ხდება და გულწრფელობის აქტსაც უპირისპირდება.

რაც შეეხება თითქმის დასაღუპად განწირულ ადამიანად დარჩენის სურვილს – შემორჩეს ისეთი, როგორც ერთხელ დასაბამისას ჩასახა უფალმა, სწორედ ამ მდგომარეობისას მოდის პოეზია, როგორც ასეთი.

ლაშა გვასალიას პოეტური კრებული გვიყვება ერთ მთლიან ამბავს, ამბავს, თანამედროვე ადამიანზე, რომელსაც დიდი ისტორია აქვს, ფესვები, რომელიც თავისავე თავში მოიცავს სხვა უამრავ თავგადასავალს არამხოლოდ ადამიანებზე, არამედ უფალზე, რწმენაზე, იმედსა და სიყვარულზე.

კიდევ ერთი, რაც ლაშა გვასალიას ნიშაა პოეზიაში — მის ნარატივს თან დაყვება ამსოფლის სიამტკბილობა, მის ლექსებში მარტივად და თითქმის

ბრწყინვალედაა ჩვეულებრივი ერთი დღე, როცა ადამიანს უბრალოდ ახარებს სიცოცხლის განცდა. ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული რამ — ღვთაებრიობა და ადამიანურობა — როგორც განუყრელად ერთარსებობა, ამ ლირიკული გმირის თანამდევია. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ, როგორც რიტუალს, არ მივიღოთ მას- ში მონაწილეობა, მაგრამ ვუყუროთ, როგორ იბრძვის ადამიანი გადარჩენისთვის, წესებისა და ადათების ერთგულებისთვის, აღთქმებისა და დათქმების შესრულებისთვის.

67. ჩემი სოფელი

**ჯორჯოზე იჯდა ბაბუაჩემი
და გაჰყურებდა შორეთს მდუმარი,
ცაზე ღრუბლების ცურავდა გემი –
მიუწვდომელი ლურჯი სტუმარი...**

ამ პატარა ნაწყვეტში დიდ რომანტიკოსთა ნაფიქრიც კრთება. ლექსის დასაწყისი ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა, თუმცა სტროფის ბოლო სტრიქონებს ყოველდღიურობიდან გადავყავართ და ნიშნების ენით პოეტი გვამზადებს რაღაც სხვა ამბისთვის, რომელიც ჩვეულებრივობის ფორმიდან გადის.

ახალ წიგნში შემდეგი ლექსები ნომრებით 28, 38, 67, 92, 129, 136, 149 ავტორის ხელწერისთვის დამახასიათებელ ლირიზმს წარმოადგენენ.

აი, მაგალითად:

28. * * *

**გამარჯობაო, მომამზევა სოფელმა
ბიჭმა,
ამოაყოლა გამარჯობას სული და
გული,
მეც მივაგებე სალამი და ყოველ
ნაბიჯზე,
თავს იწონებდა სიყვარულით სავსე
ზაფხული!..**

ეს ლექსი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, როგორც ჩანს დარაც ასე ამშვენებს პოეზიას. თითქოს დიდი არაფერი, ყოფა, ჩვეულებრივობა, თუმცა ზაფხულის

მთელი მშვენიერება სწორედ გამარჯობის მომზევება ხდება გამვლელისთვის, რომელსაც ახლავს სულიც და გულიც და რაც სიხარულს იწვევს ასევე, და პოეტის მხრიდან მიძღვნასაც იმსახურებს. გამოკვეთილად ახასიათებს ავტორს – აღტაცებისა და გაოცების უნარით ის აღწევს პოეზიის სამჭედლოში ახალი ლექსი გამოჭედოს და მისი წიგნის ერთი ნომერი ლექსი გახადოს. ვფიქრობ, ეს გადანომრვა პოეტს დაეხმარა წიგნის საბოლოო სახის შეკვრაში, როგორც პოემის ცდა. შემდეგი ლექსიც საგულისხმოა:

92. ამ შობას...

**ამ შობას გულებს ვარიგებ და
ვინმე არ დამრჩეს!
რაო?**

**რამდენი გული მაქვს და ბევრი ძალიან,
რამდენიც სხივით მოსირმული
სიტყვაა ჩვენში –**

**ქართულ-მეგრულში,
და ვცდილობ ყველას
სიყვარული ვაჩვენო რაა,
ჩემეული, ლაშასეული,
თორემ ყველა ხომ პირსავსეა
ხუსხუსა სხივით,
ქვევრთავმობდილი საფერავის
დაჰკრავს აღმური,
მათ თვალმიუღწევ კამკამა გრძნობას...**

**ამ შობას გულებს
მოგიძღვნი ყველას,
ყველას, ვისთვისაც
სიტყვაა ღმერთი!..**

ეს ლექსი მთლიანად წამოვიღე წიგნის წინასიტყვაობისთვის. მისი აგებულება, კოდექსი, ასევე აზრი და შინაარსი ლაშა გვასაღიას ყველა მახასიათებლითაა წარმოდგენილი. შობას, ყველაზე საკრალურ მოვლენას, მიძღვნას, ნარატივს, სიყვარულის ახსნის მცდელობას, ქართულ-მეგრული მდიდრული ენით და რაც მთავარია რომანტიკული განწყობით წარმოდგენილს – არც მეტი და არც ნაკლები – სწორედ ლაშა გვასაღიას სტილი აქვს.

ქართული ლიტერატურის ხანგრძლივ ისტორიას ახსოვს მრავალი გზა, და კიდევ მრავალი დავიწყების მითოსშია გახვეული.

თითქოს დამწერლობის ბედი თავისავე ხალხის ბედსა თუ უბედობას დამგვანებია. თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ერები, რომლებსაც ორი და სამი ანბანი შეექმნას არსებობის მანძილზე. ქართულს კი სამი ანბანის წინ კიდევ გამოუვლია დავიწყებული დამწერლობა, რომელიც მხოლოდ შთაგონების წყალობით თუ გაკრთება იშვიათად.

ანბანის ჩამოყალიბებამდე კი ალბათ, იქნებოდა ის რთული გზა, რომელსაც უძველესი ქვეყნები გადიოდნენ – ქურუმთა საიდუმლო დამწერლობის და ცოდნის შენახვის გზით. ქართველებს გვაქვს ეს გენეტიკური მახსოვრობა – არავინ იცის სად და რატომ, ან როგორ ამოაქვს ქვეცნობიერს ეს ცოდნა.

პოეზიაში საიდუმლოს გაცხადება უმეტეს წილად მოდის. ლაშა გვასალიას ახალი ნიგნის დაბადებაც ქართული სულის იმ ძველ კარიბჭეს ხსნის, სადაც ქრისტიმდელი ადამიანია ჩასახული.

რას აკეთებდა შრომასთან, ბრძოლასთან ერთად ქართველი წარმართი თუ ქრისტიანი – მისი სულის მხნეობა საიდან მოდიოდა?! სიმღერიდან.

სიმღერის ტექსტები კი ძველად ალბათ სარიტუალო წეს-ჩვეულებებთან ერთად ვრცელდებოდა და ისტორიის ფურცლებზე ილექებოდა.

და ბოლოს, რითიც დავიწყეთ ეს მცირე წერილი, იმით- ვე დავასრულოთ:

დღეს რაც განსაკუთრებულად ეროვნულია, ქართულია, სწორედ ის ხდება დასაცავი, იქნებ გადასანახიც კი. ლაშა გვასალია რაღაც მხრივ რომანტიკოსთა ლიტერატურულ ბედსაც იაზრებს – ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ თუ გავიხსენებთ, რომელიც თავისთავად წარმოშობილია განსაკუთრებულად ქართულის, რაღაც ძველის ნიშან-თვისებიდან, ლექსის შეთხზვის კულტურას რომ მოიცავს.

ასე იკვეთება მისი პოეტური კრებულის ზოგადი კონტურები თავისებურ პერფორმანსად.



ლამა გვასალია

როგორ მიყვარდა...

როგორ მიყვარდა, ღმერთო ჩემო,
 მიყვარდა როგორ,
 სხვას ვინლა იტყვის, მამალლებდა
 მისი დანახვა,
 ცას მოამტვრევდა თვალთა ფერით
 ღიმილა გოგო,
 და გამო მისთვის – ყველაფერზე
 ვიყავ თანახმა...
 მზემ მომიფრთონა უთენია მისი
 მანდილი,

(ეს მოცხადება ფიქრის სისხამს
 გამიადვილებს),
 სამოთხის სულთან ვსაუბრობდი
 მასზე ამ დილით,
 ახლა კი სიტყვით ვეტანჯები
 ამ სინამდვილეს!..

როგორ მიყვარდა,
 ღმერთო ჩემო,
 მიყვარდა როგორ!

ეს საფლავი კი არა, ღამეების ფრთავია...

მომაშველე, უფალო, მზერის ლურჯი ხატება,
 და აუწყე სამყაროს სიყვარულის სიმალლე,
 ჩვენ არ ვიცით ეს სივრცე სად მიდის, სად მთავრდება,
 და ან რაღას მიაღწევს უდროებოდ სიახლე...
 იქნებ გულმა იხილოს
 ამ წარღვნათა ტკივილი,
 როგორ მიექანება
 აღსავალის კარისკენ,
 მოახილე ზე-ქარებს
 ჩემი სულის კივილით
 ვით დავიპყარ სიტყვა და
 ეს სიგიჟე გავრისკე...
 ახლა ყველაფერია, რაც არ იყო ოდესმე,
 ჩემო დღეთა ქარაგმავ, ზღვა-სალურჯე თვალებით,
 მოვისხივეთ სიშორე და მივენდეთ მთვარის მზეს,
 შეგვეძინა მერეთი – კრუნჩხვითა და წვალებით...
 მომაშველე, უფალო,
 რაც მიწისგან ჩვენია,
 აქ ყველაფერს ხომ მაინც
 ამთავრებენ გლახურად,
 არ ჩაკვდება წუხილში
 უკვდავების გენია,
 რადგან უფლის საშოოდ
 ღვთისმშობელი ეხურა...
 ეს საფლავი კი არა, ღამეების ფრთავია,
 უშავესი მზერიდან მოფრთონილი ხატებით,
 სიზმრებივით ფიქრები ძილ-ფხიზილში კრთებიან,
 და სანყისი ოცნების მთვარის წკიპზე ღამდება...
 ყველაფერი იწყება
 უფლის თეთრი ხელიდან..

და სიკვდილი სიცოცხლეს
პირატივით ლალატობს,
მოლანდება მოცოცავს
კუბოს შავი ქერიდან,
დაქანცული უფალი
მინას მზიდან თვალადობს.
ლამეების ფილტვებით ხროტინებენ დღეები,
ერთხელ მაინც მაუნყე, რა მიშველის, უფალო,
ამიფრინე მკერდიდან თეთრლაჟვარდა მტრედები,
რომ ცამ მინის გულიდან მოფრენილად ჩამთვალოს!..

მოველ და...

მოველ და გული მოგიტანე,
შენ რას ელოდი?
აჰა! არ ფასობს კაპიკადაც,
სხვა დროა ახლა,
უნინ ამ გულით იმდენ ვინმეს
ტრფობით ვშველოდი,
ახლა ვის უნდა, თუ მეწყვილედ
ფული არ ახლავს!..

თქმა

ქვეყანა გაჰყვეს ნაწილად,
სამშობლოს „კრეფენ“ შუა,
ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს,
არ ვართ ამ მინის ღირსნი...
ისეთი ხალხი მარიგებს
გაავნებული ჭკუას,
სალამს რომ ვაძლევ, ვფიცავარ,
მათთვის ბევრია ისიც!..

დედა

ჯერ ნვალობდი – ამომედეგა ენა,
ლაპარაკი რომ მესწავლა ყმანვილს,
მამალლებდა შენი დიდი რწმენა,
მშობლიური სიყვარულით აღვსილს...

როს გაზრდილი გზას მივიკვლევ სევდით,
ვერჩვეული დუმილსა და თმენას,
ახლა უკვე ის მასწავლე, დედი,
კბილი როგორ დავაჭირო ენას!..

შენ...

ვერ მოვითმინე ნაქცევა კაცის,
ვერ შევიცვალე სახე და ნირი,
და ამის გამო ჯვარზე რომ მაცვეს,
ვიცი და მაინც ხმამალა ვყვირი...
ესმით ეს ხმობა გაღმა ნაპირებს,
დაუნყებელი ფიქრით ვინყები,
მზის ჩრდილზე სულის მოთქმას ვაპირებ,
ამოუთქმელი ნუხან სიტყვები...

შენ მომალისე ჯილდოც, სასჯელიც,
გულმა მწვერვალი შენით დალახა,
ჩემი ფიქრების ასე მტანჯველი-
ცაში ხარ, მაგრამ იქაც არახარ!..

ეს სიყვარული...

ნულარ დაღევო, მერე ფრენას
ინყებო ცაში,
ღიმილი შენი-მზერით შენით
მემახსოვრება,
სანამდე პირში სული მიდგას,
მტრედების ტაშით
ეს გზა იმზევებს, და მე კიდევ
მთელი ცხოვრება
ვიდარდებ იმას, ვერ მოგწყვიტე
ცა-მზის ტოტიდან,
ვერ მოვიქარე შენი სუნთქვა
სიზმარ-სხეულით,
სურვილი, რავექნა, მონატრების
კვლავაც მოდიდდა,
და დავალ ასე ოცნების ცა

ჩამომსხვრეული...
 შენ ლამაზი ხარ, წლები რაღას
 უზამენ მთვარეს,
 შელურჯებია ცას ელვარე
 მნათი ფარული,
 ვდგავარ და ვარსკვლავთ შევლილინებ
 ასე ცისმარე,
 რომ გაზაფხულად ამიყვავდეს
 ეს სიყვარული!..

ისევ შორიდან...

აქ ვერაფერი შევიმცნე მაინც,
 ცარიელია სტუმრის მაგიდა,
 და უმასპინძლოს ვერ ვუგებ ალაგს,
 ჩუმად გავდივარ უტყვ ქალაქიდან...
 მზე ამცხუნვარებს ზღვასა და ხმელეთს,
 აოქროსფერებს ჟამთა ნაკეცებს,
 და მოფეთებულ ელეთს და მელეთს
 მთვარის მზერიდან ესე დაეძებს...
 მივიკვლევ სავალს სიტყვათა ძაფით,
 ვერ მოვიჩრდილე ცისკრის პროფილი,
 ველარ მივიკვლევ აღმართს სისწრაფით
 ულულუგთაგან უარყოფილი...
 ვერ დავეტოლე გზა-შორ აჩრდილებს.
 ავყურებ ზეცას ისევ შორიდან,
 სიცოცხლეს ვინაც გამინამდვილებს –
 ველოდები და აღარ მოვიდა!..

შენ და შენით...

მე ყველაფერი დავინყე შენით,
 ცაზე მაღალო,
 და მზეზე დიდო,
 შენ ფოთოლცვენის სიცოცხლე გშვენის,
 მე შენი ფრთებით აფრენას ვცდილობ...
 უსასრულობით გრძელდება მზერა,
 თვალმიუნვდომი ლურჯი შორეთის,
 მე მაინც ცრემლის სინრფელის მჯერა,
 დრო გაპარულა მიეთ-მოეთის...
 მზე ბიბლიური სინათლით კრთება,
 მაღლდება სულის უებრო ჟამი,
 ვაგრძელებ ისევ სიტყვათა კრებას
 დარდად ქცეული ნუთით და წამით...
 სიყვითლე ხეებს მოაქვთ ველიდან,
 შენ სად წახვედი, ჩემო გურიდე,
 მე გავიქეცი ზეცის მზერიდან,
 რა მიზეზითაც შენ გაგერიდე!..

ყველაფერს თავის დრო აქვს,
 დრო აქვს ყველაფერს თვისი,
 წლებს დარდი მიაქვთ – მოაქვთ –
 ხან მთვარით, ხანაც მზისით...

გთხოვ, გამიფრთხილდე,
 ჟამო, აღარ წაგიცდეს ხელი,
 ჩემო ბოლოს წინ წამო,
 არ მოიქნო ცელი...

წლებს ყოველივე მოაქვთ –
 ხან მთვარით, ხანაც მზისით,
 ყველაფერს თავის დრო აქვს,
 დრო აქვს ყველაფერს თვისი!..

ჰარიდა

ჰარიდა სიმღერის ღმერთთაო, –
უთქვამთ ძველ კოლხებს,
ჰარიდა ფრთებით დაჰხაროდა
გულმზე დიაოხებს...

მივდივართ, ვეფლობით საცისკრეთში
უძღებ სიყვარულით ანათროლონი,
უსასრულობას ვუერთდებით
ასე ცაუძირო ცისფერბროლით...

ზეცას ჩამოჰქონდა გაზაფხული
ანგელოზების გემოვნებად,
სიო რიტმულად ნანაობდა
სულის ღვთისგაუფლო შეყოვნებად...

ვმღერით და ჰარი დაგვაცახცახებს
ჟინით და უფლისად მონუგეშე,
ისევ ვუტოლდებით გახარებას,
ვიბუდებთ ტოროლებს უბეში და...

მითაჟამინდელი ზღვანათება
გალობას დღესაც გვიადვილებს,
როგორც სიზმრიდან გაქცეული
თვალეზახელილი სინამდვილე...

მალღდება ჩემი ოდოია
ძველი პანთეონის დიდებად,
მოჰქრის გალობისად სიცახცახე
და ახლით ცაბათი ბრწყინდება!..

ანგელოზურ იმედებს

ახლა ფრთებიც მამძიმებს,
მთვარე მიძგერს უბეში,
ანგელოზურ ცის მძივებს
ლექსი ამკობს ნუგეშით...

მინდა ვნახო უფალი,
გავსცდე მზაკვარ ჩეროებს,
ხმა უკუნში ჩავფალი
ჩუმად სადღეგრძელოებს.

მინა ნელ-ნელ მშორდება,
ყრუ და კვდომის ხმიანი,
და ცხოვრებაც შარდება
ქარით ხმაურიანით...

ვამბობ, რადგან ოცნება
მითიური დასტურით
გულხმობს პატიოსნებას
მოკანკალე წარსულით...

ვემსგავსები ზმანებას
ყოფით, მეტად მარტივით,
უფლის კვლავაც წამებას
ღვთისმშობელით დავსტირი...

სხვა სივრცეთს დავეძებ,
სიკვდილიც ვერ მიმეტებს,
ყოფა აურზაურით
წიხლავს ჩემს მზე იმედებს...

რა ციური სიმაღლე,
ჩამოღრუბლდნენ ნისლეები,
არის ძველი სიახლე –
ჭკუიდან რომ ვიშლები...

ანგელოზურ ცის მძივებს
ლექსი ამკობს ნუგეშით,
უკვე ფრთებიც მამძიმებს
მთვარე შფოთავს უბეში!..

სიყვარული ფრენაა

ამ სიყვარულს რა ვუყო,
ცხრაგზით მქროლავს მარტივით,
სულის ცისფერ ცასამყოს
აბრაგულად დავსტირი...

რა მიჭირდა უცვლელი
მქონდეს გულის ხანძარი,
კვლავ შლეგივით ვუცქერი
რაც არის და არ არის...

ჩემი ღმერთი სიტყვაა
ამოთქმული ზვირთებით,
მინა სიტყვის ტყვეა და
მემთესვა რად ვჭირდები...

როგორ გინდა გავუძლო
ბოლოუჩინ იმედებს,
ჩემს სისხლს მზეში ჩაუნობს
დასაღვრელად ვიმეტებ...

სიყვარული ფრენაა –
მესმის, სულო, შენი ხმა,
ჩემი არსიც ზე-ნა-ად
გასაფრენად შე-ირ-ხა!..

როგორ ავფრინდით ცით ცამდე

ალიაქოთობს სამყარო,
მკითხო, – ვარსებობ ისე რა,
სული ხორცთან ვით გავყარო,
არ გითხრა ღირსი სიმღერა...

ჩემო სისხლო და ნათელო,
მზეობ სიკეთის მთესავი,
ჩემო მაღალო ქართველო,
ნეტავ უწყოდნენ შენსავით,

რა მანძილია ღმერთამდე,
რა დამღლელია ქაოსი,
როგორ ავფრინდით ცით, ცამდე
ჩონგურით, „ვეფხისტყაოსნით!..“

არ დავრჩეთ იქაც უერთმანეთოდ

გაზაფხულები ერთად ვიპოვეთ,
ალალ სიყვარულს მზეზე ვაფენდით,
გზა-გზა იმ დღეთა ხსოვნას ვიფონებ –
შვილების მზით რომ ერთად გავთენდით...

ყველას თავისი მოსდევს მისია,
ამ ძალით ბორგავს მტკვარი, არაგვი,
სოფელი სრულად საკმარისია –
ცხოვრებითა თუ ძვალთშესალაგით,

რომ დაინახო ახლო შორიდან,
რწმენა სულის და ხორცის – საერთო,
საწყისთან უფლის ისე მივიდეთ,
არ დავრჩეთ ცაშიც უერთმანეთოდ!

სიყვარული ცას ეძებს

ველარ გავითავისე
წელთა შეკონინება,
ამიჯანყდნენ გიჟურად
უმართავი განცდები,
რაც დასრულდა ტკივილით,
ლიმილით დაინყება
და ილბლისად დაწერილს
ველარაფრით ასცდები...

სული ჩემი შენეულ
სხივებს შენივთებია,
პოეტური ფრენებით
ვერაფერი ვიშოვე,
სიყვარული ცას ეძებს –
შეუკვეცავ ფრთებიანს,
გავურბივარ ვარსკვლავთა
მზეჩაუნვდომ სიშორეს!..

მიჭირს საიდუმლოთა
ძველებურად შენახვა,
ყველა ხვდება ტკივილით
მოშუშებულ ნაფიქრალს,
ამ სიტყვების სანყისი
და სასრულიც შენა ხარ,
წასასვლელი სანათიც ესე
ჩუმად ჩამიქრა!..

ღმერთის ენავ

უხსოვრობით მომდინარობ,
უკვდავებით მალლობ ცამდე,
რაც არ უნდა დარდი მხრავდეს,
რაც არ უნდა სევდა მწვავდეს...

შენით ყველაფერი მზეობს,
ამ ცისა თუ მიწის მშვენად,
ლექსი შენი რწმენით ძეობს,
იკუთვნება სიტყვა შენად...

ხან აკენისად, ხან ღმერთისად,
წარსულით და პაპეულით,
გუთნეულით, ხარ-უღლისად,
დაგლესილი აპეურით...

ყველაფერი ყველაფერობს
როცა შენ ხარ ცა-ფრთამალი,
ზეცა ანგელოზად ფერობს
შეუმღვრევი წმინდა თვალით...

შვილთა ჩემთა სულის რწმენავ,
კუბოს ჩემის საფიცაროდ
გამოთლილო, ღმერთის ენავ,
უფალივით საოცარო...

ხან აკენისად, ხან ღმერთისად,
წარსულით და პაპეულით,
გუთნეულით, ხარ-უღლისად
გაზინთული აპეურით!..

შელოცვის ზიარ

ანელისა, ბანელისა,
შავტარიან დანელისა,
ავი სულის, ავი გულის,
ავი მინაკარებისად,
შენი თავი შემიღონა
გულ-ეშმაკად ტარებისად,
მომიყამა ტკივილი და
დამრჩა უფლის ხარებისად...

ალო, ლივ-ლივ შუქო სანთლის,
წყვდიადეთი მომითენე,
შეაშველე ელვა შენი
ხორცში სულის შემოფრთონებს...

იქნებ ვარსკვლავს ველარ შევსწვდე,
დღეებს გავწვდე ველარ მშვენად,
სასრულობის მინყივ შემნე
დამიგულო იქნებ შენად...

ავი სულის, ავი გულის,
ავი მინაკარებისად,
ანელისა, ბანელისა,
შავტარიან დანელისად!..

თამარო

თამარო,
ზამთარს რა ვუყო,
ამ ჩამოთოვილ მთა-ველებს,
ოცნება ვისლა გავუყო,
ასე რომ მწვავს და მახელებს...

თამარო,
ლამე ვერ მოდგა,
შენ რომ სიზმარად
არ მყავდე,
ცხოვრება ტანჯვა გამოდგა –
გადაყოლილი იმ ყადრებს,
რომელმაც სული წარიღო,
რომელიც ცრემლად გადინდა,

გლოვით

მისრულდება უმამობის თვეები,
მიღვინდება ოცნება და დარდი,
მაგონდება ცანათელი დღეები –
დახურული გამჭვირვალე ფარდით...

ილექება უდარდელი სამყარო
მოცამალლე ხმაკამკამა გამით,
შემეყარა უცილობო საყარი
ცად წასული უსანთლესი მამით!..

ვრჩები მარტო, ტკივილების ამარა,
ვერ ვგრძელდება დაუდეგარ გზნებით,
შევაკვდები უსაბამო კამარას
და ათასგზის გაკვალული გზებით

მივიჩქარი, სადაც სხივთა ნათელი
ეტოლება უსასრულო წამებს,
და სამყარო – საღმერთეთის სანთელი
ბოლო სათქმელს ლოცვით მოინამლებს...

მაგონდება ცანათელი დღეები –
არეკლილი სხივურდილო ფარდით,
მისრულდება უმამებო თვეები,
მიღვინდება ოცნებაც და დარდიც!..

ველარ გავიგე რა იყო,
მზერა მთით სად გადავიდა?

თამარო,
ფრთები მაჩუქე,
უფრთობას ტანჯვად განვიცდი,
გადავუფრინოთ მზის ქუჩებს
მაღლობით შესაბამისით.

ოცნება ვისლა გავუყო
ასე რო მწვავს და მანვალეებს,
თამარო,
ზამთარს რა ვუყო,
ამ ჩამოთოვილ მთა-ველებს!..

საოცნებო

სოფლელ გოგოს
სავსე კაბით –
ჩითისა და ხელაბანდით,
ჩავიკრავდი გულში ნამით,
ცახცახით და გლეხურ ფანდით,
ისე ვნებით აფუხსნიდი
სიყვარულს და ნუკრის მზერას
მომაბნევდა, ნიშნად იმის,
რომ მენდობა, ჩემი სჯერა...
ნამომყვება სადაც მინდა,
თვით ქვესკნელშიც –
ტანჯვის წევრი
გახდება და თხოვნა წმინდა
ექნება, რომ გავხდეთ ბევრი...
დახუნძლულნი სისხლით-ხორციით,
ოფლითა და შრომა-ჯაფით,
სულ უბრალო პერანგით და
სულ უბრალო ჩითის კაბით...

ვიყოთ ქვეყნის იმედები –
ერისა და ბერის ძალა.
კაცს პურ-ღვინო ვუმადლოთ და
სანთელი კი უფალს ღალად...
და ჩავტკბილდეთ ბადაგივით,
გვწყვეტდნენ წყვილად
სიტყვის ნაყოფს,
ვინაგრებდეთ სიყვარულს და
წასასვლელად მიწას სამყოფს...
სოფლელ გოგოს, კობტა გოგოს,
სადასტუროდ – კის თუ ხოლოს,
მკერდსავსეს და მზერანათელს,
ამ ოცნების თავს და ბოლოს,
მივუძღვნიდი ჩემს ალალ გულს,
ვუმღერებდი მეგრულ „ნანას“,
დავურგავდი გაზაფხულს და
ვაჩუქებდი მთელს ქვეყანას!..

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო ღმერთია –
თავის ანით და ჰოეთი,
სილამაზეზე მეტია –
სიახლოვით და შორეთით...

ვიხსენებ, ველარ ვიხსენებ
ცუდსა და ვერ დავემალე
იმას, ცით ვითარ ვივსები
სიყვარულების მევალე...

ყველგან სხივია ისეთი,
ვერ გაუსწორო თვალები,
სამაჩაბლოთი – ოსეთით,
აფხაზეთით და ლაღეთით...

სილამაზეზე მეტია –
სიახლოვით და შორეთით,
ჩემი სამშობლო ღმერთია
თავის ანით და ჰოეთი!..



ელგუჯა მარლია

მწერალი,
რომელიც ენაში ცხოვრობს...

(შტრიხები ლაშა გვასალიას პორტრეტისთვის)

ენის რაობასა და მნიშვნელობაზე არაერთი შთამბეჭდავი აზრი გამოთქმულა... „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“... (გრიგოლ ორბელიანი); აი, რას წერდა 23 წლის ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა წინაპართაგან – მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რალა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით, მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას...“ ნიკო მარის აზრით, ქართული ენა – „მსოფლიო ენაა“... ლადო ასათიანმა კი სრულიად სამართლიანად უწოდა „ღმერთის ენა“... არაერთი დიდებული ლექსიც მიეძღვნა ქართული ენის სიდიადეს... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მუხრან მაჭავარიანის საყოველთაოდ ცნობილ ერთ ამონარიდს გავიხსენებ: „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს“... არიან მწერლები, რომლებიც ენაში ცხოვრობენ... მწერლობაც, სწორედ, ენით ფერწერა, თავისთავადი, ახალი ენობრივი ქსოვილის, ორიგინალური რიტმულ-სტილურ-აზრობრივი ჰარმონიის შექმნა გახლავთ... არაფერი მითქვამს ისეთი, რაზეც არ უფიქრიათ და უმსჯელიათ ლიტერატორებსა და მწერლებს...

„ქართულ მოდერნისტულ რომანებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სიტყვას, აქცენტირდა მისი მრავალშრიანობა თუ მრავალმნიშვნელოვნება. სიტყვას დამოუკიდებელი სუბსტანციური მნიშვნელობა მიენიჭა, იქცა არა მხოლოდ გარკვეული აზრის, არამედ ფერისა და მუსიკის გამომხატველად. ქართველმა მოდერნისტებმა რომანი აქციეს წმინდა მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებად,

ამიტომაც გამოხატვის ფორმას მიენიჭა უდიდესი მნიშვნელობა.“ (ამონარიდი მაია ჯალიაშვილის წერილიდან, „სიტყვის ხელოვნება ქართული მოდერნისტული რომანების კონტექსტში)

იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული დღემდე, მრავალი გენიოსისა და კლასიკოსის ჩამოთვლა შეიძლება, ვინც გვხიბლავს და გვაჯადოებს ქართული ენის ამოუნურავი საგანძურით... განა მსოფლიოს საოცრება არ არის რუსთველის თუნდაც ეს ალიტერაცია? – „კარვის კალთა ჩახლართული, ჩავჭერ-ჩავაკარაბაკე“... სწორედ ეს გახლავთ ჩვენი დედა ენის, განსაკუთრებით, ძველი ქართულის, სხვათა ენაზე გაუმხელელი მარადიული საიდუმლო... იქამდე საიდუმლო, ვიდრე რომელიმე უცხოელი მთარგმნელი ან მეცნიერი სისხლხორცეულად არ შეიმეცნებს და გაითავისებს ჩვენი ენის სასწაულებრივ შესაძლებლობებს... გალაკტიონს გენიალურმა ინტუიციამ არ უღალატა და პავლე ინგოროყვას მეცნიერულ ვარაუდს პოეტური ფრთები შეასხა:

შენ, რომელიც
მარადმზებერ გვინათ,
არა გუშინ
გაჩნდი თვალის ჩინად,
არამედმზით
ამოენთე ბრწყინვად —
ოცდაექვსი საუკუნის წინად...

(„ჰიმნი ქართულ ანბანს“)

დიახაც, რომ ოცდაექვსაუკუნოვანი ანბანის წიაღში იშვა ჩვენი დედა-ენა... მართლაც, არაფერია დაფარული, რაც არ გაცხადდება...

სალიტერატურო ენას ხალხთან ერთად ჰქმნის მწერალი... ხატოვნად თუ ვიტყვი, მწერალი ხალხთან ერთად, გუთანიც არის,

გუთნისდედაც და ულელში შებმული გამწვევი ხარიც... ვერ დავიჩემებ, სხვის ნათქვამს არ ვიმეორებდე. არა მგონია, აქამდე ვინმეს არ აღენიშნა, რომ მწერალი ენის გაფაციცებული და დაულალავი არქეოლოგია...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლაშა გვასალიაც ენაში ცხოვრობს... გრძნობს, ეძებს იმ საიდუმლოს, რაც იოანე-ზოსიმეს მიხედვით, ქართულ ენაშია დამარხული... მართლაც სხვა ხმისა და სინათლის პიროვნება არის ჩვენი ლაშა... ისე ლალი, ძალდაუტანელი, ფერადოვანი, ხან მდინარესავით ღრმა და მდორე, ხანაც – მჩქეფარე და აბობოქრებულია მისი სალიტერატურო, სამწერლობო ქართული... თუ არ ვცდები, ლაშამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები მოიარა და თითქმის მთელი წელიწადი ქართლში იცხოვრა, რომ ძირის-ძირობამდე ჩასწვდომოდა დედა ენის, ქართლელთა, კახელთა, ფშავ-ხევსურთა ბაჯალლო ქართულის ამუნურავ სალაროს... ლაშა გვა-სალია გახლავთ მწერალი, რომელიც ეროვნული ფესვებიდან არის ამოზრდილი... დღენიადაგ მისი საფიქრალ-სადარდებელი ჩვენი ბედკრული სამშობლოა... მამული, რომელსაც თვალწინ, დღისით-მზისით ეკლიანი მავთულ-ხლართებით გვიღობავენ და გვართმევენ... მავანთათვის მცნება „სამშობლო“ ოდენ კეთილდღეობასთან გაიგივებულია... მავანთათვის „სამშობლო“ მხოლოდ მაღალფარდოვანი სადღეგრძელოების თემა გამხდარა... მაგრამ არიანადამიანებიდამათშორისლაშაგვასალია ერთ-ერთი უპირველესია, ვისთვისაც რაფიელ ერისთავის ეს უკვდვი სიტყვები არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.“... არადა არჩიბალდ მეკეშივით (გრიგოლ რობაქიძის რომანის „გველის პერანგის“ მთავარი პერსონაჟი...) რამდენი გულანთებული ქართველია მშობლიურ ნიადაგს მონყვეტილი... რამდენი გაგვირუსდა და გაგვიევროპელდა ისტორიულად... ახლაც ყურში ჩამესმის, მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი შემოქმედის სიტყვები:

ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ,

რა ზნეგჭირსა! ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!

სადნაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა!

მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“.

(რუსთველი, 951 სტროფი,

„ნასვლაავთანდილისაგან ფრიდონისას“)

სამშობლოაკვნის ენიდან დაიმწიალიდან იწყება, სადაც დაიბადე... ესეც თითქოს აქსიომა უნდა იყოს ყველასთვის, მაგრამ რეალობა, მოგეხსენებათ, სხვაგვარი და ხშირად სავალალოა...

ლაშას პოეზია, პროზა, ესეები სუნთქავს და ცოცხლობს უპირველესად საკუთარი წილის სიყვარულით და აქედან იშლება მისი არაჩვეულებრივი თვალსაწიერიც... ისიც წინაპრებივით დააბიჯებს მშობლიურ ტყე-ღრეებში... ეძებს და ყველგან პოულობს სილამაზეს... რას არ შეამჩნევს მწერლის გამახვილებული მზერა... მე რეკი – ხან მცირე ნააზრევის სახით და ხან კი – ჩინებული პოეტური სტრიქონებით უშურველად გვიზიარებს და გვატკობს...

დღენიადაგ მორუდუნე, მბორგავი, მამულს მიჯაჭვული და მასზე მოფიქრალი გლესკაცივით ხან შემას ეზიდება და ხანაც მინას ბარავს, ხნულსაც ავლებს, თესავს, თიბავს და სარჩო-საბადებელსაც იმარაგებს.

ლაშა გვასალია დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული პიროვნება, საზოგადო მოღვაწეა; მრავალფეროვანი და მიმზიდველია მისი შემოქმედებითი სპექტრი; ჩინებული პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, მთარგმნელი, ამავე დროს ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი... არაჩვეულებრივი ორატორი და კარგი სპორტსმენიც. სწორედაც, რომ „ჯანსაღ სხეულში - ჯანსაღი სულია“.

ლაშაზე ვწერ და ოტია იოსელიანი

მახსენდება – მინასთან მოდუდუნე. მახსენდებაოთარჩხეიძეც – სასხლავითხელში ვენახში მოსიარულე... მახსენდება ნოდარ ნულისკირიც – დედაქალაქს გარიდებული...

რატომ დავიწყე ენაზე აქცენტირებით? – ეს განაპირობა ლაშა გვასალიას მოკლე ნააზრევმა, სადაც მკაფიოდ ჩანს მისი მწერლური პოზიცია: „მდიდარი სინტაქსით -ამაღლებულად და ძარღვიანად უნდა გადმოიციეს განცდის სიმძაფრე და ემოციური მღელვარება. ენამ უნდა შეიძლოს გამოხატვა იმისა, რასაც ავტორი გრძნობს სამყაროსთან ურთიერთობითა და შემოქმედებითი კანონზომიერებით. ენაა ყველაფერი, სუნთქვის რიტმულობა, სისხლის მიმოქცევა და ჩქერალობა, სიზმრის ხატებათა მრავალფეროვნება, ფანტაზია და უსასრულობა – საბოლოოდ სიტყვაში პოვებს ნავსაყუდელს. ენა ხდება სამშვინველი

ყველაფრისა და ყოველივესი!“

დამეთანხმებით, ლაკონურად არის გადმოცემული ენის ფუნქცია და უპირატესობა. „ღვთით მოვლენილი მწერლები მაინც ჯიუტად ისხდნენ ყოველთვის ქართული მწერლობის სანგარში, რათა ენაშერყვნილ, ეკლესიაშებილწულ, არისტოკრატიადახვერეთილ და მეურნეობამოშლილ ქვეყანას იმედიც არ დაეკარგა. ჩვენ კი დღეს იმ სანგრის მიწით ამოვსებას ვცდილობთ.“ (ოთარ ჭილაძე, ამონარიდი კრებულიდან „წინ მარადისობაა“)

ლაშა გვასალიაც „სანგრის მწერლების“ შეუპოვარ, სულიერად და ფიზიკურად გაუტეხელ კოჰორტას ამშვენებს. მრავალჟამიერ მის, შემოდგომის მთა-ტყესავით მიმზიდველ, თვალსასერიოდ გადაფერადებულ და ანკარა წყაროსავით დამარწყულებელ, ენამზიან სიტყვას.



ჯემალ შონია

ხაირიანი ამბავი უხაირო თამაშზე

ცხოვრება გამალებით მიიწვეს წინ; გადის დრო სწრაფად და თან ათასნაირ სიურპრიზებს გვთავაზობს, თუმცა სიურპრიზად არ უნდა ჩაითვალოს ის, რასაც თვითონ ადამიანები ვქმნით ჩვენი ნიჭით, გამჭრიახობითა და ალლოთი... საზოგადოება ვითარდება, ტექნიკური პროგრესი ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს და გამოცდის წინაშეც გვაყენებს... ურმებიდან და ცხენებიდან სიტრონებსა და მერსედებსზე გადავინაცვლეთ, უკვე მიწაზედაც არ ვეტივით და მთვარეზე ფეხი დავაბიჯეთ, რათა მერე მარსსა და სხვა პლანეტებს დავატყოთ ჩვენი კვალი... კოსმოსური ტელესკოპების მახვილმა მზერამ მზის სისტემის იქით კი არა, ჩვენი გალაქტიკის მიღმაც გაიხედა და სინათლის წელიწადებით დაშორებული სხვა გალაქტიკებიც მოგვიახლოვა... აქ, ჩვენს ბევრის მნახველ მიწაზე კი კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების ეპოქა გვიდგას და ისე სწრაფად ვითარდება ახალ-ახალი ტექნოლოგიები, რომ ერთი თვის წინათ გამოშვებული აპარატი შეიძლება მოძველებურად ჩავთვალოთ...



დღეს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხესთან შეიძლება დაკავშირება და უკვე არ გვახსოვს, თუ როგორ ვახერხებდით ინფორმაციის გავრცელებას წერილებისა და ტელეგრაფების მეშვეობით.

დიახ, ადამიანმა შეცვალა გარემო, მაგრამ ძნელად თუ არის შეცვლილი თვით ადამიანი: დღეს ისევე გვიყვარს, ისევე გვძულს, ისევე გვშურს, ისევე ვიღიმიან ან ვცრემლობთ, როგორც ჩვენი წინაპრები ხუთი, ათი, ოცი საუკუნის წინათ...

და ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვი, ამგვარად აქვს გადმოცემული მწერალ გია ხუბუას თავის სულ ახლახან გამოცემულ რომანში „უხაირო თამაში“: „ადამისა და ევას შთამომავლობამაც გამოიარა წლები, საუკუნეები, ათასწლეულები; გამოიარა ქვის ხანა, სპილენძ-ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, ვიდრე თანამედროვეობამდე და ფეხბურთის ხანამ-

დე“... შემდეგ ავტორი სათქმელს აკონკრეტებს და ერთი პატარა დაბის მაგალითზე აღგვიწერს, თუ როგორ მიჰყვა ერთიმეორეს განვითარების ეტაპები: მთის მდინარეში, რომელიც ოქროს შემცველ ქანს რეცხავდა, ადამიანებმა ამ ძვირფასი ლითონის მომპოვებელი დანადგარი ჩადგეს; დანადგარს ელექტროენერგია სჭირდებოდა და იქვე ჰესი ააშენეს; ოქროს მომპოვებლებსა და ენერგეტიკოსებს თავშესაფარი სჭირდებოდათ და პატარა დაბაც გაჩნდა პურსაცხობით, მალაზიით, ფოსტით, სკოლით, მედპუნქტით...

აშენდა სტადიონიც... ახლა მწერალს სტადიონის აშენებიდან გამომდინარე „ქვემარგისტრალური“ ხაზით მივყავართ: სტადიონი რომ აშენდა, ბურთიც და ბურთაობაც გაჩნდა; ცოტა ხანში მუდამ სიახლისა და პროგრესისაკენ მლტოლველ ადამიანებს საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბების სურვილი გაუჩნდათ, რასაც სხვა გუნდისა და დაბის ჩემპიონატის ორგანიზება მოჰყვა; გუნდებს გულშემატკივრებიც გამოუჩნდნენ და შედეგების წინასწარი პროგნოზირება, დავა-კამათი და სანაძლეოთა დადებაც დაბაში ჩვეულებრივ ამბად იქცა. პარალელურად, დაბაში ტელევიზიის შემოსვლა დაბელებს თვალუწვდნენ პერსპექტივებს უქმნიდა, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ადგილობრივი მასშტაბის „საფეხბურთო პროგნოზის“ გათამაშებაში იყვნენ ჩართულნი დიდიან-პატარიანად და ქალიან-კაციანად.

ამ ამბის გაგრძელებას და, საერთოდ, მთელი რომანის მრავალფეროვან ეპიზოდებს

ავტორი იუმორნარევი თხრობით გვაცნობს, თუმცა ადამიანთა განცდები, დაკავშირებული განზილებებთან, ხელს მოცარვასთან ნაწირობებში საკმაოდ დამაჯერებლად არის გადმოცემული. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ „საფეხბურთო პროგნოზს“, ავტორი აღნიშნავს, რომ „დაბელები მთელი სერიოზულობით ფიქრობენ, რომ სწორედ ამ გათამაშებამ დაუდო სათავე ქვეყანაში შემდგომ სოკოებივით მომრავლებულ სპორტპროგნოზებს და მოგვიანებით საკვირველად აღმატებულ ხარისხში აყვანილ, მთელ მსოფლიოს მოდებულ ტოტალიზატორებს... უშრომლად და ერთბაშად გამდიდრების ილუზიის მომხიბვლელობა თურმე მთელს საზოგადოებრიობაში შეუმჩნევლად ამნიფებდა მსგავს იდეებს...“

ასე თანდათანობით მივყავართ ავტორს რომანის ძირითად თემამდე: ტოტალიზატორების როლსა და ადგილზე ჩვენს სინამდვილეში. სინამდვილე კი, როგორც ვიცით, არც ისე სახარბიელოა, რა დასამალია, რომ დღევანდელი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში სათამაშო ბიზნესმა მრავალს აუბნია გზა და კვალი, აურია ცხოვრება და დაუმახინჯა მომავალი, მეტიც, ისიც იცით ალბათ, რომ ბევრმა, ვალებში ჩავარდნილმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ასეთ ტრაგიკული შემთხვევები ძირითადად ხდება ტოტალიზატორების სახელით გავრცელებული არაფორმალური გარიგებებისა თუ სანაძლეობების შედეგად, რომლის დროსაც გადამწყვეტ სიტყვას ამბობს არა კანონი, არამედ დამნაშავეთა სამყაროს წესები, ქურდული გარჩევები.

რომანი დამაჯერებლად აღწერს გარემოსა და გარემოებებს, რომლებშიც აღმოჩნდებიან მისი გმირები; ამ შემთხვევაში გია ხუბუას ნიჭთან ერთად აღმოაჩნდა შესაფერისი პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე, რომ საფუძვლიანად შეესწავლა სპორტული პროგნოზებისა და ტოტალიზატორში თამაშების ნებისმიერი მხარე. ვფიქრობ, რომ სამსახურითა და შემოქმედებითი საქმიანობით ორმაგად დატვირთულ ჩვენს ავტორს საწერი თემის შესასწავლად სულაც არ ექნებოდა დრო, რომ საამისოდ თვითონ ევლო ტოტალიზატორებში; სამაგიეროდ, როგორც ჩანს, ამ სფეროში კარ-

გად გათვითცნობიერებული „კონსულტანტი“ ედგა გვერდით, რაც სრულიად გასაგებია.

მაგრამ სანამ ტოტალიზატორებს მივადგებოდეთ, რომანში მსოფლიოს ერთ-ერთი საფეხბურთო ჩემპიონატის მიმდინარეობის დღეებში დაბაში პროგნოზების ციებ-ცხელებაში უნდა ჩავერთოთ, რომლის აღწერას ნაწარმოების პირველი თავი აქვს დათმობილი.

დაბის შიდა ჩემპიონატი რა სახსენებელია; ვასიკო, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, და მისი თანადაბელები ფსიქოზის დონეზე ასულ ვნებათაღელვას აპყობიან; მთელ დაბა მექსიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატსაა მიყურადებული... შინაური გარემო, ტელევიზორთან გატარებული საღამოები თუ სამსახურის საათები ერთიანად შეუპყრია საფეხბურთო პროგნოზებს, თვით პროფკავშირების დონეზე მიმდინარეობს, ტურიდან ტურამდე, ამ პროგნოზების ანალიზი, ლიდერების გამოვლენა, რაშიც მთელი დაბაა ჩართული: „თამაშების გარჩევა ავტობუსების მოსაცდელიდანვე იწყებოდა, მისალმების შემდეგ მეორე სიტყვა ფეხბურთს ეხებოდა. თამაშების ემოციური გარჩევა, გამართლება-არგამართლებაზე საუბარი, ხშირად ხმამაღალი კამათის ფონზე რომ მიმდინარეობდა, სამუშაო ადგილებზეც გრძელდებოდა. ამ პროცესში ქალებიც ერთვებოდნენ, განსაკუთრებით პროგნოზისტიების ცოლები აქტიურობდნენ...“

ბოლოს კი ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ქულების დაჯამების შემდეგ გამარჯვებული სრულიად მოულოდნელად ერთ-ერთი მეხანძრე გახდა. მთელ ამ ფინალურ პერიპეტიებს მიმზიდველად, მსუბუქი ირონიის თანხლებით აღწერს ავტორი და კიდევ ერთხელ გვაჯერებს, რომ თამაშების წინასწარ პროგნოზირება ლოგიკის წესებს არ ექვემდებარება და მისი ვირტუალური სამყარო რეალობას იშვიათად ემთხვევა.

ჩვენ მიერ წერილის დასაწყისში აღნიშნული პროგრესისა და განვითარების დიალექტიკის თანახმად, ავტორს რომანის მეორე ნაწილში – „უხერო გაგრძელება“ – სპორტულ თამაშებზე ფულის დადების ახალ საფეხურზე გადავყავართ, რაც ტოტალიზატორებთან არის დაკავშირებული. პატარა ფსონით დიდი ფულის

მოგების ცდუნებამ სათამაშო ბიზნესის ლაბირინთებში ბევრს აუბნია გზა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. გ.ხუბუას რომანში ხსენებული დაბიდან რუსეთსა და შემდეგ თბილისში მყოფი ახალგაზრდა კაცი, თანდილა, ტოტალიზატორის კარებზე იმ სოციალურმა გარემოებამ მიიყვანა, რომელშიც მიექცნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამუშაოს არმქონე ხელმოცარული ადამიანები. თბილისში თანდილა დაუკავშირდება ნიაზს, რომელიც ასევე დაბაშია გაზრდილი, სადაც მამამისი ოქროს სანარმოს დირექტორი იყო. ამ ორი ახალგაზრდის თავგადასავლებზეა აგებული რომანის მთელი შემდგომი სიუჟეტი. ნიაზის მამას, რეზო ემირიძეს, არ მოსწონს, რომ შვილი აზარტული თამაშებითაა გატაცებული, მაგრამ ახალგაზრდებს მაინც ჰპირდება დახმარებას პატარა ტოტალიზატორის გახსნაში... მანამდე კი არის თავგადასავლები ე.წ. „აჩკოს“ თამაშში, ფულის წაგება, მუქარა მევაღეთა მხრიდან, რამაც ნიაზი იქამდე მიიყვანა, რომ სახლში მამამისის მიერ შენახული ფულის მოპარვა დაიწყო. ამ ამბის გაგებას რეზო ემირიძის სიცოცხლე ეწირება.

თანდილა საზღვარგარეთ მიდის ბედის საძიებლად; ნიაზი მამის გარდაცვალების შემდეგ თითქოს გამოიცვალა, ოჯახი შექმნა, შვილიც შეეძინა. მერე მან და მისმა ცოლისძმამ სიმამრის დახმარებით ფული ტოტალიზატორში ჩადეს, თან სიმამრმა სლოტ-კლუბებიც გახსნა და ნელ-ნელა ბიზნესი ააწყვეს.

ამასობაში დადგა 1998 წლის ზაფხული, დაიწყო მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც ნიაზისა და ვანიკოსათვის შესანიშნავად დაიწყო; ავტორის თქმით, „ბიჭები ცაში დაფრინავდნენ“, მაგრამ ერთ საბედისწერო დღეს ერთმა ყმანვილმა ორი მოგებული ბილეთი წარმოადგინა, რომლის მიხედვით, ტოტალიზატორის პატრონებს იმდენი თანხა უნდა გადაეხადათ, რომ საქმეს მთელი ქონების გაყიდვაც არ შველოდა.

რომანის მესამე ნაწილი – „თამაში და ფორტუნა“ – ასე იწყება: „ამ კაფანდარა ყმანვილს, ხელში ლამის ნახევარი მილიონის ღირებულების ბილეთები რომ ეჭირა, სქელკისერა ბულა შემთხვევით არ დაჰყვებოდა. ამოდენა

თანხას, სეიფი ფულით გაქეცილი რომც ჰქონოდათ, ერთბაშად ხელში არავინ ჩაუთვლიდა, ყველანაირი მიზეზით გუჭიანურებდნენ გადახდას. ესეც რომ არა, ქვეყანაში კრიმინალი ყვაოდა და არათუ ნახევარი მილიონისთვის, მეთათვისთვის შეიძლებოდა ადამიანი გაესაღებინათ, ამიტომ მარტო ბულას იმედად არ დარჩენილა, მაღალი რანგის ქურდიც ჩარია საქმეში, რითაც გამორიცხა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის რისკი...“

ნაცნობი სურათია. ეს იყო მაშინდელი რეალობა და ეს სინამდვილე დღესაც ბევრად არ შეცვლილა. მსგავს გამოუვალ მდგომარეობას მიყურადებელი არიან დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები და სხვების უბედურებით გვარიანადაც ითბობენ ხელს. ლაპარაკი ზედმეტია ასეთი პრობლემების კანონის, სასამართლოს გზით მოგვარებაზე და ნიაზიცა და ვანიკოც იძულებული გახდნენ, დაჰყოლოდნენ ქურდების ნებას და ტოტალიზატორის გაყიდვა გადაწყვიტეს. ამას ისიც დაემატა, რომ ამ ამბებამდე დაბაში ოქროს გადამტან ინკასატორზე თავდასხმას თანდილასა და ნიაზს აბრალებენ, ნიაზის ცოლისძმაზედაც აქვთ ეჭვი და პოლიციაში რამდენჯერმე დაიბარეს ნიაზიცა და ვანიკოც.

ავტორი დამაჯერებლად აღწერს, თუ რა სულიერი და ზნეობრივი წინააღმდეგობები ტანჯავს ვალებში ჩავარდნილ ნიაზს. სახლიდან ასდოლარიანებს რომ იპარავდა, ამან მამის სიცოცხლე შეინირა; „ლამით ძილი არ ეკარებოდა, შავბნელი ფიქრები ესეოდა“... რაც უფრო ახლოვდებოდა ვალის გადახდის ვადა, სულ უფრო ნერვიულობდა, კომმარული სიზმრები არ შორდებოდა, ოჯახში მეუღლეს უხეშად ეპყრობოდა, სახლში გაჩერება არ უნდოდა...

„თითქოს ქვეყნიერებამ მის წინააღმდეგ შეკრა პირი. დედა საშინლად განიცდის, თვალცრემლიანი დადის, სიდედრ-სიმამრი მისით ძალიან უკმაყოფილონი არიან; ცოლი გაებუტა და მშობლებს შეფარებული შინ არ ბრუნდება; მიუხედავად იმისა, რომ ბაღლია, თითქოს შვილიც გრძნობს მის დანაშაულს, ალმაცერად უყურებს. მეგობრებმა მიატოვეს, დახმარებას ვინ იტყვის, ისედაც არ ეხმიანებიან. ხვალ-ზეგ ქურდები მოაკითხავენ და განენავენ...“

რა ქნას ასეთ დღეში ჩავარდნილმა?!
 მორჩა, გათავდა, საშველი აღარ არის!
 თუმცა არის...
 ჰო, არის!
 კარგა ხანია ამაზე ფიქრობს,
 „აგერაა მტკვარი“ აგერაა თოკი! აგე-
 რაა...“

ავტორი მაინც ვერ იმეტებს თავის გმირს თვითმკვლელობისათვის. ნიაზს საბედისწერო თოკი უკვე ნაყიდი ჰქონდა, როცა გაიგო, რომ საზღვარგარეთ წასული თანდილა მისი ვალის გადახდას მთლიანად კისრულობდა; თანდილას თურმე შვეციაში ლოტო უთამაშია და ჯეკპოტი მოუხსნია... მოდით, ჩვენც მივულოცოთ რომანის გმირს, მოულოდნელად მსხნელი რომ გამოუჩნდა, მაგრამ მსგავსი რამ ჩვენს სინამდვილეში ძალზე იშვიათად ხდება, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფერი კეთილად დამთავრდა, ეს რომანი მაინც უნდა მივიღოთ, როგორც მკაცრი გაფრთხილება იმათთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სათამაშო ბიზნესზე. თვით რომანიც ხომ იმას ასახავს, რომ ერ-

თხელ რაღაც კარგი შემთხვევით მოვლენილი ფორტუნა სულაც არა დღეგრძელი და მისგან ფრთაშესხმულმა ადამიანმა შეიძლება ამოულწეველ უფსკრულში ამოყოს თავი.

ამრიგად, გია ხუბუამ თავისი ახალი წიგნი ჩვენი საზოგადოებისათვის ძალზე აქტუალურ და მტკივნეულ თემას მიუძღვნა. ეს თემა იმით არის მძიმე და დამთრგუნველი, რომ იგი დაკავშირებულია ქვეყნის არასახარბიულო ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობასთან, მისი თანმდევი, განუყრელი თანამგზავრებია ნარკომანია, ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობებიცა და თვითმკვლელობებიც. საქართველოში ნიაზის, თანდილასა და მათი მსგავსების რიცხვი ასიათასობითაა და ეს ჩვენი პატარა სამშობლოსთვის მეტისმეტია.

გია ხუბუას რომანის დამაჯერებლობას მკითხველი ყოველ ეპიზოდში ნახავს. მწერალმა მოგვცა ლიტერატურულად გამართული, მხატვრულად გემოვნებით გადაწყვეტილი წიგნი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ამ მეტად საინტერესო პროზაიკოსის მრავალფეროვან შემოქმედებაში.



ნათელ პიროვნების ნათელ ხსოვნას

ფრიად საპატიო მოვალეობაა, მიესალმო ჩვენთვის და მთელი აფხაზეთის საზოგადოებისთვის ძვირფასი პიროვნების **ვლადიმერ (ვალოდია) ხუბუას** ასი წლისთავს.

ვ. ხუბუა იმ მოკრძალებულ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ჩუმად, ხმაურის გარეშე, თავდადებით, დაულალავი შრომით ემსახურებიან სამშობლოს. სწორედ ასეთი ადამიანები ქმნიდნენ ქვეყნის განვითარების საფუძველს ყველა დროში.

ბატონი ვალოდია დაიბადა 1920 წლის 27 აპრილს ისტორიული საბედნიანოს ისტორიულ სოფელ გუდავაში, შავი ზღვის ულამაზეს სანაპიროზე. ეს ის გუდავაა (უძველესი გუდაყვა), რომელიც ადრეული ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო დასავლეთ საქართველოში.

1924 წელს დაელუბა მამა – ნესტორ ხუბუა, ხოლო 1927 წელს დაენჭათ სახლ-კარი და 7 წლის ვალოდია შვიდ და-ძმასთან ერთად დარჩა ღია ცის ქვეშ ღვთისა და დედის – მამო ხოჭავას იმედზე.

1938 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა ქ. ოჩამჩირეში. ჰქონდა რა ფრიად ამბიციური გეგმები თავის მომავალთან დაკავშირებით, გაემგზავრა ქ. მოსკოვში, სადაც ჩაირიცხა მოსკოვის ბაუმანის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში. ორი კურსის დახურვის შემდეგ განვეულ იქნა ჯარში და ჩაერთო II მსოფლიო ომში. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საბრძოლო ოპერაციაში, მათ შორის ქართველებისთვის ავად ცნობილ დესანტის გადასხმის ოპერაციაში ყირიმის ნახევარკუნძულზე.

ქართველმა ხალხმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო II მსოფლიო ომში. მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო ოპერაციები უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა, ქართველთა სისხლით მოირწყო ჩრდილოეთ კავკასია, ყირიმი, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ევროპის სახელმწიფოების მიწები. ვ. ხუბუა 1944 წელს მძიმედ დაიჭრა უნგრეთში, დაკარგა მარჯვენა ფეხი და დაბრუნდა მშობლიურ გუდავაში. ამის შემდეგ მან ვერ მოა-



ხერხა მოსკოვში სწავლის გაგრძელება, მაგრამ დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და მრავალი ათეული წლის განმავლობაში ასწავლიდა მათემატიკას გუდავის საშუალო სკოლაში.

ბატონი ვალოდია იყო ორიგინალური ხელწერის, დიდი პროფესიონალიზმისა და ამბულეული პრინციპების პედაგოგი. მას, როგორც პიროვნებას, გამოარჩევდა მრავალმხრივი ინტელექტი, სიღარბაისლე და, საჭიროების შემთხვევაში, ვაჟკაცობა და სიმამაცე. ჩვენზე, ვინც ვყოფილვართ მისი მოწაფეები, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მან, როგორც პედაგოგმა, ინტელექტუალმა და პიროვნებამ. ეს შთაბეჭდილება დღემდე მოგვცევება.

ამავე დროს ბატონი ვალოდია იყო უაღრესად ჰარმონიული და ფაქიზი ბუნების ადამიანი. სწორედ მასზე უთქვამს რუსთაველს: „სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისაო“.

ვალოდია მასწავლებელი თავისი პატიოსნებით ყველგან დაფასებული, მისაბაძი და პატივცემული პიროვნება იყო. მისი მოწაფეები არ დავდიოდით „რეპეტიტორებთან“. მისი გაკვეთილები და დამატებითი მეცადინეობები, რომელთაც საკუთარი სურვილით სრულიად უანგაროდ გვიტარებდა, საკმარისი იყო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე უმაღლესი შეფასების მისაღებად.

სოფელ გუდავის საშუალო სკოლაში არ იყო დიდი კონტინგენტი, მაგრამ ბატონი ვალოდიას 150-ამდე მოსწავლემ შეძლო სწავლის გაგრძელება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ თბილისის კომაროვის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში.

ვ. ხუბუას მიღებული ქონდა აფხაზეთის და საქართველოს დამსახურებული პედაგოგის წოდება. როცა ერთმანეთს ვხვდებით მისი ყოფილი მოსწავლეები და ვისხენებთ მის დარიგებებსა და შეგონებებს, გვიკვირს, წლების მერეც როგორი აქტუალურია, ბევრ შემთხვევაში წინასწარმეტყველურიც, მისი გამონათქვამები.

ბატონი ვალოდია გამორჩეული მეურნე და მეოჯახე იყო. ეს ცალფეხა კაცი მაღალ ხეებზე ადიოდა, ვენახს სხლავდა, კრეფდა და ღვინოს აყენებდა, სხვებზე ადრე ხნავდა, თესავდა და ცხოვრების მიერ მოტანილ პრობლემებს დროულად აგვარებდა. მისი მეუღლე ყოველი ღირსებით შემკული მეგობარი, თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო. მთელი ოჯახი შრომისმოყვარეობით იყო გამორჩეული. ბარაქიანი ოჯახი ჰქონდათ და სტუმართმოყვარეობა მათი ცხოვრების წესი იყო.

მათ აღზარდეს ღირსებული შვილები: ვაჟი, მანგული ხუბუა ცნობილი ენერგეტიკოსია. არ არის შემთხვევითი, რომ მანგული წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან იყო და არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აფხაზეთში და შემდეგ მთელ საქართველოში. ამჟამად ის დევნილია წარმტაცი გაგრიდან, ცხოვრობს თბილისში, თავის დიდ ოჯახთან ერთად; ქალიშვილი, ერიდა, ეკონომისტი, აგრეთვე დევნილია აფხაზეთიდან.

კ. ხუბუა შედარებით ნაადრევად გარდაიცვალა 1991 წელს. განგების ნება იყო, რომ ის ვერ მოესწრო მისი მშობლიური აფხაზეთის ტრაგედიას და დღეს, როცა მაღლიერი საზოგადოება პატივს მიაგებს მისი 100 წლის თავზე მის ხსოვნას, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, უშუალოდ მუხლი მოვიყაროთ მისი საფლავის წინაშე გუდავაში, ჯერჯერობით მიტაცებულ აფხაზეთში, მაგრამ გვჯერა, ღვთის ნებით და ქართველი ერის ძალისხმევით, ჩვენ მალე დავიბრუნებთ ბატონი ვალოდიას ძვირფას საფლავს, მთელ აფხაზეთს და ეს დიდი ზეიმი საქართველოს სახელოვანი ასტორიის მორიგი ბედნიერი ფურცელი იქნება.

ინდიკო ჩხვირკია,
ჯემალ ალანია,
რევაზ (ივერი) კაკუბავა,
პროფესორი



კლიმენტი კიკალიშვილი

ვაზი – სიმბოლო ეროვნულობისა

გაზეთ „ილორში“, გასული 2019 წლის 7-13 აგვისტოს თარიღით (№457; №516), გამოქვეყნებულმა წერილმა „მეგრელები და ვაზი“, მიბიძგა გამომეტყვევა ჩემი თვალსაზრისი ბინეხთან (ვაზი) და ღვინოსთან მეგრელების (კოლხების-პროქართველების) დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, შენიშვნების სახით, გამოქვეყნებულ წერილთან მიმართებაში და შემდეგ იმ ტერმინების შესახებ, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობის თაობაზე ლიტერატურაში ხშირ ხმარებაშია, მაგრამ ბოლომდე ამოუხსნელად რჩება და რომლის არსიც მეგრულ ენაშია ჩაკირული და დღესაც განაგრძობს არსებობას მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში, მაგრამ მკითხველმა საზოგადოებამ არ იცის.



დავინწყოთ მითითებულ წერილთან დაკავშირებით, შენიშვნებით (ანუ – „ასე არ შეიძლება მიდგომა“).

ამასთან, ამთავითვე, ვთხოვ უცნობ ავტორს და სხვა დაინტერესებულ პირებსაც, თუ ჩემი თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტირებული პასუხი გააჩნიათ, არ მომერიდონ, იქნებ ვცდები (ნათქვამია – სწავლა სიკვდილამდეა).

მითითებული წერილის პირველი სვეტის მესამე აბზაცში ავტორი ამბობს: „შონური ანუ სვანური (!?), რომელიც მთელს სამეგრელოში „ოჯალეშის“ სახელითაა ცნობილი, ღონიერ ვაზად ითვლება, მაგრამ როგორც სპეციალისტები ამბობენ, შედარებით ნაკლებმოსავლიანი ჯიშიაო“...

პირველი, საიდან ასეთი ინფორმაცია, საიდან ასკვნიათ, რომ ოჯალეში დაბალმოსავლიანი ყურძნის ჯიშია. არა, ასე არაა, ეს ვაზი, მინიმალური მოვლის პირობებში, საკმაოდ მაღალ და ხარისხიან პროდუქციას იძლევა. ამას ადასტურებს გამოცდილებაც და მეცნიერებაც.

ოჯალეშს ასე ახასიათებენ, მევენახეობის კორიფეები საქართველოში, ბატონები- ვალერიან ქანთარია და მაქსიმე რამიშვილი:

„ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდით და საკმაო მოსავლიანობით ხასიათდება“... (იხ. ვ. ქანთარია, მ. რამიშვილი, „მევენახეობა“ – 1965 წ. გვ. 40).

„ზუგდიდში, ახალსოფელში, 2x2 მ. კვების არეზე, ვაზის 60 კვირტის დატვირთვის შემთხვევაში, წლების მანძილზე მოსავალი ვაზზე (ოჯალეშზეა ლაპარაკი) 4,5-5 კილოგრამს უდრიდა, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით შეადგენს 112,5-130 ცენტნერს, ყურძნის შაქრიანობა კი 22-24 %-ს აღწევდა“ (იხ. ე. მალრაძე – სუბტროპიკული ზონის მევენახეობა“. გამომც. „საბჭ. საქართველო“ 1973 წ. გვ. 131-132)

მიგანიშნებთ, რომ დაბალი აგროტექნიკისა და შეუფერებელ ნიადაგებზე გა-

შენებული ოჯალეში ღირსეული ჯიშისთვის დამახასიათებელ თვისებებს კარგავს და ამიტომაც არ შეიძლება მისი გაშენება ჰაიჭარად, ყველგან, როგორც ზოგიერთ დილეტანტს წარმოუდგენია.

მეორე ავტორი („მეგრელები და ვაზი“) ასევე იქვე წერს, რომ თურმე ვაზი „შონური“, ანუ „სვანური“, მთელ სამეგრელოში ოჯალეშის სახელითაა ცნობილი“. რაც აბსოლუტურად მცდარია. ოჯალეშს სინონიმი არ გააჩნია. მკვლევრებს, მევენახე მეცნიერებს თუ ისტორიკოსებს მსგავსი რამ არ დასცდენიათ.

აკადემიკოს იავანე ჯავახიშვილის განმარტებით, ოჯალეში ვაზის მაღლარობის გამო მხატველი მეგრული ტერმინია. „ჯა“ ნიშნავს ხეს, ხოლო „ოჯალეში“ – ხეზე ასაშვებ ვაზს“. ამის საწინააღმდეგო მეორე აზრი მეცნიერებაში არ არსებობს. არცერთ ამპელოგრაფიაში სხვა განმარტება არ ჩანს. გამონაკლისი ვნახე

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, სწორი არაა.

ამასთან, ცნობისათვის, ასევე აქვე განვმარტავ, რომ სიტყვა „შონური“ არ ნიშნავს „სვანურს“, (როგორც მავანნი იმეორებენ და ავრცელებენ). „შონური“ (სინამდვილეში თუ არსებობს ასეთი ჯიშის ვაზი), სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ტყურს-ტყისას, ტყიდან გამოტანილს, ტყეში ნაპოვნს. სიტყვა „შონა“ – ძველმეგრულია და ნიშნავს ტყეს! „შონურის“ – „სვანურად“ თარგმნა შეცდომაა (ძველმეგრულის უცოდინარობის ბრალია).

აქვე იმასაც ვიტყვი, არსებობს ყურძნის ჯიში „ორბელის ოჯალეში“ – რასაც არაფერი საერთო არა აქვს მეგრულ ოჯალეშთან. „ორბელის ოჯალეში“ საფრანგეთიდან ჩამოტანილი ყურძნის ჯიშია და მას ფრანგულად „მირლო“ ეწოდება. (იხ. ქართული ენციკლოპედია №7. გვ. 626).

გავაგრძელოთ, ტერმინ „ნაშენს“ ხშირად ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები და გულისხმობდნენ (უნოდებდნენ) ნატყევარ ადგილს, ახალ ათვისებულ მიწას, განაკაფს, ახოს, სადაც სხვადასხვა კულტურები მოჰყავდათ, ზოგს ერთნლიანი, ზოგს მრავალნლიანი. არგუმენტისათვის – არის ასეთი სოფელი სახელით „ურაშონა“ (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), რაც პირდაპირი გაგებით – **შავ-უდაბურ ტყეს ნიშნავს** – „ურა“ შავია ქართულად, ხოლო „შონა“ – ტყე (დღევანდელი გაგებით). შავი ტყე (დაბურული ტყე) – „ურა შონა“ გაიკაფა, ხალხი დასახლდა, სახელი შერჩა. „სო დიხორია პატონი“ (სად დასახლდით პატენი) – პასუხი ასეთია – „ურაშონასია“ (ე.ი. ეუბნება მოსაუბრე – იქ დავსახლდი სადაც დაბურული ტყე იყო). ასეთად შერჩა ეს სახელი ამ დასახლებას.

ძველი მეგრულის არცოდნა ნაღდად „ცოდვა“ არაა, მაგრამ როცა საჩოთიროდ ვიხდით საქმეს, მაშინ ვალდებული ვართ გავიკითხოთ – გამოვიკითხოთ ძველებთან, რა რას ნიშნავს მეგრულად.

ავტორი, ნერილის მეორე სვეტის პირველ აბზაცში მეგრული ვაზის ჯიშების ჩამონათვალში, წერს: „ასევე მეგრული ჯიშებიდან გავრცელებული ყოფილაო: ჩერგვალი, ცხინკილოური, ჭვიტილოური და სხვა“. მევენახე-

ობის ლიტერატურაში არ არსებობს ყურძნის ჯიშები ასეთი სახელწოდებით – ამ ჯიშებს ჰქვია: „ცხინკილოური“, „ჭვიტილოური“ და არა „ცხინკილოური“, „ჭვიტილოური.“

მეორე სვეტის მეოთხე აბზაცი: „ყურძნის დანურვას სამეგრელოში „ნილახუა“ ჰქვიაო“, არა, მას ჰქვია „ნილოხუა“ (ნილოხი და არა ნილახი).

აქვე მეორე სვეტის გაგრძელებაზე, სამაგალითოდ მოჰყავს სენაკელი მეურნის მაგალითი და აღნიშნავს, რომ ეს მეურნე ყურძენს გაშლილ ცელოფანზე აგროვებს თურმე, მერე ხის ჭურჭელში გადააქვს, რომელსაც შიგნიდან გუდრონი აქვს გამოვლებული, წვენი რომ არ გაიპაროსო“.

ეს ხომ აბსურდია, როგორ შეიძლება გუდრონის გამოყენება ღვინის წარმოებაში, კასრის (ჭურჭლის) კიდეებსა თუ ფსკერზე გუდრონის ამოგლესა. ასეთ ჭურჭელში დაყენებული ღვინო ჩემმა მტერმა დალია. ეს ხომ სანამლავი იქნება და არა ღვინო. ეს ფაქტი ავტორს სამაგალითოდ არ უნდა მოეტანა. ეს ამცირებს, აკნინებს ჩვენს დამოკიდებულებას ოჯახური ღვინოს დაყენების მიმართ (რატომ არ იფიქრა ამაზე ავტორმა?).

ასეთ ჭურჭელს ყურძნის წვენი რომ არ გაეპაროს, გუდრონით კი არ ამოგლესდნენ ჩვენი წინაპრები და დღესაც, ვისაც გაეგება და აქვს ღვინის მიმართ სათუთი და ღვთიური მოწინება – ღვინის დასაყენებელი ჭურჭლის ამოსაგლესად იყენებდა და იყენებს აყალო მიწას, დინაჭურბერს (ქართულად – ნაბლისფერ მიწას), ისიც სუფთა წყაროს პირას მოპოვებულს, რომელსაც თავის დასაბანავადაც კი ხმარობდნენ ქალები.

შემდეგ: მეექვსე სვეტის პირველ აბზაცში წერია: ისეთ ჭურჭელს, რომელიც 12 გოჯის სიმაღლეზე იყო მიწის ზემოთ ამოწეული, ბორკილიანი ერქვაო“.

არა, ჩემო ძვირფასებო, ასეთ ქვევრს (ლაგვანს) „ბორკილიანი“ კი არ ეწოდება, არამედ „ბორკამი“ ე.ი. ფეხზე შემდგარი, ფეხზე მდგომი. მეგრული სიტყვა „ბორკი“ – ფეხია ქართულად. ხოლო რაც შეეხება ავტორის მიერ ხმარებულ ტერმინს, „ბორკილიანი“ ნიშნავს შებორკილს, გაკოჭილს, ფეხშეკრულს, რაც

უადგილოდ და უცოდინარობით არის წერილში მოყვანილი. სხვათა შორის ამ შეცდომას სხვა „ცნობილ“ მეღვინეთა ნაწერებშიც ვხვდებით და აუცილებლად უნდა გასწორდეს.

ამავე სვეტის მესამე აბზაცში ნახმარია ტერმინი „ჩხრიკე“ (მას განსაკუთრებულ ჭურჭელს უწოდებს ავტორი), რომლითაც დადუღებული ღვინო გადაჰქონდათ კოკაში, ლავანში.

ასე არაა, ამ ჭურჭელს „ჩხრიკე“ არ ეწოდება, მას ქვია = ხერკე“ (ნახეთ: მეგრული ლექსიკონი).

ამ სამარნე ხელსაწყოს აყიროსაგან (მეგრულად – „კოლოჭურა“) აკეთებდნენ მეურნეები.

გაზეთში გამოქვეყნებულ, მითითებულ წერილში დაშვებულია ბევრი სხვა შეუსაბამო დასკვნები, მაგრამ გამოდევნება შორს ნაგვიყვანს.

ავტორს კოლხეთის ისტორია და მსოფლიოში ცნობილ ეთნოგრაფ-მეცნიერთა, მეღვინე-მევენახეთა ცნობები და შეხედულებები რომ ჰქონოდა ნაკითხული, თემას „მეგრელები და ვაზი“ ასე ზერელედ არ მოეკიდებოდა და აბსურდამდე არ დაიყვანდა.

ამ თემაზე, მეგრელების დამოკიდებულებაზე ვაზის მიმართ, არსებობს ზღვა მასალა, მაგრამ მკითხველი რომ არ გადავლავლოთ, თვალსაჩინოებისათვის, ცნობილი ადამიანებისა და მეცნიერების მოსაზრებებიდან მოვიტანთ მოკლე ამონარიდებს.

სამეგრელოში მალღარების სიუხვით და მოსავლიანობით განცვიფრებული იაკობ გოგებაშვილი ასე ამბობდა:

„მთელი სამეგრელო მოფენილია ბადესავით გაბმულ-გამობმული ვაზებით, რომელიც ერთი ხიდან მეორე ხეზეა გადასული, ან მაღლა ასული. აქ ხშირად ნახავთ ასი წლის ვაზს, რომელსაც მეოთხედი ადლი სისქე აქვს. ხნიერი და სალი ვაზი, კარგი მოსავლის დროს, იმდენ ყურძენს ისხამს, რომ სამ კოკა (12 ლიტრიანი – კ.დ.კ) ღვინოს მისცემს პატრონს. სამეგრელოში რთველი ძალიან გვიან იცინან: გიორგობის თვეზე ადრე აქ ყურძენს არ კრეფენ. რამდენადაც გვიან იკრიფება ყურძენი, იმდენად უფრო კარგ ღვინოს აყენებს. ოჯალეუმის ვენახები ქრისტემობის თვის გასულს იკრიფება. ხანდისხან

თოვლი მოუსწრებს ხოლმე, მაგრამ ვერაფერს ავენებს. ვაზის ავადმყოფობამ მეტად აზარალა სამეგრელო. ღვინო გაძვირდა“ (იხ. აზირა მათიაშვილი „უნიკალური ვაზი საქართველოში“, თბილისი, 1973 წ.).

ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს სამეგრელოს (ოდიშის) ზვრებს: „ვენახი მალღარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი, აქა არს ღვინო ზერდაგი ფერისათვის ეგრეთნოდებული ფრიად კეთილი, მთლიანი და ქებული ყოველთა შინა“.

არანაკლებ საყურადღებოა ამ საკითხზე გერმანელი ბოტანიკოსის კარლ კოხის აზრი. მას მიზანი ჰქონია, შეესწავლა ვაზის კულტურისა და პურეულის სადაურობის საკითხი. და 1884 წელს ბერლინში გამოუცია თავისი გამოკვლევა. ამ ნაშრომში ვაზის კულტურის პირვანდელ სამშობლოდ კ. კოხი ასახელებს ამიერკავკასიას და განსაკუთრებით კი „დიდი ცივილიზაციის მქონე ძველ კოლხეთს“, საიდანაც ეს კულტურა მისი აზრით, შეტანილია სხვა ქვეყნებში.

შვეიცარიელი ავტორის შოუს მტკიცებით, მევენახეობის პირვანდელ კერად მიჩნეულ უნდა იქნეს უმთავრესად „სამეგრელო და საქართველო“.

რუსი მკვლევარი ნ. ი. კუზნეცოვი თავის 1891 წელს გამოცემულ შრომაში კატეგორიულად აღნიშნავს, რომ ვაზის სამშობლო დასავლეთ საქართველო არისო“ (იხ. ვ. სიჭინავა „მასალები მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის“, თბილისი 1960 წ. გვ. 66).

აი, კიდევ რას წერს ცნობილი ქართველი მეღვინე-მეცნიერი ნიკოლოზ გელაშვილი: „ჯერ კიდევ ევროპის ხალხთა ცხოვრების გარიჟრაჟზე, X საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰომეროსის თქმით, ძველ კოლხეთში ცირცვა გაუმასპინძლდა ოდისევსს ოქროს კალათებით, მდიდრულად მორთულ სუფრაზე, წინწკლების მფრქვევი და სურნელოვანი ღვინით“ (იხ. ნ. გელაშვილი „მეღვინეობა“ ნაწ. I. გვ. 18-19. თბილისი 1961 წ.).

დიდი ქართველი მეცნიერი მიხაკო წერეთელი (რომელსაც, დროთა ქართველობის გამო, უცხოებაში ამოხდა სული), თავის დროზე გახმაურებულ უდიდეს ნაშრომში „ერი და

კაცობრიობა“ (თბილისი 1990 წ. – უნივერსიტეტის გამომცემლობა), (სათანადო საჭიროების გამო), ასე წერს: „თუ სომხურს ქართულისათვის სიტყვები „მოუცია“, მეტი, ქართულიდან „მიულია“ უძველესი დროითდგან, როდესაც სომხური ტომები, ქართველი ჭან-მეგრელთა ტომების მოსაზღვრენი იყვნენ, – მიახლოებით მერვე საუკუნე ქრ. წ. (გვ. 246).

დიახ, სომხურ ენაში ბევრი კოლხური (მეგრული) სიტყვებია ხმარებაში და მათ შორის სიტყვა „ღვინო“, რომელიც წმინდა მეგრული სივრცედანაა სომხურში (და არა მარტო სომხურში) შესული.

აი, ესაა მეგრელები და ვაზი, ჩემო უცნობო ავტორო „მეგრელები და ვაზისა“ – („ილორში“) და არა გუდრონით ამოგლესილ ჭურჭელში დაყენებული ღვინო (სანამლავი), როგორც თქვენ მიანიშნებთ.

მით უმეტეს, ოჯალეშისაგან დაყენებული

ღვინო ხომ ჩვენს საუკეთესო კახურ ღვინოებსაც არ ჩამორჩება თავისი თვისებებით.

ამიტომაც უყვარდა ხალხს, მამაპაპური, წითელი ღვინო – ჭითა ოჯალეში.

„გეშვია, გეშვია ახალი დო ჯვეშია, გეყურნი და ქათადაცი, ჭითა ოჯალეშია“.

დაუსრულებლად შეიძლება ამ თემაზე საუბარი, მაგრამ საკმარისად მიგვაჩნია, რაც ითქვა დასტურად იმისა, რომ კოლხეთში – სამეგრელოში მევენახეობა-მეღვინეობა ოდითგანვე მაღალ დონეზე იყო განვითარებული და მევენახეობის კერად სამეგრელო (საქართველო) იყო მიჩნეული.

და ჩვენი უახლოესი წინაპრებიც ბინებს (ვაზს), მარანს და ლაგვანს მონივნებით ელოლიავებოდნენ. ღვინო ღვთიურ სითხედ მიაჩნდათ. სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება ბევრი ენთუზიასტის წყალობით.

2020 წ. იანვარი

ყველაფერი ენაშია ჩაკირული, ანუ ეტიმოლოგიური პრობლემის კვალდაკვალ



რადგანაც „მეგრელების და ვაზის“ თემას ვეხებით, მინდა ვისარგებლო მდგომარეობით და მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საკითხზეც გამოვთქვა ჩემი მოსაზრება.

საქმე ეხება მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ ტერმინებს, რომლის ეტიმოლოგია დღემდე ვერ ამოუხსნიათ ეთნოგრაფებს, ისტორიკოსებს, მევენახე-მეღვინე მეცნიერებს. ამ დროს ამ ტერმინების გასაღები ძველ მეგ-

რულშია (პროტოქართულშია) დაუნჯებული.

ასეთი ტერმინები გახლავთ: მარანი (უპირველეს ყოვლისა და ფრიად საყურადღებო ფენომენი), ლაგვანი-ღვინის შესანახი ჭურჭელი, „ლახუტი“ – ხელით ღვინის გადასატანი მომცრო ჭურჭელი, „ნე“ და „ფელამუში“.

სანამ ამ ტერმინთა არსის ახსნას შევუდგებოდე, აზრის განსამტკიცებლად მინდა დიდ ქართველთა აზრები მოვიშველიო:

დიდი აკაკი ბრძანებდა: „აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულთათრული შემოულია, რომელიც ქართულის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულა ობოლ მარგალიტებად ეს ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ მწერალ მწიგნობრებს მეტი ყურადღება მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეავსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“ (იხ. ანზ. შონია-მეგრული სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა“. თბილისი

2003 წ. გვ. 261).

დიდი ენათმეცნიერი და ფილოსოფოსი კონსტანტინე კაპანელი ასე წერს: „პროფესორმა მარმა (ლაპარაკია მსოფლიო დონის მეცნიერზე ნიკო მარზე) ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ გაუგებარ სიტყვებს მეგრელები დღესაც ხმარობენ, ეს საყურადღებო ფაქტია, მაგრამ ბევრჯერ უფრო საყურადღებოა მეგრული ენის ვერბალური სიმდიდრე, იშვიათი ფსიქოლოგიური სიღრმით და ისეთი ნიუანსების აღნიშვნით, რომელთა გარკვეულ ცნებაში გადატანა დიდ მეცნიერსაც გაუჭირდებოდაო“ (იხ. კ. კაპანელი „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ 1926წ. თბილისი გვ.195).

უდიდესი მეცნიერი აკაკი შანიძე ასე იტყვის: „ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული“.

მეგრული ენის უცოდინარობის შედეგია ალბათ ის გარემოება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინების არსი და რაობა, ეტიმოლოგია, დღემდე არაა ამოხსნილი და ვარაუდების დონეზეა გააზრებული.

დავინწყოთ ტერმინით „მარანი“, რომელიც მუდმივად იხმარება მეღვინეობის ლიტერატურაში და ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებაშიც, მაგრამ რა იმალება ამ სიტყვაში და საიდან მოდის, დღემდე ამოუცნობია (!?).

მეცნიერ ალექსი ბოხოჩაძის წიგნში „მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით უძველესი დროიდან ახ. წ. XII-XIII საუკუნემდე“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963 წ. რედაქტორი ალ. კალანდაძე) მთელი თავი აქვს დათმობილი სიტყვა „მარანის“ განმარტებას და დანიშნულებას (გვ. 149-177) და ციტირებულია: სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ (გვ. 193, 468, 375), ნ. თოფურიას ნაშრომი „ქართული მარანი“, სტ. მენტეშაშვილის „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარხების ტერმინოლოგიისათვის“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XII-ბ, თბილისი 1944წ. გვ. 172-173), ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკური ისტორია, II ნ. (გვ. 494, 540, 541) და სხვა მეც-

ნიერ-ეთნოგრაფთა და ისტორიკოსთა მოსაზრებანი ამ საკითხზე – ავტორი ასკვნის: „დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთში, ამ ადგილის (ე.ი. „მარანის“ ადგილზეა ლაპარაკი) აღსანიშნავად, სადაც ქვევრებია თავმოყრილი და სამეურნეო ნაგებობა – მარანი დგას, სამი სხვადასხვა შინაარსის ცნება იხმარება: ჭურისთავი, ჭურმარანი და მარანიო“. მის მიერ ჩამოთვლილ ტერმინებს დანიშნულებისამებრ ფიზიკურად კი მიუჩენ ადგილს, მაგრამ სიტყვა „მარანის“ ეტიმოლოგია, ახსნა არსად ჩანს და ის ათასნაირ ვარაუდს გამოთქვამს.

სამწუხაროდ, ვერცერთ მეცნიერს ვერ წასცდა სიტყვა „მარანის“ განმარტება და არც ის, რას ნიშნავს სიტყვა „სამაროვანი“, ამ და სხვა ზემოთჩამოთვლილი სიტყვების (ტერმინების) ეტიმოლოგიას ხსნის მხოლოდ მეგრულში დღემდე შემონახული ზეპირსიტყვიერება (და თქმულებები).

მივყვეთ პირველ სიტყვებს, რომელიც ვაზის გაჩენას მოჰყვა: ბინეხი (ე.ი.ვაზი), ყურზენი (ყურძენი), ნე, ფელამუმი, მაჭარი (ქუმაჭარი, რაც ქართულად მელირსეს ნიშნავს) და ღვინო – მხოლოდ მეგრულშია დღემდე შემორჩენილი პირვანდელი სახით.

ბატონ ა. ბოხოჩაძის ნაშრომში (გვ.149-177) „მარანი“ (და არც სხვა მეცნიერთა მიერ) არაა ახსნილი მნიშვნელობა და ეტიმოლოგიური რაობა მარანისა, მაგრამ ერთგან მიანიშნებს (გვ.175 აბზ. II), რომ დასავლეთ საქართველოში ღია ტიპის მარნები ყოფილა გავრცელებული. ადრეფეოდალურ ხანაში ამ კუთხისათვის ეს ტიპი ძირითადი უნდა ყოფილიყო, რადგან დახურული მარანი თანამედროვე ყოფაშიც კი იშვიათობას წარმოადგენს. ეს მით უმეტეს იშვიათი უნდა ყოფილიყო წარსულშიო“ და სწორიცაა – ყურძნის წვენი შორეულ წარსულში ინახებოდა ღია მოედანზე – რომელსაც მეგრულად (ძველ ქართულად) მარა ეწოდებოდა. მარა – მეგრულად – მინდორს, მოედანს, სივრცეს ნიშნავს და ამ მარაში (მოედანზე, მინდორში) განლაგებული ჭურჭლები ინახავდა ყურძნის წვენს, რომელსაც, ძველმეგრულად, და დღესაც „ნე“ ჰქვია – აქედანაა ეს ტერმინი „მარანეში“ – ე. ი. წვენის შესანახი მინდორი, მარანი თანამედროვე სახელით. უბრალოდ,

ყველამ უნდა გავიცნობიეროთ, რომ მარანის პირვანდელი სახელია **მარანეში** (ყურძნის წვენი შესანახი ადგილი). სიტყვამ დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა (ეს ბუნებრივი მოვლენაა) და იქცა მარანად, რომელიც შემდგომ გარკვეულ მოსაზრებათა ნიადაგზე, შემოირაგვა, „მარანის სახლად“ იქცა და ბოქლომითაც დაიკეტა.

ასე რომ, ჩემო მკითხველო და დაინტერესებულო მეღვინეებო – „მარა და ნე“ მეგრული წარმოშობისაა, მარანი სიტყვა-სიტყვით ყურძნის წვენი შესანახი მოედანს ნიშნავს. ეს მოედის ათაბაბადან და დაკავშირებულია კოლხურ (ძველ ქართულ) ცივილიზაციასთან და იმ საწყისებთან, საიდანაც იწყება ვაზის კულტურა.

ხაზს ვუსვამთ, მარა – სიტყვა – განსაზღვრავს სივრცეს, მოედანს, მინდორს.

არის სიტყვა „სამარე“ ე.ი. საფლავის ადგილი (სივრცე). აქედანაა სიტყვაც სამაროვანი.

დღესაც არის შემორჩენილი ხალხში მეგრული სიტყვა (წყევლა) „სქან სამარე ქომიძირდას“ (ქართულად- შენი საფლავის ადგილი მენახოსო).

არის სიტყვა მარაკა, რაც თხების სადგომ ადგილს ნიშნავს ქართულად. აქაც მარა- მოედანია – ხოლო დანართი „კა“-ს ადრინდელი სახეა „თხა“, მაგრამ დროთა განმავლობაში სახეცვლილებით მოვიდა ჩვენამდე და მარაკად იქცა.

არის სოფელი გალის რაიონში დღევანდელი სახელით აჩიგვარა – მისი ოდიტგან ნოდებული სახელია „აჩამარა“ (ცხენის სადგომი მოედანი) – აჩამარა – დროთა განმავლობაში აჩიგვარად იქცა, ადრინდელი, შორეული სახელი – საწყისი, მიივიწყა ხალხმა.

ითქვა, თუ რას ნიშნავს მარანი (მარა – სივრცე, სადგომი, მოედანი, ნე – ყურძნის წვენი).

ახლა მივადგეთ ტერმინ ლავანს, არც ქვევრი, არც ჭური – არ იძლევა იმის თქმის უფლებას თუ სად ინახება ღვინო (ადრინდელი – ყურძნის წვენი, რომელიც ამ ჭურჭელში ღვინოდ იქცა), შინაარსობრივად არც ერთი სახელი – არც „ქვევრი“, არც ჭური არ მიაწინებებს ჭურჭლის უშუალო დანიშნულებაზე.

ყურძნის წვენი „ნე“ ჯერ მაჭრად იქცა ნეს

შესანახ ჭურჭელში, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდგომ ღვინოდ და ამ ჭურჭელს ჩვენმა წინაპარმა „ლავანი“ უწოდა და პირდაპირ მიანიშნა ღვინოს შესანახი ადგილი; მეურნე-მეღვინემ (ჩვენმა ძველმა წინაპარმა) გვითხრა – საძებნი არაა, ღვინო სად ინახება, აქ არის (ლა) ღვინო – ლა – მეგრულ ენაში ხმარებული წინსართია მიმართულების მაჩვენებელი – ლა – ღვინი და ეს ჭურჭელი – სიტყვის ცვლილების (მეტყველების ცვლილებების გამო „ლავინად იქცა, ხოლო თანამედროვე მეგრულში „ლავანად“ და მეღვინეობაში ასეთად დამკვიდრდა.

მარანში (მარანს – მეგრულად) – ლავანე-ბი (ქვევრები – ქართულად) – (ძველმეგრულად ლავინი – ლავინი) თავისებურად ლავდებოდა: „ოდუდია“, ოდაბადე“ და „სალორონთო – საოხორო“. ოდუდია – ერქვა სახლეულის უფროსისათვის განკუთვნილ ქვევრს (ლავინს), ამ ქვევრის თავზე ნელინადმი ერთხელ ოჯახის მეთაური ლოცულობდა. ოდაბადე – დაბადების დღისათვის, ლხინისა და ზემისთვის იყო მიჩნეული, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია „სალორონთო (საღმრთო) – საოხორო ლავანი, ეს ქვევრი (ლავანი) მზის ღვთაებისადმი იყო განკუთვნილი, ამ ქვევრის (ლავანის) თავზე ოჯახის უფროსი (მამა) მამასახლისი – აღდგომის დღეს (ეს ქრისტიანობის შემდეგ – ქრისტიანობამდე მზის დღეს – ჟეშხას) ლოცულობდა. ლოცვის შემდეგ ლავანს თავს მოხდიდა, ხერკეთი (ხაპით) ღვინოს ამოიღებდა, დაილოცებდა და მოსვამდა, შეასმევდა ოჯახის წევრებსაც (ნ. წულეისკირი).

საგულისხმო ფაქტია ის გარემოება, რომ დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე ჭურჭელ ლავანს, ლავანად კი არ მოიხსენიებს, არამედ „ლავინად“, ასევე თანამედროვე მეღვინე-მეცნიერი გიორგი ბარისაშვილი თავის ნაშრომში „თიხის ტრადიციული ქართული საღვინე ჭურჭელი“ (თბილისი 2012 წ. გვ. 15 აბზ. 1) ღვინოს (სამარნე ჭურჭლად „ლავანს“ მოიხსენიებს „ლავინისა“ და ლავანარის“ სახით, რაც ჭეშმარიტებასთან მიახლოებულია, – მაგრამ სიტყვის საიდუმლოებას ბოლომდე ვერ ხსნის, რაც, რასაკვირველია, ეპატიება მეგრულის არცოდნის გამო. მისი პირვანდელი სახე და სახელი „ლავინი“-ა. იხილეთ, სად ინახე-

ბაო ღვინო. „მარანს“ რომ იტყვიან, პირდაპირ ასოცირდება ღვინოსთან და ჭურჭლებთან, სადაც ინახებოდა ქართული ღვინო, რომელშიც „ქართული მზე არის ჩაღვრილი“ (ცნობილი ქართველი მეცნიერი ნიკო იაშვილი, 1962 წელი „მევენახეთა და მეღვინეთა მსოფლიო სიმპოზიუმის“ დღეები თბილისში.)

არც საზოგადოებასა და მეცნიერებაში გავრცელებული ტერმინი „ფელამუშია“ ეტიმოლოგიურად სწორად გაგებულნი და ახსნილი. ის ძველმეგრულად ასე გამოითქმის „ფელანეში“. სიტყვის ნაწილი „ფელა“ – ქართულად „ფაფას“ ნიშნავს და „ნე“, როგორ ზემოთ ითქვა, ყურძნის წვენს ეწოდება. ერთად კი „ფელანეში“-ში „ყურძნის წვენის ფაფა“ იგულისხმება. ჩვენი უახლოესი წინაპრები – დედები, ბებიები... მას ეძახდნენ „ფელანეშს“ და არა „ფელამუშს“, როგორც ამჟამადაა დამკვიდრებული. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოში

დამკვიდრებული „თათარა“ არაფრის მიმანიშნებელია და, მე რომ მკითხონ, ხმარებიდან ამოსაღებია.

ფელანეში ისეთივე წესით მზადდება, როგორც ე. წ. თათარა. დამზადება ტექნოლოგია არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მარანე, ე. ი. ყურძნის წვენი, სამეგრელოში ხან სიმინდის (გაცრილი) ფქვილთან შერევით ხარშავენ, შორეულ წარსულში – სანამ სიმინდი შემოვიდოდა ხმარებაში, მცენარე – ღომის-ღომის ფქვილს ურევდნენ. ამჟამად, როგორც ითქვა, სიმინდის ფქვილით ამზადებენ, ზოგი კი ხორბლის ფქვილს ირჩევს (გემოვნებაზეა დამოკიდებული).

ესაა ყველაფერი, რაც მკითხველისათვის უნდა მეთქვა. ჩემი გამოხმაურება გამოიწვია იმ პუბლიკაციამ, რომელიც გაზეთ „ილორის“ ზემოთ მითითებულ ნომერში გამოქვეყნდა „მეგრელები და ვაზის“ სახით.

2020 წელი, იანვარი



ლავა გვასალია

უჟმურეთის გაზაფხული...

(საიუბილეო მილოცვა ბატონ კლიმენტი კიკალიშვილს)

ცნობილ პოეტ თედო ბექიშვილზე უთქვამს ერთ ენამოსწრებულ ხევსურ დედაბერს: თედოს ლამაზ რო არ არი, ეგ უხდებისო!..- ბატონ კლიმენტი კიკალიშვილს ტანად დიდი რომ არ არის, ეგ უხდება და ამშვენიერებს კიდეც. წარმოსადგე ვაჟკაცად და გულმუშტიან კოლხად წარმოგიდგენს და ასეცაა, ეს მისი ცხოვრების სახე და გამოძახილია, წესი, რომელმაც ასე ულამაზეს და ყოველმხრივ მისაბაძ ადამიანად ჩამოქნა. ყოველივე, რითაც ეს უკეთილშობილესი პიროვნება სხვათაგან გამოირჩევა, საზოგადოებასა და ადამიანებზე უშუალო ზემოქმედებით განხორციელებული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია...

ბატონი კლიმენტი ველზეც და კაბინეტშიც შემოქმედია, მისი შინაგანი კულტურა და სიყვარულის გამოკვეთილი უნარი აძლევს მას იმის ძალას – ირგვლივეთს გაცისკროვნებული აღქმით შეხედოს და ბავშვური ალალმზერა მიადევნოს ყველას და ყოველივეს!.. ქართულმა ეროვნულმა გენიამ მას უამრავი თვალდასარჩენი რამეები მიაბაძლა, მასთან – ღვთისგან ბოძებული ჯადოსნური ძალა გაამშვენიეროს და გაამრავალფეროვნოს ის სოციუმი, სადაც თუნდაც ცოტა ხნით ყოფნა მოუხდება. ბატონი კლიმენტი ამ უსაბამო უჟმურეთის გაზაფხულია!

მრავალგზის გავუოცებოვარ მის ღვთივმოსაწონ ძალისხმიერებას, იყოს იქ, სადაც დახმარება სჭირდებათ, სიტყვა მიაშველოს მას, ვისაც ეს გზას გაუნათებს და იტრიალოს იმ ადამიანებში, რომლებიც თავიანთი უბრალოებით, თუმცაღა მაღალი მამულიშვილური პასუხისმგებლობით ქმნიან დღევანდლობას ჩვენი ქვეყნისა. მთელი არსებით ინტელიგენტს, განათლებულსა და არისტოკრატიზმით მოპირთავებულ კლიმენტი კიკალიშვილს იშვიათად ნახავთ ე. წ. გამოჩენილთა მარაქაში, მისი სულიერი რენომე ბევრად მაღალია მედროვეთა გნისით აბორგებულ ჟამიანობაზე. მისი

ყოფა-ცხოვრება გონებისა და სინდისის ცნებებზეა აგებული.

ძნელად მახსენდება ისეთი მოვლენა თუ საზოგადოებრივი აქტივობა, რომელსაც ბატონი კლიმენტის მჭევრი და ბასრი კალამი არ შეხებოდეს. სოფლის მეურნეობის უბადლო სპეციალისტი ერთნაირი პროფესიონალიზმით ეხება, მაგალითად, სელექციის პრობლემასა და რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს. ეს ანგელოზებისგან დანაბერტყი მაღლი და ნიჭიერებაა. მაღალინტერესიანი მკითხველი, ბრწყინვალე მთხრობელი, პუბლიცისტი და მოაზროვნეა. სხვა მრავალ ნიმუშთან ერთად, ჩემს ლექსების კრებულზე: „ცადაღვლენილი ლეგენდები“ – დანერილი რეცენზიაც მეტყველებს ყოველივე ამაზე. ფართოა მისი მოღვაწეობისა და აზროვნების არეალი.

არასდროს შემიმჩნევია მისთვის კუთხური მიკერძობა და პროვინციული ჩამორჩენილობა, ის ზოგადქართული, სახელმწიფოებრივი აზროვნებით მოპირთავებული კოლხია.

ახალგაზრდებისთვის საჭირო სიტყვისა და აზრის მომნაგრებელი და სიყვარულად მომდევნებელია... გასაოცარი სიყვარულის ბერიკაცია...

მიყვარს, მეიმედება და მემზებება...

მინდა დიდხანს, ძალიან დიდხანს ჰყავდეს თავის ქვეყანას, უსაყვარლეს ოჯახს, სამეგობროს და ცალკე მე...

მისი სახით ჩემში ცოცხლობს : ქედუხრელი, სტუმართმოყვარე, უგონიერესი, განსწავლული და უღირსეულესი – გვანჯი ჩიქვანის, კაკა ყვანისას, ფერდინანდ ფლერიას და სხვა კეთილმოსაგონარ მამულიშვილთა ზუგდიდი...

მრავალჟამიერ, ჩვენო დიდო და ცამაღლო ადამიანო!..

(ჩუმად, ყურში ჩაგჩურჩულებთ, არ გამხილოთ ასაკი, სიყვარულმა ხომ არა უწყის ასაკისა რა, ის მარადიული და გონუძიროა!).

კულტაკოტ პატარა ლექტრეს!

„ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო... ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე... სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი“.

ილია



ამ ოთხი წლის წინათ ჩვენმა ჟურნალმა პირველკლასელობა მიულოცა ჩვენს პატარებს, რედაქციის სახელით ბედნიერი სიცოცხლე და წარმატებები უსურვა მათ. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ნამდვილად არ შეგვშლია ის ადრესატები, რომელთა მისამართით იყო გამოთქმული ჩვენი სურვილები, რადგან, თუმცა ჯერ კიდევ პატარები არიან, ყველა მათგანი სამაგალითოდ სწავლობს და მშობლებისა და ბებია-ბაბუების, ნათესავების სიამაყეს წარმოადგენს.

ამჯერად ჩვენი საყვარელი ბავშვებიდან ერთს გამოვყოფთ – დემეტრე გვასალიას, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ მეოთხე კლასის მოსწავლეა, პირველი შემოქმედებითი წარმატებები უკვე აქვს მოპოვებული; გამოვყოფთ იმის გამოც, რომ ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის გამოცემა დემეტრეს დაბადების დღეს – 8 მარტს დაემთხვა, თანაც, როგორ დაბადების დღეს: ჩვენი ნიჭიერი დემე უკვე დიდი ბიჭია – ათი წლისა გახდა!

კვიცი რომ გვარზე ხტის, ყოვლად მართებული ანდაზაა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჩვენი მეგობრის, ცნობილი პოეტისა და პროზაიკოსის ლაშა გვასალიას და ასევე ჩვენი უნიჭიერესი მეგობრის, თეანა ზაქარაიას პირმშოს კოჭებშივე ეტყობოდეს, რომ თავისი ნიჭიერებით აუცილებლად გაითქვამს სახელს.

გასული წლის დეკემბერში დემეტრე გვასალიამ თავის ასაკობრივ ჯგუფში „კინგის“ რესპუბლიკურ კონკურსში მათემატიკაში ასიდან ასი ქულა აიღო და პირველი ადგილი დაიკავა. მანამდე ამავე კონკურსში ინგლისური ენის ფინალში იმარჯვა. გარდა ამისა, დემეტრე გვასალიას ლექსებმა გაიმარჯვა ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურს „ზღვაურში“ და გამარჯვებულის დიპლომი ბათუმში საზეიმოდ გადასცეს. აი, ასე იწყება გზა დიდი გამარჯვებებისაკენ, ასე უკვალავს იგი წარმატებათა გზებს თავის პატარა დაიკოს – თათეს, რომლისთვისაც დემეტრე მუდამ სამაგალითო იქნება.

დემეტრე გვასალია ზუგდიდის №1 საშუალო სკოლის მოსწავლეა და გვჯერა, რომ ამ დიდი ტრადიციების მქონე სკოლას ისიც არაერთხელ ასახელებს. ხალასი ბუნებრივი

ნიჭი და შრომისმოყვარეობა აქედანვე ატყვია მის შეფასებებს, თანაც ყველა საგანში ერთნაირად მონდომებულია და ბეჯითი. რა თქმა უნდა, თამაში და გართობა, როგორც ყველა მის თანატოლს, ძალიან უყვარს და ბიჭებთან და გოგონებთან ლალ და უშუალო ურთიერთობაში ეხმარება.

დემეტრეს მშვენიერი, შინაარსიანი ფეის-ბუქგვერდი აქვს. იქაც ჩანს, თუ როგორი უნდა იყოს ცხოვრებაში, რა მოსწონს და რისკენ მიილტვის. აქვე ნახავთ მის პირველ ნაწერებს

და დარწმუნდებით, რომ ეს ბავშვი საუცხოოდ აზროვნებს მხატვრული სახეებით და არც შემთხვევითია მისი წარმატებები. ამ ლექსებს აქაც ვაქვეყნებთ.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ დემეტრე გვასალიას დაბადების დღეს და ისეთ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებთ, რომელშიც სრულად გამოვლინდება მისი შესაძლებლობები და სადაც ჩვენი მომავალი თაობები ბედნიერები იქნებიან.

ქურნალ “მიჯნის” რედაქცია



დემატრა გვასაღია

სამშობლო

ჩემი სამშობლო ძალიან მიყვარს,
რადგან ის ჩემი სახლია,
ჩემი დედაა და ჩემი მამა,
ჩემი დები და მამიდები,
ბებიები და ჩემი ბაბუა,
ჩემი გარდაცვლილი ბაბუა,
რომელსაც ვაცოცხლებთ
საფლავზე მისვლით.
ჩემი დათო და მეორე დათო,
ჩემი ნინიკო და ჩემი ნია!
ჩემი ირაკლი და ჩემი ცოტნე,
ჩემი საბუკა და ჩემი თაზო...
ჩემი ლადო და ჩემი ლევანი.
ჩემი მასწავლებლები და
ჩემი კლასელები...
ეს ჩემი მამული და
ჩემი დედულია.
აი, რამხელაა ჩემი სამშობლო,
ჩემი საქართველო...

ვარსკვლავები

ჩემს მსხალზე ბუდე გაიკეთა
პატარა მთვარემ
და გამოჩეკა ვარსკვლავები
კრიალა ცაზე,
რომლებიც ჩემთან მეგობრობენ
პატარობიდან
და ჩაქრობაზე აღარც ფიქრობენ,
რადგან ერთმანეთს სიტყვა მისცეს,
არ ჩაქრებოდნენ...
და ციმციმებენ,
მთვარე კი უცქერს დიდი ღიმილით
თავის წინილებს.



დეტრე, დეე, დეიკუნა, დექსით...



8 მარტს 10 წლის გახდება ჩემი დემეტრე, ჩვენი ოქროს ბიჭუნა, ჩვენი ოჯახის იმედი, სიყვარულის ფუნდამენტი და მრავალღონე... დიას, ის ყველაფერია ჩვენთვის. იმედისა და რწმენის საფუძველი, ჩვენი ული სამყაროს მანათობელი, თავის უმცროს დაიკოსთან ერთად. ჩვენ ერთად შევუდევით საღვთო აღმართს, ჩვენი მოკრძალებული ოჯახის ჯვრის ასატანად. ახლა მე და თეანა წინფულლობთ, მერე ჩვენი შვილები ჩაგვენაცვლებიან, მერე იმათი შვილები და ა. შ. ვივლით მანამ, სანამ გამჩენს ენდომება და დასჭირდება ჩვენი გენისა და ასა-გასას ძალიანობა, ხმაური და ყიჟინა, ბრძოლა და დაუდევრობა... ასეა, ყველაფერი მისგან მომდგარა, მისით მზიანდება და მისით ვარაყდება ქამარ-ხანჯალივით. ჰო, დემეტრე საკუთარი დედ-მამის ქორწილს რომ ესწრებოდა, ისეთი ბიჭია, ამითაც გამორჩეულია. დოლ-გარმონი არ დაუკრავს და არც დავლური დაუვლია, მაგრამ ხუთი თვისა აცმაცუნებდა

ტურებს, აფახულებდა თვალებს და წინოთახში ელოდებოდა ხმამალალი თამადის სუფრის დამთავრებას და საყვარელი დედის მკერდში ჩაკვრას. არ ჩაუმნარებია ის ქორწილი ჩვენთვის. მოფიქრალი კაცივით დუმდა და გველოდებოდა, მაშინ ვთქვი ჩემს გულში – ეს მაგარი ბიჭი იქნება-მეთქი და დიდება უფლის ძალას, ასეცაა.

არ გამომრჩეს, ქორწილი ნათესავების მოკვდინებამ გადაგვადებინა და მაშინ ავნიეთ ჭერი ცამდე, როცა ამის გაკეთება ტრადიციისა და წესის ღალატად არ ჩაგვეთვლებოდა.

მას მერე იზრდება და მზევდება ჩვენი დემე, საკმაოდ სანყენ რამეებს მოესწრო – რომანი ბაბუას გარდაცვალების მენინაობით და სიხარულიც უამრავი იწვინა. ეს ბუნებრივიცაა, უფროსნი უნდა წავიდნენ, უმცროსებმა გაიხარონ, მაგრამ ბაბუას ძალიან უნდოდა მის სკოლის დამთავრებამდე მაინც ეცოცხლა, მაგრამ ვინ გაქცევია უფლის ჯერჩინებას, ჩვენ რომ გავქცეოდით... მაგრამ მას ძალიან მაგარი, ტკბილი და თბილი ბებიები და ბაბუა ჰყავს, უსაყვარლესი ოჯახისები და ის ადამიანები, რომლებიც მის სამყაროს ქმნიან, მისით ხარობენ თუ სიყვარულობენ მისით...

იმვითა დემესავით ალალი, კეთილი და თვალმახარა ბიჭი. გულსაც არ დაიშურებს საყვარელი ადამიანებისთვის და მთას მხრებზე შეიდგამს მათ გასახარად.

ჩვენ, მშობლები ჩვენი შვილების ღიმილის მიმდევრები ვართ და ყველაფერს ვაკეთებთ მათი უშფოთველი და მიზანმნათი ცხოვრებისთვის. ისინიც გვახარებენ, გვასახელებენ, ბეჯითი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით, დაუღვევლი ათიანებითა და ვარსკვლავებით, რომელსაც თითქმის ყოველდღე იმსახურებენ მასწავლებლებისგან. დემეტრე არაერთი სასკოლო ტურისა თუ კონკურსის გამარჯვებულია, ინგლისურ ენასა თუ მათემატიკაში, ქართულსა თუ თავისუფალ აზროვნებაში, მაგრამ განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია

– ქ. ბათუმში გამართულ ლიტერატურულ კონკურსში მისი წარმატება, მისმა ლექსმა დიდი მოწონება დაიმსახურა და კომპეტენტურმა ჟიურიმ გულუხვადაც დააჯილდოვა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებისთვის. არასდროს დაგვაფიქვანებდა მისი ცასმწვდომი ღიმილი და ბედნიერი სახე, დიდმნიშვნელოვნად ნათქვამი სიტყვები: ან ხომ შემოიძლია მწერალი გავხდეთ!

კი, ჩვენო უძვირფასესო, მწერალიც უნდა იყო და მოღვაწეც, თამადაცა და მერიქიფეც, სტუმარიცა და მასპინძელიც, მტერიცა და მემტერიც, მომღერალიცა და გულმეცრემლაც... მიწისაც უნდა გებადოს და ცისაც... გამრავლდე უნდა, გაიხარო, იბედნიერო და იმრავალყამიერო...

ყველაფერი წინ გაქვს. ოჰოჰო, რამხელა და ამავედროს რა პატარაა წუთისოფელი. ყველაფერი შეიძლო და ყოველივე მოასწრო

უნდა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩვენო ბიჭო, იმამულიშვილე და ქართულად იცხოვრე. შენს უკან გასაოცარი მთაა შენი წინაპრების წარსულით ამაღლებული და საფლავებით გასათუთებული, წინ ოკეანე... დღეისა ჩვენ ვიცით, ხვალისა შენ იცოდე!..

შენ ჩვენი ოჯახის სახურავი ხარ... აბა ჰე...

მრავალს დაესწარი. შენი ავი და ზადი ჩვენკენ, შენ იბედნიერე!

ამ სიყვარულს მაშინ გაზომავ, როცა მშობელი გახდები და ნახავ შვილი სუნთქვა რომაა!..

დავლალეთ მგონია ძვირფასი მკითხველი, მაგრამ გვეპატიება, იცის სიყვარულმა მსგავსი გაფრენები!..

მრავალყამიერ!..

უსაზღვრო სიყვარულით –
შენი დედიკო და მამიკო



თორნიკე ქავშაია

ტოტო-პოტოტო

1.

მოუნანიებლო სანუთროვ, ცდები:

A) შეუძლებელია, გარემოსთან შეუთავსებელი
ნიჭის გამოკეტვა.

B) შეუძლებელია, რომის ძალადობრივი
ცნობიერების აღკვეთა.

მოუნანიებლო სანუთროვ, ღრმა შეტოპვით სცოდავ:

შეუძლებელი გახდა, ანტილრევებს ავაცილოთ უკონკურენტო საფრთხე.

შეუძლებელი გახდა, არ ვცნოთ უალტერნატივოდ მიჩნეული
მატერიალიზმის უკიდურესი რბილობის ნაეშმაკარი სტილფორმა.

შეუძლებელი გახდა, ჩინის (ციური იმპერიის) გარეშე,
დატენიანდეს აღმოსავლეთის დაგვალური ნიადაგი.

უზომო სივრცეპყრობის ხმაღბილო,

სუნთქვაგაძნელებულო უცნაურობავ,

ჩვენთვის მზეში შეფრენა უფროა მისაღები,

ვიდრე სოდომ-გომორული

მონაქროლის თვითნებობით მოზავთე;

ჩვენი კაცობრივი ზეაფრენა.

ჩვენ ამ სოფლად ნებაამიცემული

სულის თავისთავადობა გვჭირდება მხოლოდ...

სანუთროვ, მალე სურვილების ახდენით განახლდები.

მალე ხორციტ გაფურჩქენილი და სულით დაღუპული იქნები.

ვაი შენ, სანუთროვ, ვაი...

2.

შენ სამოთხის ბაღში არ გიშვებენ. შენ სამოთხის ბაღის კარებთან
ცხოვრობ სახელაღნილი.

- ადამიანი თავის მყობადს ბუნდოვნად ჭვრეტს, -

შენ ასე ამბობდი. შენ ამ გააზრებაში წმინდანით მართალი გამოდექი.

შენ სამოთხის ბაღი დაკარგე. შენ სამოთხის ბაღის კარამდე

არ გეყო განსწავლა-გარჯილობის სიუხვე.

შენზე ითქმის: „ბრძოლა-შებმაში დამარცხდა და ვერც შინ ეღირსა უწყინარი გარემო“.

შენ ვერლიბრის მწერალი თორნიკე ქავშაია უნდა იყო,

რომ განგებ, მტანჯველი გლობალყოფის ეს რეგრეს-პროგრესი

აბსურდად მიიჩნო და

შინაგანის გამონაგონი სახეობა – წმინდა ჰელიკონური სიგრილე,
შენს სამუდამო ბუნებას შეუთავსო...

3.

მე და ისინი ისე დავშორდით ერთმანეთს, როგორც ზღვის ფსკერი და
მდინარის აბორცვებული სათავე.

მათ ჩემგან უპირატესობამინიჭებული

პოეტური ინტელექტუალიზმი

იმგვარად მიიღეს, როგორც გონებრივი

ჭყლეტის ჯოჯოხეთი.

ისინი ბევრნეულთა დამაბრმავებელ

პოზიციებს დიდი წარმავლობის უგრძობლობით იმტკიცებენ.

ცხადია, ჩემი აზროვნული ომის მახვილი

იმ სახით არ ელვარებს, როგორც მათი

რეგრესული განწყობის მიმზიდველობა.

ის, რაც მათ სულში არ გამტკებარა პოეზიად,

ჩემთან ის შავად დაბინძურებული თოვლებით გაუმურავ

მწვერვალად,

დიდი ხანია, რაც გამოჩნდა.

ვინ არის ჩვენს შორის უკუმრთომი,

ამაზე, არათუ სხვა დროის განთიადი,

ამაზე, აწინდელი ჟამდაშრეტის მზეც კი

ვერ იქნება ენადაცული...

4.

ყვავის ბრაზანჩხლობაზე მიანიშნებს მისი უჟმური ჩხავილი.

ყვავის სიმღერა და ტირილით გასკდომა,

რა შეიძლება იყოს, თუ არა

მისი ჩხავილის ერთ-ერთი გამორჩეული ბუნება?

რადგან მე მუდამ გულს მიღრღნიდა უკიდევანო გლობალსივრცე,

მე მხოლოდ „ჩხავილის“ რაობას შემთხვევით შევხე.

მე ძირის-ძირამდე აღმეყვა პირადად ყვავი,

ამისთვის რაღაც ორად ორი წამ-წუთიც კი არ მაქვს დახარჯული.

– მეგობარო, დანუნებული „წვრილმანი“

შესაძლოა მალე გახდეს ყველაზე დიდი სივრცემპყრობელი...

5. მე ჩემთვის უჩუმრად,

ტკბილნეტარი სინათლის ხშირფოთლოვან

ხე-ქანავს გავყურებ.

მე ჩემთვის უჩუმრად,

ღრმულად განსახიერებულ ღრუბლებით ვიჩრდილები.

წარმართული (თეატრალიზებული) ოპტიმიზმი:

ქებული უღრუბლობა და მასში მეტოქედ

შეფრთხილებული აედონი
 ერთმანეთთან ზემალვით ურთიერთობენ.
 მე ისინი ქსელური სისტემის შექმნილობით მტანჯავენ.
 მე ისინი სულ-გონებით მოძიებულ სიბრძნეს მპარავენ,
 რომ ამ მოპარულით გამეფიბრონ.
 ისინი ძალისხმევას არ იშურებენ,
 რომ „თავისუფალი განდგომილის“ სამოქალაქო ერესი
 ძირშივე აღკვეთონ.

მე, მოახლოებული საშიშროების ზედაპირულ
 აღქმას შერთული,
 მაინც მსუბუქად ვირეკები:

„სახელმორჭმულნო,
 არ მაქვს სურვილი, რომ მიცნობდეთ.
 სიცოცხლე არ ღირს იმ ცდომად,
 რასაც „ნარჩინებულად ყოფნა“ ეწოდა ოდესღაც...“

6.

აჰა, ჩვენი სულის საღმობიან თვალთა წინაშე,
 არასანუგეშო თოვნა.
 აჰა, გეჰენიამდელ ველზე სტერილურ დარდად განფენილი
 ცხრაფენოვანი მნუხრი.
 ჰა, ექო – ანტიწერო.
 ჰა, ანტიექო – გაცამყარებული
 ნუხილის გრილდამუნჯებით გამოხატული
 რუ.
 განგრილებული წყლები.
 დავინყებას მიცემული საღამური.
 დემოკრატიული მექანიკა.
 ჩვენი დემოკრატიულ სახელმწიფოს სასუფეველში
 დიდი ვიოლინოს – რომის პაპის ვიზიტი.
 მყარი პრინციპებით აღზევებული
 დესტრუქცია:
 სისტემურად მიუღებელი სამსახურის მემკვიდრეობითი გატაცება –
 კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.
 ჩინოსან მწერალთა ძლევაგამოსილი კავშირის
 დანანევრება-გადახალისების ვითომ არამაქინაციური,
 ვითომ უავადო პროცესი.
 ლიბერტანიანიზმის სოდომ-გომორული ზარხოში.
 პირუტყვი პოეტების სატელეეკრანო თარეში
 (სახელგანთქმის ერთადერთი შანსი: მსხვილფეხა
 თუ წვრილფეხა საქონლის აზმუვლებული პირით გალოპრილი
 სარბიელი!...)
 მოულოდნელად, სანაქებო (თავისუფალი)
 სუნთქვის პირველ შუადღეს,

მართლმადილებელი ელკესიის ეზოს ხე
სანახევროდ გახმა
და ღმერთმებრძოლთა საინფორმაციო უპირატესობა გაცხადდა,
გაქცევა-ლტოლვის სურვილ-იძულებამ
ცხრა მთას იქით გადაკარგა
ურიცხვი ხალხი.
ჩემს მშობლიურ ქვეყანაში, აღმოსავლეთ გერმანული
„შტაბის“ თვალამოვსების პარადოქსად,
ჩვენი მოძველებული სპეცსამსახურის ანტირეფორმისტი
თანამშრომლები გამტკიცდნენ
(და ასეთ დროს, წყლის სარკეზე, ნერა-არეკვლით მეტყველებს ნოვატორბაგე)
„ბაყაყების გამრავლება
ჩინელებისთვის –
ეკონომიკური განვითარების კარგი ჩანასახი!..“
(მეტყველებს ხავსბაგე)
„ადიდებული მდინარის დარღვეული კალაპოტი
და ჩვენი სულ-სხეულის ფსიქონავი
გაშინაურებულთა მიზეზით გახდა უპატრონო.
ქვეყნის გარედან მოსული მოწინააღმდეგე,
მხარდაჭერის გარეშე, ვერ იქნება ყოვლისშემძლე...“
(და მეტყველებს ჰაერბაგე):
„მე დაბალ სიმაღლეზე ფერაქტიურ ფოთოლივით ვფარფატებ.
ჰერმეს ტრისმეგისტრის გამსწავლელი
უსხეულო
მე ვერაფრით მოვიახლოვე.
ის მე ღრუბელსიზმრიდანაც კი განმეშორა.
მაგრამ გარესკნელის სულმტაცებელი ელემენტი
ჩემი ფარულსახემიცემულ ზვირთცემის სიახლოვეს აელვარდა...“

7.

ჯერ კიდევ როდის, პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, სულით იტყვის
(ალბათ არა გონებით):
„აპატიე მონანიეს...“
მუზებო, ღმერთს არ ეთამაშოთ.
მუზებო, გაიჯიბრეთ რომაელი პოეტების თვალისმომჭრელი
ვარსკვლავი.

მუზებო, უარყავით საპოპულაროდ მიღებული
ლექსის ზინზლიანი ტაეპი.

მუზებო, ამხილეთ საინფორმაციო სივრციდან თქვენი მდევნელი
ლექსნერის ზედმეტად თავდაჯერებული
უკუღმართობები.
მუზებო, არავინ ინანიებს დანაშაულს თქვენს წინაშე
და ვის რა უნდა აპატიოთ?..

8.

„წინაუსვლელობა – არის უკუსვლა“
 „ვინც გზა არ იცის, ზღვაში შეაბოტებს“
 „საშიშია თავს გრძნობდე უსაფრთხოდ
 საშიშროებაში“
 „ჩუმად ყოფნით საშიშროებას თავს ვერ
 დააღწევ“
 „მიჩვეული ვარ სიმართლის თქმას“
 (ლათინური სენტენციები)

ძრახვა-გაკილვით ურყევობდნენ
 ხმადაჭანგებული,
 ხმამჭახე
 ევროპაფობი
 დამრიგებლები.
 მან კი მთელი ჩვენი მშვენივლიანობა –
 მჩქეფარე და ნარნარნაკადებიანი
 მდინარეები,
 ურმანშემორტყმული ტბები,
 ცას მიწვდენილი ქედებით მქშინავი მთები,
 ნაზად კრინტუძრავი კორდები,
 პირველყოფილი ბურვილები
 და ელინდახსომებული კოლხეთის ზღვისპირეთი
 საკუთარი გვამთიხის შინარქროლაში
 უკუთქმის, არა, ცამდე აყვანის მოძალებას შერთო.
 აშკარად, სხვაგვარმთხველობით დაშინებული,
 ჩვენი ლიტერატურული ორბები
 უკვე ტაეპნესტიან ჩვენს სახელოვან
 წინამორბედებს
 ხელშეუვალ ღმერთებად ხდიდნენ.
 მან თავისი გამოცდილებით აპილპილებულ
 და ძალაუფლებრივად
 ასპარეზობამიცემულ ენაზე
 ნაკელის ბუზი წამოასკუპა.
 და ამ ცისფრად დესტრუქციულ ბუზს, ბეხრეკ ჰეგემონისტთა ჯინაზე,
 უფლებო რეალობის ცხვირწინ უნდა ეზუზუნა.
 მან ყოველგვარი მართებულობა დაკარგა.
 მან სივრცე-სივინროვის მდგომარეობა შექმნა.
 ის საინფორმაციო დინოზავრობით კომუნარს დაემსგავსა.
 სიტყვაჩაუცმელობის გამო
 მედიდურობისკენ გამგზავრებული,
 ასტრალგამალებამ მუცლის ფსკერამდე გამჭვალა.
 ის შექმნილმა ვითარებამ სოდომ-გომორის გზას გაუყენა.
 ექსპრესფერხმოვან

დაქროლებით, მისი
ევრომოვლენად მიჩნეული.
ტაროსები
ფალსიფიცირებულ ღრუბლებს ზედ მსუბუქად დააფრინდნენ.
მას მემკვიდრეობით მიღებული
ნითელფერშერეული
ხელისგული აღმოაჩნდა.
მან თავისუფალი სამყაროს ლექსმწერად ვერ ივარგა.
ო, ძველ ბლევს გაცინცხალებული ბლეფი დაემატა.
ჩვენ მოულოდნელად დავიჩრდილეთ.
ჩვენ კარზე მოგვადგა წარმოუდგენელი რამ, –
მკვდართა საყოველთაო აღდგომის წინარე ჟამი.
ავზე ავი ჟამი!
მე თუბალ-მეშექური მოდგმა კიდევ ერთხელ შემებრაღა.
მე ჩემს სიავალე გაძლიერებულ შინაგანში,
მხოლოდ და მხოლოდ
ედემური ნალკოტის მცირე ნურნური შევიგრძენი...

9.

ტყაპუჭიან გლახთა რეპრესანტის შთამომავალი დიდყურავ,
მუხა რკოში ცვალებადობს. უსახოს სათნოების წყალი გადაესხა.
თვალსიმშრალის მცირე ურწყულთან ცრემლის ლულს კარგავენ
ლამიყლაპიები.
უსაზღვრო ვარსკვლავეთი
კომეტა-ასტეროიდთა ერთობლივ
ნამოზაიკართან გახდა
ღვთის არქანგელოზის ფერსახოვანი.
მითხარი, რა არ ცვალებადობს? შენ კი
ვერაფრით ვერ ცვალებადობ.
ჩვენ ჰაერზღვა გადმოგვეფინა
და შურისძიების სიავე ავკრძალეთ.
მაგრამ მახსოვს, რომ ერთხელ მოხდა
და მეორედაც მოხდა
ჩვენი მპატიებელი სულის კატასტროფული
განელება.
ჩემს პოეტურ ნააზრევებს ძველი და ახალი დროის გმირები
ითვისებენ.
ჩემს ქართულ-აფხაზურ გვარ-სახელს, ალბათ განზრახ,
არსად არ ახსენებენ.
შენ ხომ არა ხარ ამ ბნელითმოცულ საქმეში, დიდყურავ,
გარეული?..
სანამ შენ მონინააღმდეგედ მყავხარ, – მე ვაზროვნებ.
შენ ჩემი სცხოვრისის გაბოროტებულ ბუზებს მსტოვრულად უსმენ.
მე, ერთი წარჩინებული ინდივიდის თქმით, Homo Quadratus-ი^{1*},

^{1*} *Homo Quadratus (ლათ.) – ადამიანი კვადრატი (მონესრიგებული ადამიანი).

მე, გაბოროტებული ბუზების მჟღეტი, ამჟამად
„ხელჩაუვლებ არეებზე“ ვწერ.
ვერც ჩემს დანერილს, ვერც ნამდვილად არსებულ,
ხელჩაუვლებ არეებს შენ ვერ დაატყვევებ.
ჩვენ, მომხდარ სისტემურ გარდაქმნაში, არასრულად,
მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ...



ეთერ აბარონოვა

ინი და იანი



ბნელი პოეტის რაფსოდია

ცა კაშკაშებდა მაშინ ფირუზის.
ტალღა კლაკნიდა ოცნების ნაპირს.
და მომევლინა მე სირინოზი,
ბნელ კაეშანით მჭმუნავს და დალილს.

ო! რა ნატიფი იყო ლანდური, —
ლამაზი ტუჩი, თვალები ბროლის,
ტანთ ეკრა ნაზი თოვლის ბადური,
და თანაც სდევდა ფანტელი თოვლის!

მაგრამ ლამაზმა დარდის ფერიამ
დაღი დაასვა იმ ფეერიას.
ქათქათა ხეებს ცრემლი სდიოდათ,
მათზე აღმური მიმოდიოდა.

რომ დავიბრუნო ის მოგონება,
მხარზე დამეცეს ზანტი დალალი,
შორეულ მანძილს მე ცხენით გავლევ
და მზე დამათრობს ამომავალი.

23.06.2011

ნუგეში... ღმერთო, მოგვეც ნუგეში!
და მიდი-მოდის ირგვლივ აღმური.
თეთრ თოლიათა ნატიფ ღრუბელში
განვჭვრიტე ქვეყნის მე ჭირ-ვარამი.

ცრემლი სდიოდა ვერხვებს და ტირიფს,
ვით ოკეანეს დაუშრობელსა.
გულის უზადო ჭმუნვას და ტირილს
თან სდევს ქათქათა ფოთოლთ გოდება...

თავზე თოლიამ გადამიფრინა
და ჩაესვენა მდინარის ტანში,
ნაპირზე ცეკვავს ლამაზი ნიმიფა,
ტანმოხდენილი, ოქროს კაბაში.

მინც, სად არის ოცნების ზღვარი?
ნამგალის რკალი და სივრცის ზღუდე?
აქ მწვანე ბალახს ასველებს ცვარი,
ისიც ცრემლია წყვედიადის ზღურბლზე.

აივანს სწვდება აქ აკაცია.
ხარობს ატამი, ლეღვი და მსხალი.
ეს ბალი ისევ რა წარმტაცია!
ბნელში ამშვენებს მას მთვარის რკალი.

აღფრთოვანება! მთვარე მთვრალია...
მთვარეა, — მკითხავ, — თუ არის ლოთი?
თუ — უკვდავების თეთრი ალია,
დარდის სიტკბო და ოცნების შფოთი?

ო! ეს ცხოვრების ღრმა იდილია!
და ტრფობის ჟინი, — ესოდენ მწველი!
შენი მიჯნური კვლავ, ოდილია,
დაუცხრომელსა გიგზავნის წერილს.

სივრცეში დაღვრილი მელანქოლია
ყოფაა ალბათ ჩვენი ნამდვილი.
და ეს ლამაზი მზის მაგნოლია —
ცხოვრების აღმასის ნატიფი გრაგნილი.

6. 07. 2011

* * *

მე ბაბილონის მდინარეებთან
არ მომინია, ღმერთო, გოდება!
ამ მთების ტრფობას ნუ დამამადლი,
ფრთებს ნუ მოაჭრი ჩემს ნაზ ოცნებას.

რიკოთზე მწველი მზე ანათებდა.
სხივებს აფრქვევდა, ვით შადრევანი.
დასავლეთს კრთოდა მთის მოლანდება,
ღრუბელი იყო მისი მდევარი.

და უეცარი ეს სილამაზე,
ღმერთისგან ქმნილი და სრულყოფილი,
შემომეფეთა უმაღ შარაზე,
ჩემს არსებასთან განუყოფელი.

6. 07. 2011

თეთრი ვარდები

ყვავილთა სურნელს ველტვოდი მუდამ,
წილად მხვდა მათი სასტიკი ხვედრი.
ამაოების აღვიქვი ზღუდედ
ამ სინატიფის თეთრი ხავერდი.

სადღაც უცნობი იღვრება სივრცე,
და ტანჯვას იტევს სული დახშული.
მიედინება ლაღად და მტკიცედ,
მდინარის ლურჯი ჩანს აბრეშუმში.

ყურს შემომესმა ნატიფი ჰანგი,
გადამიფრინა ჩიტების დასმა.
ამ უღმობელი დროის დინებას
რალა შემატოს ამ დეკადანსმა?

შენც, ო, მკითხველო, პოეტის მსგავსად,
ცხადია, ალბათ შეგიპყრო ეჭვმა! –
რომელ სამყაროს არსი ასახა
მშვენიერების იმ ანაბეჭდმა?

10. 06. 2014



რაისა მუზიჩენკო



ხორნაბუჯის ყაყაჩოები

აბრიალდნენ, აყვავილდნენ,
შუქი უდგათ თვალეებში,
გაზაფხულის შეხსენებით
ანათებენ ღამეშიც.

დროა, ჩემო მეგობარო,
დინებისკენ გასცურო,
სევდა უნდა მოიშორო,
ეჭვით გულგაბასრულო,
სიყვარულის მზე – მტევანი
გულში უნდა ჩასწურო.

ეს სამყარო გიყვარდეს და
გახარებდეს, გართობდეს...
გული ჰგავდეს ყაყაჩოს და
მენამულად ნათობდეს.

კოჯრის მთა

კორომი ნაძვნარებისა,
ქალაქი – მთვარით ფერმკრთალი...
მცენარეებო მთებისა,
ჰა, ჩემი გული მფეთქავი.

ვინ შეგიყვარებთ ასე, ჩემსავით?
იყო ასეთი ცხოვრების ჟამი –

შიშით და კრძალვით ვკოცნიდით ერთურთს
წარსულში, ერთ დროს, მთვარიან ღამით.

მიგვაცილებდა ღამის მნათობი,
სხივებს გვაფენდა მთვარის პროფილი...

ვიყავი მაშინ გამოუცდელი –
ბედის ვარსკვლავზე გულმინდობილი.

ჩვენ მიგვიყვანა ტყის ზღვრამდე ბედმა,
დრო შეიცვალა. სხვა ზარმა დაჰკრა...

იყო ნიმფები, ზვავი და დელგმა...
მე იქვე ვცხოვრობ... წარსული გაქრა.

თარგმნა **ზაურ მოლაშხიაშ**

ნოსტალგია

ჩემი ეზო და პატარა სახლი
(მოგონებათა ოქროს ფურცელი)...
წლებთან ჭიდილში თითქოსდა დაღლილს,
იერი შერჩა მაინც უცვლელი.

მას ახსოვს მაღლა, ცად აფრენილი,
ჩემი ბავშვობის ფიქრები წმინდა...
დღეს კი შემკრთალი და მონყენილი
მოუხმობს შვილებს შორეულ გზიდან.

მომეძალეა როდესაც სევდა,
სიცარიელეს ოცნებით ვივსებ...
შორსა ვარ, მაგრამ სიზმარში ვხედავ
და ვუბრუნდები ბავშვობას ისევ.

ყვავილოზა

ფიქრმა, ოცნებამ, ლტოლვამ
და ხიბლმა შორეულის
გაცივებისგან დღემდე
გადამირჩინა სული.

ჩაჰკონებია სხივი
გაფურჩენილ ვაშლის კვირტებს
და სითბო ყოველ სულდგმულს
ტრფობის მორევში ითრევს.

ჩამავალი მზის სხივებს
ღამე სინათლეს ართმევს,
მაგრამ ყვავილი ამ დროს
მეტ სურნელებას აფრქევს.

თარგმნა **გიორგი სიჭინავაძე**

სიყვარულის ზაფხული

მემშვიდობება ჩუმად ზაფხული,
ცრემლის ცვარია სულის ნუგეში,
ახალი ზეცა, ჯერარნახული,
იბადებოდა მთების უბეში.

აყვავებული ბალბის ნისლებში
ჩიტებს ციმციმი დილის ეღირსა...
ტრფობის ჟამი დგას, უფაქიზესი,
ამჯერად უკვე ერთგულებისა.

თეთრი რაშის იმედად

ერთი ჩემი მეგობარი იპარავდა ცხენებს,
რა ვქნა, უნდა ვაღიარო, მართალს
მოგახსენებთ

ჰქონდა სახლად, საცხოვრისად
თვალუნვდენი სტეპი,
არ დარდობდა, რომ ასეთი იყო მისი ბედი.

სიყრმიდანვე იმ ველ-მინდორს აღარ
თმობდა ძვირად,
მაგრამ ბოლოს ჩვენს აულში
მოსვლას მოუხშირა.

შავთვალეზა გოგოს მზერა, გამოხედვა ამო...
ნუთუ დათმობს თავისუფლად ნავარდს
გოგოს გამო?

აი, ასე მოვიპარე ის მპარავი ცხენის,
შევიყვარე იმგვარად, რომ შვებას
მგვრიდა ცრემლიც.

ერთად ყოფნა გვიხაროდა ველად მომთაბარეთ,
რამე ეჭვი თუ ტკივილი გულს არ გავაკარეთ.

ვიპარავდით ფრთამალ ცხენებს, ნაბლას,
შავრას ერთად,
სიხარულით ვათენებდით გრძელ
ლამეებს თეთრად.

ეჰ, სადაა ის ღამენი, მღელვარება, ლტოლვა!..
კარგა ხანი არის უკვე, ჩემს სოფელში რომ ვარ.

სადაა ის ჩემი სატრფო, აღარავინ იცის,
ნუთუ ვინმეს უწილადებს სითბოსა და სიცილს?

ნევეს მინდორში, ალბათ თავქვეშ
უნაგირი უდევს,
მე კი თეთრი ცხენი შემრჩა, ისლა
მიტობს ბუდეს.

აღარ მინდა, თეთრი რაშის იმედად რომ დავრჩე,
სულ ავდარი მენატრება, აღარ ვფიქრობ დარზე,

ვეღარა ვძლებ უიმისოდ, ვლოცავ
სატრფოს თვალებს,
თეთრი ცხენი ვერ მიშველის,
დარდი გამათავებს.

თარგმნა **ჯემალ შონიაშ**

უდაბნოს ყვავილი

უდაბნოს ყვავილო,
 აღმოცენდი უადგილო ადგილას.
 დუინების გადაღმა
 წყალთა გალაყვარდება.
 ნათელგამკვეთრებით ჭვრეტ
 შორით მავალ კარაველებს,
 იქვე, ახლოს თვითმპყრობელი
 წყალს ჩასცქერის ტოტემი.

შენ სინოტივეს, ვაი,
 ვერც დალეე, ვერც დაენაფები,
 ლაყვარდლიცლიცა წყალი
 სულელ მირაჟებს მოგგვრის.
 მუდმივად დაივინყეს
 ღმერთებმა უდაბნო,
 ძვირფასო ჩემო, არ დაიჯერო,
 ასეთი ვერნისაჟი!

სანუკვარი ბალები

შეშფოთებული თოლიები
 გაყვიროდნენ რიჟურაჟზე,
 არ ამოდიოდა მზე
 ამა ზღვების სიღრმეებიდან.
 არ სურდათ ღმერთებს
 ნუჟრ-მონკრიალის დაშოშმინება,
 ზეგარდმოგვევლინა ჩვენ ნამი
 ბალახოვან მდელოებზე.
 წინვ-მქადაგებლებმა
 ნამნამებში დამალეს
 დაულვრელი ცრემლები...
 მიმოზების სურნელი
 იფრქვეოდა. მაგრამ ვისთვის?
 ამ მხარიდან სიყვარული ნავიდა,
 ფეხშიშველი ნავიდა,

მას კვალდაკვალ დიდხანს მიჰყვა
 გზა. ქარებში
 განელილი დალალები
 ზედ სათიბებს აყრიდნენ
 ვან გოგის ნახატების
 ბრმა ანარეკლს.
 გრძელდებოდა და გრძელდებოდა ექო
 ან გარდასული ლოცვანისა
 და ექსტაზური შუალამის ფიცისა,
 რაც სისხლში მდინარებს.
 შენ, ჩემო შექმნილობავ,
 ვითარცა თევზი-მეკობრე,
 ვერ შესძელი გაგეგო და
 შეგეყვარა რჩეულობა ბალების.

თარგმნა *თორნიკე ქავშაბაია*



ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია, ემა ჩიბიროვი

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვანოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აიწყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

☒ ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

☒ ა. პოლიტკოვსკაიას, №4, ტელ. 5-99-33-52-02

თუ თქვენ დაგაინტერესათ ჩვენმა ჟურნალმა,
მაშინ შეგიძლიათ მისი ელექტრონული ვერსია
მოიძიოთ:

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ივერიელი

ციფრული ბიბლიოთეკა

dspace.nplg.gov.ge





„ქართველს დედაო! ძეძუ ქართველს
უწინ მამულს უზრდიდა შვილსა;
დედის ნახსიანს ქვირილი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...“

